მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—78, მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—42, სტამბის ტელ. 13—80.

დღეს
- [illegible]
- [illegible]
- იუგო-სლავიის დამოუკიდებელი პროფკავშირები ახალ ხაზზე იწვევენ კონგრესს.
- სპარსეთში შედგა ახალი მთავრობა.
- ბულგარეთის სასამართლოში ახალი ხაზით დაიწყება ბულგარეთის კომპარტიის ცეკას ახალი საქმე.

სამშაბათი, 22 დეკემბერი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 294 (1449)

მეთოთხმეტე პარტიული ყრილობა

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში

ამხ. სტალინის მოხსენება*)

საერთაშორისო მდგომარეობა

წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის

მეხუთე სახე წინააღმდეგობისა—ეს არის წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამ სფეროში ძირითადი არის ის, რომ იმის შემდეგ რაც ძველი რუსეთი გადაიქცა (დამახინჯებულია)... მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად: იმპერიალიზმის ბანაკად და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ბანაკად.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ამ სფეროში არის ის, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებს სათავეში უდგება ორი ძირითადი ქვეყანა: ინგლისი და ამერიკა, ინგლის-ამერიკის კავშირის სახით. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა და უკმაყოფილოთა სათავეში კი დგება საბჭოთა კავშირი.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტების ბანაკში არ არსებობს ინტერესების მთლიანობა: იქ ვხედავთ რღვევას, ბრძოლას გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის, ბრძოლას თვით გამარჯვებულთა შორის ახალშენებისა და მოგებისათვის, რის გამო ამ ბანაკში შეუძლებელია სტაბილიზაცია მტკიცე გამოდგეს. ჩვენი ქვეყანა მიდის ჯანსაღ და მტკიცე სტაბილიზაციის გზით; ჩვენი მეურნეობის ზრდა ეს არის ზრდა სოციალისტური აღმშენებლობისა. ჩვენს ბანაკში თანდათანობით და შეურყევლად იკაზმება ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ირგვლივ ყველა, [illegible] ჩაგრულია დასავლეთში და აღმოსავლეთში არსებულ წესებით.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მთელი მსოფლიოს რევოლიუციონურ-სოციალისტური ელემენტების ლტოლვაზე ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისადმი. მე მხედველობაში მაქვს მუშათა დელეგაციები, რომელნიც მოდიან ჩვენს ქვეყანაში, დაწვრილებით და ყურადღებით ათვალიერებენ ჩვენი აღმშენებლობის ყოველ კუთხეს, რათა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ შევძლებთ არა მარტო ნგრევისა, არამედ ახლის აშენების უნარიც. მუშათა დელეგაციების ჩამოსვლა ნიშნავს, რომ ევროპის მუშათა კლასი, განსაკუთრებით მისი რევოლიუციონური ნაწილი ჩვენს სახელმწიფოს სთვლის თავის ღვიძლ შვილად და გზავნის თავის დელეგაციებს ჩვენს ქვეყანაში არა ცნობის მოყვარეობისათვის, არამედ იმისათვის, რომ ნახოს რა და როგორ კეთდება ჩვენში, ვინაიდან ის თავის თავს სთვლის მორალურ პასუხისმგებლად ყველაფრისთვის, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ. ეს აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონურმა ნაწილმა იშვილა რა ჩვენი სახელმწიფო, ის თუ საჭიროება მოითხოვს მუდამ იბრძოლებს მის დასაცავად. აი რა უდევს საფუძვლად ჩვენს სახელმწიფოებსა და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს შორის ურთიერთობის შეცვლას, რომელიც გამოწვეულია აუარებელ მუშათა დელეგაციების ჩამოსვლით ჩვენს ქვეყანაში. დასავლეთ ევროპის მუშები, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა დარწმუნებულია იმაში, რომ მუშათა კლასს ბურჟუაზიის გარეშე არ შეუძლია არსებობა. ეს ყალბი რწმენა არის დასავლეთის მუშათა კლასის ძირითადი ავადმყოფობა, რომლის გავრცელება უნდა მივაწეროთ სოც. დემოკრატებს. ჩვენ მივმართავთ ყოველგვარ ზომებს, რათა დავარწმუნოთ დასავლეთის მუშათა კლასი მათი დელეგაციების საშუალებით, რომ მუშათა კლასს, ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, შეუძლია არა მარტო ძველის დანგრევა, არამედ ახლის აშენებაც. ჩვენ უნდა მივსცეთ დასავლეთის მუშათა კლასს სრული შესაძლებლობა დარწმუნდეს იმაში, რომ ჩვენ ვართ ერთად ერთი მუშური სახელმწიფო, რომელიც მათ უნდა დაიცვან თავისი კაპიტალიზმის თავდასხმისაგან.

ორი ფაქტი

ასეთია მთელი ჯამი წინააღმდეგობათა, რომელიც ძირს უთხრის კაპიტალიზმს. მე კიდევ უნდა მოვიხსენიო ორი ფაქტი, რომელთაც აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ამჟამად ამერიკას არ სურს ომი ევროპაში. ის თითქოს ეუბნება ევროპას: „მე შენ გასესხე მილიარდები, თუ შენ არ გინდა შენი ვალიუტა ძირს დაეშვას, იჯექი და იმუშავე, მოიგე ფულები და იხადე ვალების პროცენტები". ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკის რჩევა საკმაოდ გადამწყვეტი ფაქტია ევროპისათვის.

მეორე ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, კაპიტალიზმის სისტემიდან გამოვიდა უდიდესი ქვეყანა უდიდესი გამსაღებელი ბაზრით, აუარება ნედლი მასალით, რამაც, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა ევროპის სამეურნეო მდგომარეობაზე. მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილის დაკარგვა, ბაზრისა და ნედლი მასალის წყაროების დაკარგვა კაპიტალისტურ ევროპისათვის ნიშნავს მისი წარმოების შემცირებას და ძირ-ფესვიანად შერყევას.

შესვენების პერიოდი

აი ის ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ერთგვარ წონასწორობას სოციალიზმის და კაპიტალიზმის ბანაკებს შორის მთელს მსოფლიოში, ფაქტორები, რომელთაც ომის პერიოდი შეცვალეს შესვენების პერიოდით, რომელთაც მოკლე ხნის შესვენება გადააქციეს შესვენების მთელ პერიოდათ და საშუალება მოგვცეს ჩვენ ვაწარმოოთ როგორც ილიჩი ამბობდა, „თანამშრომლობა" კაპიტალისტურ ქვეყნებთან. მიმდინარე წელი პირველი წელია, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან „თანამშრომლობის" პერიოდის შემდეგ ჩვენ ვქმნით ფართე და ფრიად მნიშვნელოვან სავაჭრო ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე მოვსპეთ ყოველგვარი პრეტენზიები, კონტრ-პრეტენზიები და სხვ., რომელიც არსებობს ჩვენს სახელმწიფოებსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის. ჩვენ არ შეგვიძლია გავაუქმოთ 1917 წელს მიღებული ჩვენი ქვეყნის ცნობილი კანონი მეფის ვალების გაუქმების შესახებ, არ შეგვიძლია გავაუქმოთ დეკრეტები, რომლებმაც დააკანონეს ჩვენში ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. ჩვენ ვდგევართ ამ კანონების საფუძველზე და მათ საფუძველზე დავრჩებით მუდამ.

ინტერესთა წინააღმდეგობა გამარჯვებულ ქვეყნებს შორის

ეხება რა წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის, სტალინი აღნიშნავს, რომ ძირითადი ფაქტები მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად ერთგვარი კავშირისა, რომელიც არსებობს ინგლისსა და ამერიკას შორის და რომლის საფუძველს შეადგენს შეთანხმება მოკავშირეთა ვალების გაუქმების წინააღმდეგ, ინტერესთა ბრძოლა ინგლისსა და ამერიკას შორის არ სუსტდება, არამედ პირიქით, ძლიერდება. დიდი სახელმწიფოების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ნავთის საკითხია, რადგან ნავთი წარმოადგენს დიდი სახელმწიფოების მთელი სამეურნეო და სამხედრო მოღვაწეობის უმთავრეს ნერვს. სწორედ ამ სფეროში სწარმოებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა, რომელსაც, მართალია, ყოველთვის არა აქვს აშკარა ხასიათი, მაგრამ ის არსებობს მუდამ, შეუწყვეტლივ, რასაც მოწმობს ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება და კონფლიქტები ამ ნიადაგზე.

ინგლისის და საფრანგეთის ინტერესთა ბრძოლა სწარმოებს არა მარტო კონტინენტზე ჰეგემონიის შენარჩუნების საკითხში, არამედ ახალშენების საკითხშიაც. არის ცნობები, რომ სირიის და მაროკოს ბრძოლაში საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ინგლისსაც უდევს წილი. ყველასათვის აშკარაა ამერიკის და იაპონიის ინტერესთა წინააღმდეგობა და სხვ... დაბოლოს, ფაქტი შეიარაღების უდიდესი ზრდისა გამარჯვებულ ქვეყნებში. წინად, როცა ანტანტის ქვეყნებში აძლიერებდნენ შეიარაღებას, ისინი ყოველთვის მიუთითებდნენ გერმანიაზე და იმ საშიშროებაზე, რომელსაც ის წარმოადგენს მთელი ქვეყნის მშვიდობიანობისათვის; ამჟამად გერმანია, როგორც შეიარაღებული ძალა, არ არსებობს. მიუხედავად ამისა გამარჯვებულ ქვეყნებში შეიარაღება სწარმოებს ისე, როგორც არასოდეს არ ყოფილა. აქ საქმე იმაშია, რომ ინტერესთა წინააღმდეგობა გამარჯვებულ ქვეყნებს შორის იზრდება და ძლიერდება, მათ შორის შეტაკება აუცილებელი ხდება და ახალი ომის მოლოდინში ისინი აძლიერებენ შეიარაღებას ყოველგვარი საშუალებებით.

ის, რაც ამჟამად ხდება გამარჯვებულ ქვეყნებში გვაგონებს მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1914 წლის ომის წინ—შეიარაღებულ მშვიდობიანობის მდგომარეობას. ზემოდ ნათქვამი მოწმობს, რომ დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაცია, რომელსაც მიაღწია ევროპამ მეზობელ სახელმწიფოების დამონების საშუალებით, მტკიცე არ არის, რადგან იზრდება და ძლიერდება წინააღმდეგობა თვით გამარჯვებულ ქვეყნებს შორის, თავი რომ დავანებოთ იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს შორის.

ჩვენი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკა

ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ პრაქტიკული მოლაპარაკებით ზოგიერთი გამონაკლისი დაუშვათ ყოფილ მეფის ვალების საკითხში—მცირე ნაწილი გადავიხადოთ და ცოტა რამ მივიღოთ ამისათვის. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ყოფილი კერძო მესაკუთრეები დავაკმაყოფილოთ კონცესიების მიცემით, მაგრამ ისე, რომ არ იყოს დამამონებელი პირობები.

ჩვენი პარტიის ამოცანებს საგარეო მდგომარეობასთან დაკავშირებით უნდა შეადგენდეს მუშაობა ორ დარგში: საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშაობის და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დარგში. საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის დარგში ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა განვამტკიცოთ კომუნისტური პარტიები დასავლეთში და ხელი შევუწყოთ მათ მიერ მუშათა მასების უმრავლესობის დაპყრობას. და აგრეთვე იმაში, რათა გავაძლიეროთ დასავლეთის მუშების ბრძოლა პროფკავშირთა მთლიანობისათვის, ჩვენი კავშირის პროლეტარიატისა და კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარიატს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. საჭიროა მუშაობა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატსა და დაჩაგრულ ქვეყნების განმანთავისუფლებელ მოძრაობის შორის კავშირის განსამტკიცებლად, ვინაიდან ისინი არიან ჩვენი მოკავშირენი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აგრეთვე გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ელემენტები იმ მხრივ, რომ ამ ელემენტებმა გაიმარჯვონ კაპიტალისტურ ელემენტებზე. ამ გამარჯვებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ყველა ქვეყნების მუშების გარევოლიუციონერებისათვის.

პარტიის ამოცანები ჩვენი კავშირის საგარეო პოლიტიკის დარგში ასეთია: პირველ ყოვლისა საჭიროა ვაწარმოოთ ბრძოლა ახალ ომების წინააღმდეგ მშვიდობიანობის დასაცავად და კაპიტალისტურ ქვეყნებთან ე. წ. ნორმალურ ურთიერთობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ამოცანას შეადგენს ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, ბრძოლა ახალ ომების წინააღმდეგ, ყველა ისეთ ნაბიჯების გამომჟღავნება, რომელიც გადადგმულ იქნება ახალი ომების მოსამზადებლად, ისეთ ნაბიჯების გამომჟღავნება, რომელიც პაციფიზმის დროშის ქვეშ საქმით მოასწავებს მზადებას ომისათვის.

სწორედ ამიტომ ჩვენ არა გვსურს ერთა ლიგაში შესვლა, ვინაიდან ერთა ლიგა არის ორგანიზაცია, რომელიც ფარავს მოსამზადებელ მუშაობას ომისათვის, ვინაიდან ერთა ლიგაში შესასვლელად საჭიროა ავირჩიოთ ან ჩაქუჩი ან გრდემლი, ჩვენ კი არა გვსურს ვახდეთ არც ჩაქუჩად სუსტი ხალხებისათვის და არც გრდემლათ ძლიერებისათვის. მეორე, უნდა ვაწარმოვოთ მუშაობა სხვა ქვეყნებთან საქონლის ტრიალის გასაფართოებლათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განმტკიცების საფუძვლებზე. მესამე, უნდა ვაწარმოვოთ მუშაობა იმპერიალისტურ ომში დამარცხებულ და დიდ სახელმწიფოების გაბატონებულ კავშირისადმი ოპოზიციაში მდგომ ქვეყნებთან დასაახლოვებლად, და აგრეთვე ვაწარმოვოთ მუშაობა კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებთან კავშირის დასამყარებლად. ასეთია ჩვენი პარტიის წინაშე დასმული ამოცანები დღევანდელ მომენტში საერთაშორისო ურთიერთ დამოკიდებულებათა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დარგში.

საჭიროა სამეურნეო მარაგის დაგროვება

მეორე დებულება, რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ, მდგომარეობს იმაში, რათა ყოველ ცალკე შემთხვევაში მხედველობაში მივიღოთ ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელობის თავისებურება, რომელიც განსხვავდება კაპიტალისტურ ქვეყნების ხელმძღვანელობისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში გაბატონებულია კერძო კაპიტალი და იქ სხვადასხვა კაპიტალისტურ ტრესტების და სინდიკატების შეცდომებს ასწორებს ბაზრის სტიქია. იქ ჩვენ ვხედავთ სამეურნეო, სავაჭრო, საფინანსო კრიზისებს, რომელიც ეხება კაპიტალისტების სხვა და სხვა ჯგუფებს. ჩვენში—სხვა საქმეა. თვითეული სერიოზული შეფერხება ვაჭრობაში, და წარმოებაში, თვითეული სერიოზული შეცდომა ჩვენს მეურნეობაში იწვევს არა ცალკე კრიზისებს, არამედ კრიზისს მთელ მეურნეობაში. ამიტომ ჩვენთვის საჭიროა განსაკუთრებული წინდახედულობა, გამჭრიახობა მშენებლობის დროს, და ამიტომ ჩვენი ხელმძღვანელობა მეურნეობაში უნდა იყოს გეგმაშეზომილი, ისე რომ შეცდომები იყოს ნაკლები, რათა ჩვენი ხელმძღვანელობა იყოს მეტად წინდახედული, მეტად გამჭრიახი და შეუცდომელი. მაგრამ რადგან ჯერჯერობით, სამწუხაროთ, ჩვენ არ გვახასიათებს ასეთი თვისება, რადგან ჩვენ ეს არის ვსწავლობთ მშენებლობას, შეცდომები გვაქვს და გვექნება მომავალშიაც. ამიტომ ჩვენ უნდა ვაშენოთ მარაგის დაგროვებით, რომელიც დაფარავს ჩვენს შეცდომებს. მთელი ჩვენი მუშაობა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში გვიმტკიცებს, რომ ჩვენ უზრუნველყოფილი არა ვართ შემთხვევითი მოვლენებისაგანაც. მრეწველობის დარგში ბევრი რამ დამოკიდებული არა მარტო ჩვენს უნარიანობაზე, არამედ შინაურ ბაზარზედაც, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიპყრია. საგარეო ვაჭრობის დარგში ბევრი რამ დამოკიდებულია დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების ყოფა-ქცევაზე. მასთანავე, რაც უფრო იზრდება ჩვენი ექსპორტი და იმპორტი, მით უფრო ჩვენ დამოკიდებული ვხდებით კაპიტალისტურ დასავლეთისაგან, მით უფრო საშიში ხდებიან ჩვენთვის ჩვენი მტრები.

რათა უზრუნველვყოთ ჩვენი თავი ყველა ამ შემთხვევითი მოვლენებისა და აუცილებელ შეცდომებისაგან, უნდა შევითვისოთ აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა მარაგის დაგროვება.

ასეთია ძირითადი დებულება, რომლებითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს მუშაობაში ქვეყნის აღორძინებლად.

ჩვენი მეურნეობის ხასიათი

ჩვენი მეურნეობის სისტემაში ადგილი აქვს ერთგვარ სიჭრელეს—მასშია ხუთი სხვადასხვა ფორმა. არის მეურნეობის თითქმის ნატურალური ფორმა, ეს არის საგლეხო მეურნეობანი, რომელთა პროდუქციის საქონლიანობა ძალიან ნაკლებია. მეურნეობის მეორე ფორმა—ეს არის საქონლის წარმოება, სადაც საქონლიანობა საგლეხო მეურნეობაში თამაშობს გადამწყვეტ როლს. მეურნეობის მესამე ფორმაა კერძო კაპიტალიზმი, რომელიც გამოცოცხლდა და მომავალშიაც განვითარდება განსაზღვრულ ფარგლებში, სანამ არსებობს ახალი ეკონომიური პოლიტიკა. მეურნეობის მეოთხე ფორმა—ეს არის სახელმწიფო კაპიტალიზმი, ე. ი. კაპიტალიზმი, რომელიც ჩვენ დაუშვით და რომელსაც ჩვენ საშუალება გვაქვს გაუწიოთ კონტროლი და განვსაზღვროთ ისე, როგორც ეს სურს პროლეტარულ სახელმწიფოს. დაბოლოს, მეხუთე ფორმა—ეს არის სოციალისტური მრეწველობა, ე. ი. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა, სადაც წარმოებაში წარმოდგენილია არა ორი მოწინააღმდეგე კლასი—პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ ერთი კლასი—პროლეტარიატი. ჩვენი წესწყობილების სისტემაში არსებულ ამ ხუთი ფორმის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით სთქვა თავის დროზე ლენინმა, რომელიც გვასწავლიდა მიგვეღო მხედველობაში ბრძოლა მათ შორის.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი და ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა

სახელმწიფო კაპიტალიზმის და სახელმწიფო მრეწველობის საკითხის გარშემო ჩვენს პარტიაში შეიქმნა მთელი გაუგებრობა. ჩვენს სახელმწიფო მრეწველობას არ შეგვიძლია ვუწოდოთ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური, რადგან სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არის წარმოების ისეთი ორგანიზაცია, სადაც წარმოდგენილია ორი კლასი—კლასი, რომლის ხელშია საწარმოო საშუალებები და კლასი, რომელსაც ყვლეფენ. რანაირი განსაკუთრებული ფორმაც არ უნდა ექნეს სახელმწიფო კაპიტალიზმს, ის თავისი შინაარსით მაინც კაპიტალისტური უნდა იქნეს. ილიჩს, როცა ის ანალიზს უკეთებდა სახელმწიფო კაპიტალიზმს, სახეში ჰქონდა პირველყოვლისა კონცესიები, რომლებშიაც წარმოდგენილი არის ორი კლასი: კლასი კონცესიონერების, რომლებიც ახდენენ ექსპლოატაციას და დროებით ფლობენ საწარმოო საშუალებებს, და კლასი პროლეტარების, რომელთაც ყვლეფენ კონცესიონერები. სახელმწიფო წარმოებები არ არიან კაპიტალისტური, რადგან ამ წარმოებებში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კლასი—მუშათა კლასი, რომლის ხელშია საწარმოო საშუალებები და იარაღები, რომელიც არ იყვლიფება, რადგან მაქსიმუმი იმისი, რაც რჩება წარმოებაში სამუშაო ხელფასის ზევით, ხმარდება მრეწველობის კიდევ უფრო განვითარებას, ე. ი. მთელი მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. შეუძლიათ სთქვან, რომ ეს მაინც არ არის სოციალიზმი, თუ სახეში მივიღებთ ბიუროკრატიზმის ნაშთებს, რომლებიც დარჩა ჩვენი წარმოების მმართველ ორგანოებში. ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ სახელმწიფო მრეწველობა თავისი ტიპით არის სოციალისტური წარმოება.

ციფრების ენა

გადავიდეთ ეხლა ციფრებზე, რომლებიც შეეხება ჩვენს სახალხო მეურნეობას მთლიანათ.

1924—25 წელს სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია, თუ შევადარებთ მას 1913 წლის დონეს, გაიზარდა 71 პროცენტამდე. 1913 წელს დამუშავებულ პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 12 მილიარდ მანეთს ომამდე არსებულ ფასებით, ხოლო 1924—25 წელს შეადგენს 9 მილიარდ მანეთს. 1925—26 წელს განზრახულია კიდევ გადიდებულ იქნეს პროდუქცია 11 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. ომის წინანდელი დონის 88 პროცენტამდე. ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სასოფლო მეურნეობა შეუჩერებლად იზრდება.

თუ ავიღებთ მრეწველობას, 1923 წელს ის იძლეოდა საერთო პროდუქციას 7 მილიადრი მანეთის ღირებულებით, 1924—25 წელს მან მოგვცა პროდუქცია 5 მილიარდის ღირებულებით—ომის წინანდელი ნორმის 71 პროცენტი. ჩვენი საგეგმო ორგანოები ფიქრობენ, რომ მომავალ წელში წარმოება ავა 6 ნახ. მილიარდამდე—ომის წინანდელი ნორმის დაახლოვებით 95 პროცენტამდე. საერთოდ მრეწველობა წელს განვითარდა უფრო ჩქარა, ვინემ სასოფლო მეურნეობა.

თუ შევადარებთ სახელმწიფო და კოოპერატიულ სამრეწველო წარმოებას და კერძო სამრეწველო წარმოებას, დავინახავთ, რომ 1923—24 წელს სახელმწიფო და კოოპერატიულ მრეწველობას ჰქონდა ერთი წლის სამრეწველო წარმოების მთელი ჯამიდან 76 პროცენტი, კერძოს კი—23,7 პროც.

1924—25 წელს სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობის წილი უდრის უკვე 79,3 პროც., კერძო მრეწველობის კი—20,7 პროც. აბსოლიუტურად კერძო მრეწველობა იზრდება, მაგრამ ვინაიდან სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობა იზრდება უფრო სწრაფად, კერძო მრეწველობის ხვედრი წონა პროგრესიულად ეცემა. ეს იმას მოწმობს, რომ სოციალისტური მრეწველობა უსათუოდ წინ უსწრებს კერძო მრეწველობას. თუ ავიღებთ სახელმწიფოს ხელში არსებულ ქონებას და შევადარებთ იმ ქონებას, რომელიც არის კერძო მეურნეების ხელში, დავინახავთ, რომ ამ დარგში უპირატესობა პროლეტარული სახელმწიფოს მხარეზეა, რადგან სახელმწიფოს ხელში არსებულ კაპიტალურ ფონდების რაოდენობა უდრის 11,7 მილიარდს. ხოლო კერძო მესაკუთრეების, უმთავრესად საგლეხო მეურნეობების განკარგულებაში არსებულ ფონდების რაოდენობა არ აღემატება 7-ნახ. მილიარდს. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ განზოგადოებული ფონდების ხვედრი წონა უზომოდ მაღალია და ის იზრდება არაგანზოგადოებულ ქონების ხვედრ წონასთან შედარებით.

სოციალისტური მრეწველობა იმარჯვებს

საერთოდ კი ჩვენს წესწყობილებას მაინც არ შეიძლება ეწოდოს არც კაპიტალისტური, არც სოციალისტური. ჩვენი წყობილება საერთოდ—ეს არის გარდამავალი წყობილება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, სადაც პროდუქციის რაოდენობის მხრივ ჯერ კიდევ სჭარბობს კერძო-საკუთრებრივი საგლეხო წარმოება, მაგრამ სადაც სოციალისტური მრეწველობის წილი იზრდება არა დღითი-დღე, არამედ ყოველ საათობით. სოციალისტური მრეწველობის წილი იზრდება ისე, რომ ეს მრეწველობა, რომელიც სარგებლობს თავისი თავმოყრილობით და დარაზმულობით, რომელიც სარგებლობს მით, რომ ჩვენში არის პროლეტარიატის დიქტატურა, რომ ტრანსპორტი სახელმწიფოს ხელშია, საკრედიტო სისტემა ჩვენია, ბანკები ჩვენია, სარგებლობს რა ყოველივე ამით, ჩვენი სოციალისტური მრეწველობა იწყებს კერძო მრეწველობის დამორჩილებას და მის თავის გეგმის ქვეშ მოქცევას, ის თან იყოლიებს მეურნეობის დანარჩენ ფორმებს. აი მთავარი დასკვნა, რომელსაც ვღებულობთ, თუ დავსვამთ საკითხს ჩვენი წესწყობილების ხასიათის შესახებ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმ მოგებათა შესახებ, რომლებიც მოგვცეს შარშან ჩვენმა სახელმწიფო და კოოპერატიულმა წარმოებებმა. რადგან ჩვენ წარმოვადგენთ კაპიტალით ღარიბ ქვეყანას, რომელსაც არ აქვს მსხვილი სესხები უცხოეთიდან ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური ჩვენს სამრეწველო და სავაჭრო წარმოებებს, ბანკებს და კოოპერაციას, რომ ვიცოდეთ, თუ რას უნდა დავეყრდნოთ ჩვენი მრეწველობის შემდეგი განვითარებისათვის.

ჩვენი საგარეო ვაჭრობა

რამოდენიმე სიტყვა აგრეთვე ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვებზე. 1923—24 წელს საგარეო ვაჭრობაში ჩვენ მივაღწიეთ ომის წინანდელი დონისა 21 პროცენტს. 1924-25 წელს—26 პროცენტს ომის წინანდელი დონისა. 1923—24 წელს ჩვენ გვქონდა აქტიური სავაჭრო ბალანსი 83 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს წელი ჩვენ დავასრულეთ საგარეო ვაჭრობის ხაზით პასიური ბალანსით 144 მილ. მანეთის რაოდენობით. ამ მინუსს მივყევართ იქითკენ, რომ როცა შემოგვაქვს უფრო მეტი, ვინემ გაგვაქვს, ჩვენ კითხვის ქვეშ ვსვამთ ჩვენს საანგარიშო ბალანსს და, მაშასადამე, ჩვენს ვალიუტასაც. ჩვენ გვქონდა პარტიის მე-XIII-ე ყრილობის დირექტივი, რათა ჩვენ რაც არ უნდა დაგვჯდომოდა მიგვეღწია აქტიური სავაჭრო ბალანსისათვის. უნდა ითქვას, რომ ჩვენ დაუშვით უდიდესი შეცდომა, რომ არ შევასრულეთ მოცემული დირექტივი. ძნელი იყო მისი შესრულება, მაგრამ მაინც ერთგვარი ძალდატანებით შეიძლებოდა მისი განხორციელება.

ყრილობამ უნდა გაასწოროს ეს დიდი შეცდომა. სხვათა შორის, ცენტრალური კომიტეტი შეეცადა მის გამოსწორებას. მან მიიღო გადაწყვეტილება, რათა მომავალ წელს საგარეო ვაჭრობას ექნეს აქტიური სალდო თუნდაც 100 მილიონი მანეთი. ეს აბსოლიუტურათ აუცილებელია იმისათვის, რათა ჩვენი ჩერვონეცის ვალიუტა არ შეირყეს, რათა საშუალება გვქონდეს მომავალში კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა.

ასეთია ციფრები და მოსაზრებანი ჩვენი სახალხო მეურნეობის შესახებ მთლიანად, სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონის შესახებ მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, და ყველა იმ სახელმძღვანელო იდეების შესახებ სოციალიზმის მშენებლობაში, რომლის ნიადაგზედაც სდგას ცენტრალური კომიტეტი.

მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ურთიერთ დამოკიდებულება

თუ ავიღებთ შემდეგ საკითხებს რომელიც შეეხება უშუალოთ მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას და მათ ურთიერთ დამოკიდებულებას დღეს და მახლობელ მომავალში, იგი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

პირველი, ჩვენ ჯერ კიდევ აგრარული ქვეყანა ვართ, სასოფლო მეურნეობის პროდუქცია სჭარბობს მრეწველობის პროდუქციას. მთავარი მრეწველობაში ის, რომ იგი უკვე ავიდა ომის წინა დროის ნორმამდე. რომ მრეწველობის შემდეგი ნაბიჯები ნიშნავს მის განვითარებას ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე. ე. ი. ქარხნების ახალი გადაკეთება და ახალი მშენებლობა. ეს საქმე ძალიან ძნელია, ამ საზღვარის გადაბიჯება და მაქსიმალურად გამოყენების პოლიტიკისაგან გადასვლა ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე ახალ ქარხნების მშენებლობის ნიადაგზე, ახალ მრეწველობის მშენებლობის პოლიტიკაზე,—ეს გადასვლა მოითხოვს დიდძალ თანხებს, მაგრამ რადგან ჩვენ განვიცდით თანხების დიდ ნაკლებობას, მომავალში ჩვენი მრეწველობის განვითარება მოხდება, ალბად, არა ისეთი ჩქარის ტემპით, როგორც დღემდის. ასე არ მიდის საქმე სასოფლო-მეურნეობის მხრივ. არ შეიძლება ითქვას, რომ უკვე ამოწურულია სასოფლო-მეურნეობის ყველა შესაძლებლობანი. სასოფლო-მეურნეობას, წინააღმდეგ მრეწველობისა შეუძლია ერთხანს განვითარდეს ჩქარის ტემპით დღევანდელ ტეხნიკურ საფუძვლებზედაც. გლეხებს შორის წერა-კითხვის უბრალო გავრცელებას, ისეთ უბრალო საქმესაც კი, როგორც სათესლე მასალის გაწმენდა, შეუძლია მნიშვნელოვნად გაადიდოს სასოფლო-მეურნეობის პროდუქცია. აი ამიტომ მიწათმოქმედების განვითარებას არ ელობება წინ ისეთი ტეხნიკური სიძნელენი, როგორც ელობება ჩვენს მრეწველობას. ამიტომ მრეწველობის ბალანსის შეუფარდებლობა სასოფლო-მეურნეობის ბალანსთან მომავალში პირველ წლების განმავლობაში კიდევ გაიზრდება.

ამოცანები მრეწველობის განვითარების დარგში

ჩვენი ამოცანები ამ გარემოებასთან დაკავშირებით მდგომარეობს, პირველ ყოვლისა იმაში, რათა კიდევ განვავითაროთ ჩვენი მსხვილი მრეწველობა და რათაც არ უნდა დაგვიჯდეს გადავლახოთ ჩვენს წინაშე წამოჭრილი სიძნელენი. მეორე იმაში, რათა განვავითაროთ ადგილობრივი ტიპის საბჭოთა მრეწველობა, ვინაიდან საკავშირო მრეწველობას, ჩვენ ცენტრალურ ტრესტებს და სინდიკატებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ 140 მილიონიან მცხოვრებთა ყველა მოთხოვნილებანი. თუ ჩვენ ხელი არ შეუწყვეთ ადგილობრივ ძალების განვითარებას სამეურნეო მშენებლობის დარგში და არ განვავითარეთ ადგილობრივ მრეწველობა, ჩვენ ვერ მივაღწევთ ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის საერთო აღორძინებას, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა. ცენტრის ინტერესების და სარგებლიანობის და ადგილობრივ ინტერესების და სარგებლიანობის დაკავშირების გარეშე ჩვენ ვერ გადავსჭრით ადგილობრივ საამშენებლო ინიციატივის პრობლემას, საყოველთაო სამეურნეო განვითარების პრობლემას, ქვეყნის ჩქარი ინდუსტრიალიზაციის პრობლემას. მესამე,—წინად სათბობ მასალის მხრივ დასმული იყო საკითხი სათბობ მასალის წარმოების სიჭარბის შესახებ, ეხლა კი ჩვენ მივადექით საკითხს სათბობი მასალის კრიზისის შესახებ, ვინაიდან ჩვენი მრეწველობა იზრდება უფრო ჩქარა, ვიდრე სათბობი მასალა. აქედან გამომდინარეობს ამოცანა ჩვენი სათბობ მასალათა მეურნეობის განვითარების და მისი ტეხნიკის გაუმჯობესების შესახებ, იმ მიზნით, რათა სათბობი მასალის მეურნეობა არ ჩამორჩეს მრეწველობის განვითარებას. მეოთხე, არსებობს ლი-

საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა

შემდეგ სტალინი გადადის მოხსენების მეორე ნაწილზე, რომელიც ეხება სახელმწიფოს შინაურ მდგომარეობას და ცეკას პოლიტიკას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტალინი აღნიშნავს ძირითად დებულებებს, რომელიც განსაზღვრავს მუშაობას სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობის დარგში.

ჩვენი სამეურნეო განვითარების დამოუკიდებლობისათვის

„პირველი დებულება. ჩვენ ვმუშაობთ და ვეწევით მშენებლობას კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეურნეობა, ჩვენი მშენებლობა განვითარდება ისეთ პირობებში, როდესაც ადგილი ექნება წინააღმდეგობას და შეჯახებას ჩვენი მეურნეობის სისტემისა და კაპიტალისტურ სისტემას შორის. ასეთი წინააღმდეგობა აუცილებელია. ეს არის ჩარჩოები, რომლის ფარგლებში უნდა სწარმოებდეს ორი სისტემის—სოციალისტურ სისტემის და კაპიტალისტურ სისტემის ბრძოლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეურნეობა უნდა განვითარდეს არა მარტო მის დაპირდაპირებით გარეშე კაპიტალისტურ მეურნეობისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ელემენტების, სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების დაპირდაპირების ნიადაგზე. აქედან დასკვნა: ჩვენ უნდა ავაშენოთ ჩვენი მეურნეობა ისე, რათა ქვეყანა არ გადაიქცეს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დამატებათ, რათა იგი არ მოექცეს კაპიტალისტურ განვითარების საერთო სისტემაში, როგორც მისი დამხმარე წარმოება, რათა ჩვენი მეურნეობა განვითარდეს არა როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის დამხმარე წარმოება, არამედ, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, დაყრდნობილი, უმთავრესად შინაურ ბაზარზე, დაყრდნობილი ჩვენი ინდუსტრიის და გლეხური მეურნეობის კავშირზე.

არსებობს ორი გენერალური ხაზი. ერთი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ დიდხანს უნდა დარჩეს აგრარულ ქვეყანად, უნდა გავიტანოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და შემოვიტანოთ მოწყობილობა, ეს გენერალური ხაზი მოითხოვს არსებითად ჩვენი ინდუსტრიის შეკუმშვას. იგი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულიდან უნდა გადაიქცეს საერთო კაპიტალისტურ სისტემის დანამატად. ეს ხაზი ნიშნავს ჩვენს მშენებლობაზე უარის თქმას. მეორე ხაზი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა გავხადოთ ჩვენი ქვეყანა, სანამ ადგილი აქვს კაპიტალისტურ გარემოცვას, ეკონომიურად დამოუკიდებელ ქვეყანად, რომელიც მიიზიდავს ყველა სხვა ქვეყნებს, რომლებიც შორდებიან კაპიტალიზმს და ებმებიან სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობაში. ეს ხაზი მოითხოვს ჩვენი მრეწველობის მაქსიმალურად გაშლას იმ რესურსებთან შედარებით, რომელიც ჩვენ გვაქვს. იგი გადაჭრით უარყოფს ჩვენი ქვეყნის გადაქცევას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის დანამატად.

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 293.

თონის ბალანსის ერთგვარი შეუსაბამობა მთელი სახალხო მეურნეობის ბალანსისადმი. თუ გამოვიანგარიშებთ ლითონის მინიმალურ მოთხოვნილებას და ლითონის გამოშვების მაქსიმალურ შესაძლებლობას, დავინახავთ, რომ ჩვენ გვაკლდება ლითონი რამდენიმე ათეული მილიონი ფუთობით. ასეთ პირობებში არ შეუძლია განვითარება ჩვენს მრეწველობას და მეურნეობას და ამიტომ ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ლითონი წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის უმთავრეს საფუძველს, მისი ბალანსი უნდა შეესაბამებოდეს მრეწველობის და ტრანსპორტის ბალანსს საერთოთ. მეხუთე, ჩვენი კვალიფიციური მუშა-ხელის ბალანსის შეუსაბამობა ჩვენი მრეწველობის ბალანსისადმი. კიდევ ერთი შეუსაბამობა მდგომარეობს იმაში, რომ მოძრავ შემადგენლობის გამოყენების ნორმა რკინის გზებზე აღემატება ყოველგვარ შესაძლებლობას. ჩვენ ზედმეტათ ვფლანგავთ გზათა სახ. კომისარიატის ძირითად თანხას და ახლო მომავალში შეიძლება კატასტროფის წინაშე დავდგეთ, თუ არ მივიღებთ გაბედულ ზომებს. აი ასეთია ნაკლულოვანებანი და შეუსაბამობანი, რომელიც ჩვენი სახალხო მეურნეობის შიგნით არსებობს და რომელიც დაძლეული უნდა იქნას.

ჩვენი საშინაო ვაჭრობა

ვაჭრობის დარგში, ისევე როგორც მრეწველობის დარგში, სახელმწიფო ვაჭრობის ხვედრითი წონის ზრდა ჭარბობს კერძო კაპიტალის ხვედრითი წონას და თუ ვიანგარიშებთ, რომ საშინაო ვაჭრობის საერთო ბრუნვა საქონლის მანეთებში ომამდე უდრიდა 20 მილიარდ მანეთს მივიღებთ რომ 1923—24 წელს ეს ბრუნვა უდრიდა 10 მილიარდ მანეთს. ე. ი. ომის წინა დროის 51 პროც. ხოლო 1924—25 წ. იგი უდრის 14 მილიარდს., ე. ი. 71 პროც. შინაურ ბრუნვის საერთო ზრდა ეჭვს გარეშეა. თუ ვილაპარაკებთ სახელმწიფოს მონაწილეობაზე ამ ბრუნვაში, დავინახავთ, რომ 1923—24 წ. სახელმწიფოს მონაწილეობა უდრიდა მთელი საშინაო სავაჭრო ბრუნვას 45 პრ., კოოპერაციის. 19 პროც. და კერძო კაპიტალის 35 პროც. 1924—25 წ. სახელმწიფოს მონაწილეობა უდრიდა 50 პროცენტს. კოოპერაციის 24,7 პროც. კერძო კაპიტალის 24,9 პროც. საერთოთ კერძო კაპიტალის მონაწილეობა კლებულობს ბრუნვაში, სახელმწიფოს და კოოპერატივის კი იზრდება. პურის დამზადების მხრივ სახელმწიფოს მონაწილეობის პროცენტი აგრეთვე სჭარბობს, მაგრამ მაინც იგი იზრდება უფრო ნაკლებად ვიდრე შარშან. ეს ამტკიცებს იმას, რომ პურის დამზადების საქმეში დაშვებულია შეცდომები.

ეს შეცდომები მდგომარეობს იმაში, რომ გეგმების შედგენის დროს ჩვენ არ გავითვალისწინეთ, რომ ბაზრის მდგომარეობა და დამზადების პირობები წელს განსაკუთრებულია და ახალი, შარშანდელ და შარშანწინდელთან შედარებით. ეს წელიწადია პირველი, როდესაც ჩვენ პურის ბაზარზე გავედით ადმინისტრატიულ ზეგავლენის გარეშე, როდესაც ჩვენ გადასახადის სიმძე, საგადასახადო პრესი მინიმუმამდე დავიყვანეთ, როდესაც გლეხი და მთავრობის აგენტები პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს ბაზარზე თანასწორი უფლებით. ჩვენ არ გავითვალისწინეთ, რომ გლეხს არ სჩვევია მანერები, რომ ის ინახავს თავის სავალიუტო საქონელს—ხორბალს მომავლისათვის ფასების შემდეგი აწევის მოლოდინში და ის ამჯობინებს ჯერ-ჯერობით გამოვიდეს ბაზარზე ნაკლებფასიანი პურით. ამასთან დაკავშირებით გადასინჯულია დამზადების გეგმა და შემცირებულია პურის ექსპორტის გეგმა და შემცირდება აგრეთვე საიმპორტო გეგმაც.

მუშების და გლეხების ნივთიერ კეთილდღეობის ზრდა

სახალხო მეურნეობის განვითარებამ სახელმწიფოში გამოიწვია მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასს შორის. მუშათა კლასის კლასობრივი დაშლა უკვე წარსული ამბავია. მუშათა კლასის აღდგენა და ზრდა ჩქარის ტემპით სწარმოებს. 1924 წლ. 1 აპრილისათვის თუ მივათვლით ყველა მუშებს მრეწველობის ყოველ დარგში, და აგრეთვე სეზონობით მომუშავე სასოფლო-სამეურნეო მუშებს, ჩვენ გვყავდა 5.500.0000 მუშა, აქედან ერთი მილიონი მოჯამაგირე და—760.000 უმუშევარი. 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის დაქირავებული მუშა იყო უკვე 7 მილიონზე მეტი, აქედან—1.200.000 მოჯამაგირე და 715.000 უმუშევარი. მუშათა კლასის ზრდა ეჭვს გარეშეა. თვითეული მუშის საშუალო თვიური ხელფასი მთელს მრეწველობაში შეადგენდა: 1925 წლ. დასაწყისში—35 მან. ე. ი. ომის წინა დროის 62 პროც., 1925 წლ. სექტემბერში—50 მანეთი ე. ი. ომის წინა დროის 95 პროც. არის ცალკე დარგები, რომელთაც გადააჭარბეს მშვიდობიანი დროის დონეს. თუ შევადარებთ სამუშაო ხელფასის და შრომის ნაყოფიერების სიდიდეს, გამოდის, რომ ისინი შეთანხმებით მიდიან: იზრდება სამუშაო ხელფასი, იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. მაგრამ ზოგიერთ თვეებში შრომის ნაყოფიერება იზრდება უფრო ნაკლებად, ვინემ სამუშაო ხელფასი. შრომის სახ. კომისარიატის გამოანგარიშებით სამუშაო ხელფასის ფონდები, მიღებულია მხედველობაში. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო მრეწველობა, 1924—25 წელში შეადგეს 1.200 მილ. მანეთზე მეტს, 1925—26 წელ. ნავარაუდევია 1.700 მილ. მანეთი. სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ზრდას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა გლეხის მეურნეობის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საგეგმო ორგანოების გამოანგარიშებით გამოდის, რომ საგლეხო მოსახლეობის საკუთარი მოხმარების ზრდის პროცენტი უფრო დიდია, ვინემ ქალაქის მოსახლეობის მოხმარების ზრდის პროცენტი. გლეხობა უკეთ იკვებება, ის შემოსავლის უფრო მეტ წილს, ვინემ ეს შარშან იყო, იტოვებს თავისთვის, თავისი წარმოებისთვის და პირადი ხმარებისათვის. რაში გამოიხატა პროლეტარული სახელმწიფოს დახმარება ღარიბ მეურნეობებისათვის და მოუსავლობისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის? ფინანსთა სახ. კომისარიატის გამოანგარიშებით ღარიბ გლეხობისათვის ფინანსიური დახმარება 1924—25 წელში შეადგენდა 105 მილიონ მანეთს. აქედან შეღავათი გადასახადებში და დაზღვევაში—60 მილიონ მანეთამდე, შემდეგ მოუსავლობის შედეგებთან ბრძოლის ფონდისთვის—24 მილ. მანეთი. და კრედიტის ხაზით—12 მილიონი მან. 1924 წლის მოუსავლობისაგან დაზარალებულთა დახმარება ვრცელდება რაიონზე 7 მილიონი მოსახლეობით. ამ მიზნისათვის სულ დახარჯულია 110 მილ. მანეთი. გარდა ამისა დაარსებულ იქნა 77 მილიონიანი ფონდი გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშათა კლასის და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება—ეს არის ძირითადი პირობა, რომლის გარეშე შეუძლებელია წინსვლა ჩვენი აღმშენებლობის სფეროში! ჩვენს საშინაო მდგომარეობაში ძირითადი, რაც თვალში გვხვდება მდგომარეობს იმაში, რომ მუშების და გლეხების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება მათი პოლიტიკური აქტიურობა: ისინი უფრო კრიტიკულად უყურებენ ჩვენს ნაკლებს და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ ჩვენი პრაქტიკის ნაკლის შესახებ

პარტიის ახალი კურსი სოფლად

ჩვენ შევედით ყველა კლასების, ყველა სოციალური ჯგუფების გამოცოცხლების ხანაში. ეს ფაქტი საფუძვლად დაედო ჩვენი პოლიტიკის იმ შეცვლას, რომლის გამოხატულებაა მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი. საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა, გლეხობისათვის დათმობის პოლიტიკა დაქირავებული შრომის და იჯარის საკითხების გამარტივების მხრივ, ღარიბ გლეხობისათვის მატერიალური დახმარება, საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის პოლიტიკა, სამხედრო კომუნიზმის ნაშთების მოსპობა,—აი, რაში გამოიხატა უმთავრესად პარტიის ახალი კურსი სოფლად. ასეთია პარტიული პოლიტიკის საფუძვლები გლეხობის მიმართ მასსების აქტივობის ზრდის და მათი ორგანიზაციის გამოცოცხლების პერიოდში, პოლიტიკის, რომლის მიზანია სოფელთან ურთიერთობის მოწესრიგება, სოფლად პროლეტარიატის და მისი პარტიის ავტორიტეტის აწევა, პროლეტარიატის, ღარიბი გლეხობის და საშუალო გლეხობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა.

ლენინიზმის სამი ძირითადი ლოზუნგი

ამბობენ, რომ კომინტერნის მეორე კონგრესზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია გლეხობის საკითხზე, რომელშიაც ნათქვამია, რომ პროლეტარიატის მოკავშირეთ ძალა-უფლებისათვის ბრძოლის პერიოდში შეიძლება იქნეს მხოლოდ ღარიბი გლეხობა, საშუალო გლეხობის მიმართ კი უნდა ვეცადოთ, რათა მან დაიცვას ნეიტრალიტეტი. მართალია თუ არა ეს? ლენინს ამ რეზოლიუციის დაწერის დროს მხედველობაში ჰქონდა ხელისუფლებისაკენ მიმავალი პარტიები, ჩვენ კი ვართ პარტია, რომელმაც უკვე დაიპყრო ხელისუფლება; აი რაში მდგომარეობს განსხვავება.

გლეხობის საკითხის შესახებ, და არა მუშების გლეხობასთან ან გლეხობის ცალკე ფენებთან კავშირის შესახებ, ლენინიზმს აქვს სამი ძირითადი ლოზუნგი, რომელიც ექვემდებარება რევოლიუციის სამ პერიოდს. მთელი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ სწორად გავიგოთ ერთი ლოზუნგიდან მეორეზე გადასვლა. წინად როცა ჩვენ ვიბრძოდით ბურჟუაზიულ რევოლიუციისათვის და როცა პირველად შევიმუშავეთ ჩვენი ტაქტიკა გლეხობის მიმართ ლენინი ამბობდა; „საჭიროა კავშირი მთელს გლეხობასთან მემამულეების და მეფის წინააღმდეგ და კადეტურ ბურჟუაზიის ნეიტრალობის დაცვა“. ამ ლოზუნგით მაშინ ჩვენ ვიბრძოდით ბურჟუაზიულ რევოლიუციისათვის და გავიმარჯვეთ კიდეც. შემდეგ, როცა ჩვენ მიუახლოვდით მეორე ხანას—ოქტომბერს—ლენინმა მოგვცა ახალი ლოზუნგი, რომელიც შეესაბამებოდა ახალ მდგომარეობას: პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან ყველა ბურჟუების წინააღმდეგ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში. ეს ლოზუნგი აუცილებელია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მებრძოლ კომუნისტური პარტიებისათვის. მაშინაც კი, როცა მათ დაიპყრეს ძალა უფლება, მაგრამ ჯერ არ გაუმაგრებიათ ის, მათ არ შეუძლიათ იქონიონ საშუალო გლეხობასთან კავშირის დაჭერის იმედი. შემდეგში კი, როცა ჩვენ ძალა-უფლება საკმაოდ განვამტკიცეთ, უკუვაქციეთ იმპერიალისტების იერიშები, ლენინმა წამოაყენა მესამე ლოზუნგი—პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის მჭიდრო კავშირი საშუალო გლეხობასთან. ეს ლოზუნგი არის ერთად ერთი სწორი ლოზუნგი, რომელიც ეთანხმება ჩვენი რევოლიუციის ახალ პერიოდს—ფართე აღმშენებლობის პერიოდს. ის სწორეა იმიტომ, რომ სოციალიზმის შენების დროს ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო მილიონებთან, არამედ სოფლის მოსახლეობის ათეულ მილიონებთან.

სხვანაირად შეუძლებელია სოციალიზმის შენება. სოციალიზმის ფარგლებში შედის არა მარტო ქალაქი. სოციალიზმი არის მეურნეობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მრეწველობას და მიწადმოქმედებას წარმოების იარაღების და საშუალებათა განსაზოგადოებრივობის საფუძველზე. მეურნეობის ამ ორ დარგის გაერთიანების გარეშე სოციალიზმი შეუძლებელია.

დამოკიდებულება საშუალო გლეხობასთან

ეს გადასვლა ძველი ლოზუნგიდან —„პროლეტარების კავშირი ღარიბ გლეხობასთან“ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის ლოზუნგიდან საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის ლოზუნგზე მოხდა ჯერ კიდევ პარტიის მე-8-ე ყრილობაზე. ნება მომეცით მოვიყვანო ადგილი ილიჩის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ამ ყრილობის გახსნის დროს:

„ძველი დროის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, როდესაც მათ ჯერ კიდევ სწამდათ რევოლიუცია და თეორეტიულად ემსახურებოდენ მას, ლაპარაკობდენ გლეხობის ნეიტრალიზაციაზე, ე. ი. იმაზე, რომ ამ საშუალო გლეხიდან უნდა შეიქმნეს საზოგადოებრივი ფენა, რომელიც თუ აქტიურად არ დაეხმარება პროლეტარიატის რევოლიუციას, ყოველ შემთხვევაში, ხელს არ შეუშლის ჩვენს მუშაობას. ამოცანის ეს განყენებული, თეორეტიული დასმა ჩვენთვის სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ჩვენ შევედით სოციალისტური აღმშენებლობის ისეთ სტადიაში, როცა სოფლად მუშაობის გამოცდილების მიხედვით საჭიროა კონკრეტიულად და დეტალურად გამომუშავებული იქნეს ძირითადი წესები და მითითებები, რომლებითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ, რათა საშუალო გლეხის მიმართ დავდგეთ მტკიცე კავშირის ნიადაგზე“.

ასეთია თეორეტიული საფუძველი პარტიის პოლიტიკისა, რომელიც ეხლანდელ ისტორიულ ხანში მიმართულია საშუალო გლეხობისადმი მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ. პრაქტიკულად კი ის დასმულია ისე, რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია, გავრეკეთ მემამულეები და მიწები დავურიგეთ გლეხებს, აშკარაა, რომ ჩვენ რუსეთი ცოტად თუ ბევრად საშუალო გლეხობის ქვეყნად გავხადეთ და ეხლა საშუალო გლეხობა სოფლად შეადგენს უმრავლესობას, მიუხედავად დიფერენციაციის პროცესისა.

რადგანაც ჩვენ აგრარული რევოლიუციის შემწეობით სოფელი გავხადეთ საშუალო გლეხის სოფლად, რადგან საშუალო გლეხობა სოფლად შეადგენს უმრავლესობას, მიუხედავად დიფერენციაციის პროცესისა, ხოლო ჩვენი სამეურნეო მუშაობა და ლენინის კოოპერატიული გეგმა მოითხოვს ამ საქმეში გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმას, ამიტომ საშუალო გლეხთან კავშირის პოლიტიკა წარმოადგენს ერთად ერთ სწორ პოლიტიკას ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

როგორ ჩამოაყალიბა ლენინმა ჩვენი ამოცანა, როცა ის ასაბუთებდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას?

„ამჟამად უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა პროდუქტების გადიდებას,—მაშასადამე, გეზის აღებას საშუალო გლეხობაზე მიწადმოქმედებაში. მუყაითი გლეხი წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო აღორძინების ცენტრალურ ფიგურას“.

ეს იდეა საფუძვლად დაედო იმ გადაწყვეტილებებს და იმ დებულებებს გლეხობისადმი, რომლებიც მიღებულ იქნა ჩვენი პარტიის მე-14-ე კონფერენციაზე. მთავარი ამოცანა, რომელიც იდგა ჩვენს წინაშე ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, მდგომარეობდა იმაში, რათა არ ჩაგვეშალა ის პოლიტიკა, რომელიც გამოიმუშავეს აპრილის კონფერენციებმა, პოლიტიკა მჭიდრო კავშირისა საშუალო გლეხობასთან. არ ჩაგვეშალა ეს პოლიტიკა, რადგან პარტიაში თავი იჩინა ასეთ აზრმა, რომ საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის პოლიტიკა არ არის სწორი, ანუ მავნებელია, ვინაიდან ის თითქოს ნიშნავს ღარიბი გლეხობის დავიწყებას. ეს სისულელეა, ამხანაგებო, მაგრამ ეს ფაქტია, ვინაიდან ასეთ აზრს ჰქონდა ადგილი.

ღარიბი გლეხობის დასახმარებლად

რა უნდა ვქნა, რომ აღმოვფხვრა ასეთი განწყობილებები? ჯერ ერთი, უნდა შევასრულოთ ის ამოცანა, რომელიც დასვა ჩვენი პარტიის წინაშე მე-14-ე პარტიულმა კონფერენციამ, ე. ი. გამოვარკვიოთ ღარიბი გლეხობისათვის ნივთიერი დახმარების გაწევის პირობები, წესები და ზომები. მეორე უნდა წამოვაყენოთ ლოზუნგად ღარიბ გლეხთა განსაკუთრებულ ჯგუფების ანუ ფრაქციების მოწყობა აშკარა პოლიტიკური ბრძოლისათვის საშუალო გლეხის მოსაზიდავად და კულაკის გასარიყავად საბჭოების არჩევნებში, და სხვ. თქვენ ხედავთ, რომ ცეკას ოქტომბრის პლენუმის რეზოლიუცია წარმოადგენს მე-14-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა პირდაპირ გაგრძელებას. საჭირო იყო, ჯერ ერთი, კონკრეტიულად დაგვესვა ნივთიერი დახმარების საკითხი, რათა გაგვეუმჯობესებია ღარიბი გლეხობის მატერიალური მდგომარეობა; მეორე, წამოგვეყენებინა ღარიბი გლეხობის დარაზმვის ლოზუნგი. ღარიბ გლეხთა ჯგუფების მოწყობის ლოზუნგი საჭირო გახდა იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ღარიბი გლეხობის დაქსაქსულობა და საშუალება მიგვეცა მისთვის დარაზმულიყო კომუნისტების დახმარებით დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც შეუძლია გახდეს სოფლად პროლეტარიატის შეკავშირებულ დასაყრდენად ბრძოლაში კულაკის წინააღმდეგ, ბრძოლაში საშუალო გლეხობისათვის.

უნდა მივსცეთ ღარიბ გლეხობას ლოზუნგი, რათა ის, ბოლოს და ბოლოს, დადგეს საკუთარ ფეხზე, რათა ის კომუნისტური პარტიის და სახელმწიფოს შემწეობით დაირაზმოს ჯგუფებად და ისწავლოს საბჭოების კოოპერაციის, გლეხკომების და საერთოდ სოფლის საზოგადოებრივობის ყველა აპარატზე ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ არა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოსათვის მიმართვის, არამედ შეკავშირებული პოლიტიკური ბრძოლის გზით.

ორგვარი გადახრა გლეხობის საკითხში

საგლეხო პოლიტიკასთან დაკავშირებით პარტიაში თავი იჩინა ორმა გადახრამ: ერთი არის კულაკის საფრთხის ნაკლებად შეფასება, ხოლო მეორე კი მისი გადაჭარბებულად შეფასება, საშუალო გლეხობის როლის სათანადოთ შეუფასებლობა. არ ვიტყვი, რომ ეს გადახრანი წარმოადგენენ დამღუპველ რამეს ჩვენთვის.

მაგრამ გადახრა არის შეცდომის დასაწყისი და ჩვენ ან მივსცემთ ამ შეცდომის განვითარების საშუალებას, და მაშინ საქმე ცუდათ წავა, ან ამ შეცდომას ძირშივე აღმოვფხვრით, და მაშინ საფრთხეც აღმოიფხვრება.

ლაპარაკობენ კულაკურ გადახრაზე. პარტიაში არ შეიძლება იყოს კულაკური გადახრა. ლაპარაკია არა კულაკურ გადახრაზე, არამედ გადახრაზე კულაკის საფრთხის საკმაოდ შეუფასებლობისაკენ. თუნდაც რომ არ იყვნენ ისეთი ხალხი, რომლებიც დადგებოდენ ასეთი გადახრის, ნიადაგზე, ისინი სულ ერთია მაინც გაჩნდებიან, რადგან ჩვენში განვითარება სწარმოებს კაპიტალიზმის ერთგვარი განცოცხლების მხრივ,—ხოლო კაპიტალიზმის გამოცოცხლებამ არ შეიძლება არ წარმოშვას ერთგვარი დაბნეულობა ჩვენი პარტიის გარშემო. მეორე მხრივ ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, სწარმოებს ბრძოლა მასსა და კერძო კაპიტალს შორის; უპირატესობა ამჟამად სოციალისტურ ელემენტების მხარეზეა: ჩვენ დავიმორჩილებთ კულაკს და კერძო კაპიტალისტს ქალაქში. მაგრამ კულაკი იზრდება და ის ეკონომიურად ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ დავძლიეთ. უდავოა, რომ კულაკი ძალებს იკრებს და ვინც ამას ვერ ამჩნევს, ვინც ამბობს, რომ ამას არაფერი მნიშვნელობა არ აქვს, რომ კულაკი საფრთხობელაა, ის უმზადებს პარტიას ისეთ საფრთხეს, რომ მან დაჰკარგოს სიფხიზლე და აღმოაჩინოს განიარაღებული ბრძოლაში კულაკის წინააღმდეგ და აგრეთვე ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რადგან კულაკი არის კაპიტალიზმის აგენტი სოფლად.

ეს გადახრა სოფლად კულაკის საფრთხის სათანადოთ შეუფასებლობისაკენ, გადახრა, რომელიც ხელს უშლის პარტიას მუდამ მზად იყოს ბრძოლისათვის,—დაჰგმო ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილებით.

მაგრამ არის მეორე გადახრა კულაკის საფრთხის გადაჭარბებულად შეფასებისაკენ, რომელიც ნიშნავს დაბნევას კულაკის საფრთხის წინაშე, პანიკის შექმნას—„მოდის კულაკი, გვიშველეთ!“ დაბნევა მივიდა იქნამდე, რომ დაავიწყდათ საშუალო გლეხი, ხოლო უმთავრეს ამოცანას სოფლად წარმოადგენს საშუალო გლეხობის დაპყრობა, ბრძოლა კულაკის გარიყვისათვის საშუალო გლეხთან მჭიდრო კავშირის დაჭერის გზით.

მე ვფიქრობ, რომ თუ ღრმად ჩავსწვდებით ამ ორი გადახრის ფესვებს მივიდოდით შემდეგ გამოსავალ წერტილებამდე: პირველი გადახრა მდგომარეობს სოფლად კულაკის და საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების როლის ნაკლებათ შეფასებაში, კულაკის საფრთხის მიჩქმალვაში. ის გამომდინარეობს იქიდან, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარება არ იწვევს კაპიტალისტური ელემენტების გამოცოცხლებას სოფლად, რომ კულაკი და საერთოდ-კაპიტალისტური ელემენტები ბარდებიან ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, უკვე ჩაბარდენ ისტორიას, რომ დიფერენციაცია სოფლად არ ხდება, რომ კულაკი არის წარსულის გამოხმაურება, საფრთხობელა და მეტი არაფერი. ამ გადახრას ნამდვილად მივყევართ სოფლად კლასობრივი ბრძოლის უარყოფამდე. მეორე გადახრა მდგომარეობს კულაკის და საერთოდ სოფლად კაპიტალისტური ელემენტების გაზვიადებულად შეფასებაში, ამ ელემენტების მიმართ პანიკის შექმნაში, იმის უარყოფაში, რომ პროლეტარიატის კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობასთან შესაძლებელი და მიზანშეწონილია. ის გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენში სოფლად ხდება პირდაპირ კაპიტალიზმის აღდგენა, რომ ეს კაპიტალიზმის აღდგენის პროცესი ნთქავს ყველაფერს, თუ სავსებით არა მეტ წილად ის ედება ჩვენს კოოპერაციასაც; რომ ასეთ განვითარებას შედეგად უნდა მოჰყვეს დიფერენციაციის შეუჩერებელი ზრდა დიდი მასშტაბით, რომ უკიდურესი ჯგუფები, ე. ი. კულაკები და ღარიბი გლეხები, უნდა გაძლიერდენ და გაიზარდონ ყოველ წლობით, რომ საშუალო ჯგუფები უნდა დასუსტდენ აგრეთვე ყოველ წლობით.

საქმით ეს გადახრა იწვევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას სოფლად, ღარიბ გლეხობის კომიტეტების პოლიტიკისათვის დაბრუნებას, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყებას, მთელი ჩვენი სააღმშენებლო მუშაობის ჩაშლას და ბოლოს ლენინის კოოპერატიულ გეგმის უარყოფას, რომელი გეგმაც გულისხმობს გლეხურ მეურნეობის ჩაბმას სოციალისტური მშენებლობის სისტემაში.

. საბედნიეროთ ჩვენს პარტიაში არიან ძალები, რომლებიც აღმოფხვრიან ორივე გადახრას. ორივე გადახრა საშიშარია და ძნელია თქმა რომელი უფრო საშიშია. მაგრამ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ რომელ გადახრასთან სასრძოლველად უფრო მომზადებულია ჩვენი პარტია. თუ ვკითხებით კომუნისტებს, რისთვის უფრო მომზადებულია პარტია. იმისათვის, რათა გავაშიშვლოთ კულაკი, თუ არ ჩავიდინოთ ეს და კავშირი დავიჭიროთ საშუალო შეძლების გლეხობასთან, მე ვფიქრობ, რომ 100 კომუნისტიდან 99 იტყვის, რომ პარტია უფრო მომზადებულია ლოზუნგისათვის „ჰკა კულაკს“. რაც შეეხება იმას, რომ არ მოვსპოთ კულაკი ძალდატანებითი ზომებით, (раскулачивать), არამედ ვაწარმოვოთ კულაკის იზოლიაციის უფრო რთული პოლიტიკა საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირის, გზით, ამას არც ისე ითვისებენ.

აი ამიტომ ორივე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიამ მთელი ძალ-ღონე უნდა მიმართოს მეორე გადახრისაკენ.

არავითარი მარქსიზმით და ლენინიზმით არ შეიძლება დაიფაროს ის მდგომარეობა, რომ კულაკი საშიშარია. იგი საშიშარია რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ბოგუშევსკიმ „უპელზე“. ამას ვერ აღმოფხვრით კომუნისტში ვერავითარი ციტატებით.

ხოლო დებულება, რომ საშუალო შეძლების გლეხთან საჭიროა მტკიცე კავშირი, მაშინ როდესაც ილიჩი მე-2 კონგრესის რეზოლიუციაში სწერს საშუალო შეძლების გლეხის განეიტრალებაზე, ეს დებულება ყოველთვის შეიძლება დავფაროთ ლენინიზმით და მარქსიზმით. აქ ყველას აქვს საშუალება მოიყვანოს ციტატები, ვისაც სურს შეცდომაში შეიყვანოს პარტია, ვისაც სურს დაფაროს სიმართლე.

ასეთ მდგომარეობაშია საკითხი კავშირის შინაურ მდგომარეობის, მისი მეურნეობის, მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, კლასების, კლასების აქტივობის, საბჭოების გამოცოცხლების და გლეხობის შესახებ. არ შევჩერდები ზოგიერთ საკითხებზე, რომელიც შეეხება სახელმწიფო აპარატს. არაფერს ვიტყვი ჩვენი სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმზე, არ ვიტყვი, იმიტომ, რომ ეს საკითხი არ არის ახალი პარტიისათვის. გადავალ პარტიის ამოცანებზე საშინაო პოლიტიკის დარგში.

ამოცანები სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში

სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში მთლიანად ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მუშაობა; ქვეყნის პროდუქციის გასადიდებლად ჩვენი ქვეყნის გადასაქცევათ აგრარულ ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, სახალხო მეურნეობაში უფრო მეტ სოციალისტურ ელემენტების დასაგროვებლად, რათა უკანასკნელებმა გადააჭარბონ კაპიტალისტურ ელემენტებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფელად კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში! არა საგადასახადო შემოსავლის გასადიდებლად სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო სისტემაში.

. მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის დარგში უნდა ვაწარმოვოთ მუშაობა: ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განსავითარებლად ტექნიკურ დონეს აწევის საფუძველზე, შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად, თვითღირებულების შესამცირებლად კაპიტალის ბრუნვის სიჩქარის გასადიდებლად, სათბობი მასალის და ლითონის ბალანსის და აგრეთვე რკინისგზის ტრანსპორტის შესაფარდებლად მრეწველობის და ქვეყნის მოთხოვნილებებთან, ადგილობრივ მნიშვნელობის საბჭოთა მრეწველობის განსავითარებლად, მიწის მოსავლიანობის, მიწათმოქმედების ტექნიკურ დონის ასაწევად, ტექნიკურ კულტურის და სასოფლო-მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის განსავითარებლად, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობის ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში კოოპერატივებში მასიური გაერთიანებით და გლეხობის კულტურულ დონეს აწევით.

ვაჭრობის დარგში უნდა ვაწარმოვოთ მუშაობა: საქონლის გამტარებელ ქსელის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად, საქონლის ტრიალის სიჩქარის გასაძლიერებლად, საცალო ფასების შესამცირებლად და საბჭოთა კოოპერატიულ ვაჭრობის განსავითარებლად, რათა იგი აჭარბებდეს კერძო ვაჭრობას, ყველა დამმზადებელ ორგანოებას ერთიანი ფრონტის შესაქმნელად და მტკიცე დასამზადებელ დისციპლინის უზრუნველსაყოფელად, უცხო ქვეყნებთან საქონლის ტრიალის გასაძლიერებლად სავაჭრო ბალანსის აქტივობის და, მაშასადამე, აქტიურ საანგარიშო ბალანსის უზრუნველყოფით, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას მტკიცე ვალიუტის შენარჩუნებისათვის და ინფლიაციისაგან უზრუნველყოფისათვის.

გეგმიანობის დარგში საჭიროა მუშაობა იმ მიმართულებით, რათა აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნას საჭირო მარაგი. ორიოდე სიტყვა რეზერვის ერთ-ერთ წყაროს—არაყის შესახებ. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ შეიძლება სოციალიზმის დამყარება თეთრი ხელთათმანებით. ეს დიდი შეცდომაა. თუ ჩვენ არა გვაქვს სესხი, თუ ჩვენ ღარიბი ვართ თანხებით, თუ ჩვენ არ შეგვიძლია დამმონებელი კონცესიების მიღება, გვრჩება ერთი—ვეძებოთ წყაროები სხვა დარგებში—ეს უფრო უკეთესია, ვიდრე დამონება.

კლასთა ურთიერთობის დარგში უნდა ვიწარმოვოთ მუშაობა: პროლეტარიატის, ღარიბ გლეხობის და საშუალო შეძლების გლეხობის შორის კავშირის უზრუნველსაყოფელად, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად კულაკის და ქალაქის კაპიტალისტის პოლიტიკურად ჩამოსაშორებლად.

საბჭოთა მშენებლობის დარგში უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს და ამ ბრძოლაში ჩავაბათ მუშათა კლასის ფართო მასები.

„სმენავეხოველების“ შესახებ

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ახალი ბურჟუაზიის და მის იდეოლოგების — „სმენავეხოველების“ შესახებ. ახალმა ბურჟუაზიამ წამოაყენა თავისი იდეოლოგია, „სმენავეხოველების“ იდეოლოგია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტური პარტია უნდა გადაგვარდეს, რომ ჩვენთვის სრულიად შეუმჩნევლად უნდა მივადგეთ დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვარს, გადავაბიჯოთ ამ საზღვარს და რომელიმე ცეზარის დახმარებით ჩავდგეთ ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის მდგომარეობაში.

ასეთია ეს ახალი იდეოლოგია, რომელიც სცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ჩვენი მოსამსახურე ინტელიგენცია და არა მარტო იგი, არამედ ზოგიერთი ჩვენთან ახლოს მდგომი წრეებიც. არ გავაბათილებ დებულებას ჩვენი პარტიის გადაგვარების შესახებ, ვინაიდან არა ღირს სისულელის გაბათილება. ჩვენი პარტია აშენებულია არა ისეთი მასალიდან, იგი გამოჭედილია არა ისეთი ადამიანის მიერ, რომ იგი გადაგვარდეს. ჩვენი კადრები, ახალგაზრდა და ძველები იზრდებიან იდეურად. ეხლა ყველანი კითხულობენ, სწავლობენ და იგებენ. წამოძახილით გადაგვარების შესახებ ეხლა უკვე ვერავის შეაშინებ. ეს ფაქტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას იმისას, რომ ლენინიზმის გზას ჩვენი პარტია არასოდეს არ გადასცდება და თუ მე მაინც დავიწყე ლაპარაკი „სმენავეხოველების“ შესახებ, იმისათვის, რათა ორიოდე სიტყვით მეპასუხნა ყველა იმათთვის, რომლებსაც იმედი აქვთ ჩვენი პარტიის და ჩვენი ცეკას გადაგვარების.

ჩვენი პარტიის მდგომარეობა

გადავდივარ პარტიაზე. მე ვილაპარაკე პროლეტარიატის დიქტატურის წარმატებებზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში მანევრიანობის და ქვეყნის შიგნივ სოციალისტურ მშენებლობის დარგში. მაგრამ ეს წარმატებანი შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენი პარტია არ ყოფილიყო თავის ამოცანების სიმაღლეზე, რომ იგი არ გაზრდილიყო და არ განმტკიცებულიყო. ამ მხრივ პარტიის, როგორც ხელმძღვანელი ძალის მნიშვნელობა განუზომელია. პროლეტარიატის დიქტატურა ტარდება არა თავისთავად, არამედ უწინარეს ყოვლისა პარტიის ძალებით და მისი ხელმძღვანელობით. პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე კაპიტალისტურ გარემოცვის თანამედროვე პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა, საკმარისია მხოლოდ შევარყიოთ პარტია და შევასუსტოთ იგი, რათამაშინვე შეირყეს და დასუსტდეს პროლეტარიატის დიქტატურა.

ამით აიხსნება ის, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუები პირზე ცოფმორეული იხსენიებენ ჩვენს პარტიას. ამით მე სრულებითაც არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენი პარტია და სახელმწიფო ერთი და იგივეა. პარტია არის ჩვენ სახელმწიფოში ხელმძღვანელი ძალა. მინდა მხოლოდ ვსთქვა, რომ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხებში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა პარტიას. მხოლოდ ამით აიხსნება ჩვენი გამარჯვება ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ამიტომ საკითხი პარტიის შემადგენლობის შესახებ, მისი იდეურ დონის მისი კადრების, მის მიერ სამეურნეო და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დასმის და გადაწყვეტის ხელმძღვანელობის შესახებ, მუშათა კლასსა და გლეხობის შორის მისი ხვედრითი წონის შესახებ, დაბოლოს, საკითხი საერთოდ მისი საშინაო მდგომარეობის შესახებ, წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკის ძირითად საკითხს.

პარტიის საერთო რიცხვი 1924 წლ. 1 აპრილისათვის ლენინის გაწვევის გარეშე, გამოიხატებოდა 446.090 პარტიის წევრებში და კანდიდატებში, აქედან მუშები იყო 44 პროც., გლეხები 23 პროც., მოსამსახურეები და სხ. 27 პროც. 1925 წლის 1 ნოემბრისათვის ჩვენ გვყავს 1.025.000 კომუნისტი. მუშათა კლასის რამდენი პროცენტია დარაზმული ჩვენს პარტიაში? მე-13 ყრილობაზე ჩემს საორგანიზაციო ანგარიშში მე ვსთქვი, რომ ჩვენს ქვეყანაში არის სულ 4.100.0000 მუშა, აქ არ შედიოდა წვრილი მრეწველობის მუშები, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელი იყო. 1925 წლ. 1 ივლისისათვის იყო 6.500.000 მუშა, აქედან პარტიაში გვყავდა 534.000, ე. ი. მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 8 პროც. 1925 წლ. 1 ოქტომბრისათვის იყო 7 მილ. მუშა, პარტიაში—570.000 ე. ი. 8 პროც. მე [illegible], რომ და[illegible] იმის თქმა, რომ 1 და 2 წლის განმავლობაში უნდა მივაღწიოთ სახელმწიფოს მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 90 პროც. პარტიის რიგებში დარაზმვას.

იზრდება თუ არა პარტიის ხვედრითი წონა მუშათა კლასში? ზედმეტია ლაპარაკი ამ აშკარა ჭეშმარიტებაზე. ჩვენი პარტია არის არჩეული (выборная) პარტია. ამ მხრივ ჩვენ ვაღწევთ იმას, რისთვისაც არ მიუღწევია არც ერთ პარტიას მსოფლიოში. უკვე ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ჩვენი პარტიის ხვედრითი წონა მუშათა კლასის რიგებში განუზომელია და რომ ჩვენი პარტია მონოპოლიურია მუშათა კლასის შიგნით.

რაც შეეხება ჩვენი პარტიის ხვედრითი წონას სოფლად, აქ საქმე საკმაოდ მოისუსტებს. მე-13 ყრილობისათვის სოფლის მოსახლეობა 16-დან—60 წლამდე სახელმწიფოში შეადგენდა 53 მილ., მე-14 ყრილობისათვის—54 მილიონზე მეტს, კომუნისტები კი სოფლის უჯრედებში მე-13 ყრილობისათვის ითვლებოდნენ 136,000 ე. ი. 0,26 პროც. მთელ მოზრდილ სოფლის მოსახლეობასთან შედარებით. მე-14 ყრილობისათვის ჩვენ გვყავს პარტიაში 202,000 გლეხი ე. ი. 0,27 პროც. ძლიერ ნელის ტემპით მიდის პარტიის ზრდა სოფლად.

მე არ მინდა იმის თქმა, რომ ის უნდა მიდიოდეს ძლიერ სწრაფი ნაბიჯით, მაგრამ გლეხობის ეს პროცენტი ჩვენს პარტიაში მაინც მეტად უმნიშვნელოა. ჩვენი პარტია არის მუშათა პარტია და მასში ყოველთვის უნდა სჭარბობდენ მუშები. ეს არის იმის გამოხატულება, რომ ჩვენ გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ აშკარაა, რომ გლეხობასთან კავშირის გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია, რომ გლეხობის საუკეთესო ნაწილის ეს თუ ის პროცენტი უნდა გვყავდეს ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, რათა გვქონდეს დასაყრდენი სოფლად. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა არ არის მაინც და მაინც კარგად.

უნდა აღინიშნოს ჩვენი პარტიის იდეურ დონის საერთო ზრდა. არსებული ცნობების მიხედვით ჩვენი ხელმძღვანელ კადრების, ახალგაზრდების და მოზრდილების იდეური დონე შესამჩნევად გაიზარდა. მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ დისკუსია, რომელიც შარშან ჩვენ გვქონდა ტროცკიზმთან. ამჟამად ჩვენში სამწუხაროდ იწყება ახალი დისკუსია. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ პარტია ამ დისკუსიასაც მალე გაართმევს თავს და არაფერი არაჩვეულებრივი არ მოხდება.

ჩვენ დავსძლევთ შინაურ სიძნელეთ

ჩემს მოხსენებაში მე ვილაპარაკე ჩვენ საგარეო პოლიტიკაზე და იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ღრღნის კაპიტალისტურ მსოფლიოს; ვილაპარაკე, რომ ამ წინააღმდეგობათა გადალახვა შეიძლება მხოლოდ დასავლეთში მუშათა რევოლიუციის საშუალებით. ვილაპარაკე წინააღმდეგობებზე იმ ჩარჩოებში რომელშიაც ჩაყენებულია საბჭოთა კავშირის ურთიერთდამოკიდებულება კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან; ვილაპარაკე, რომ ეს სახელმწიფოები შეეცდებიან გადააქციონ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ სისტემის დანამატად, შეეცდებიან ნელნელა მოახდინონ ინტერვენცია ჩვენში, ჩვენი კი ვაწარმოებთ თავდაცვას, ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ დასავლეთის მუშათა კლასი გაგვიწევს დახმარებას, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის მუშებმა გახშირეს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობა და ჩვენთან ურთიერთობის დაჭერა. ამ წინააღმდეგობათ ჩვენ ვსძლევთ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, კაპიტალიზმის და სოციალიზმის მსოფლიოს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადალახვას მარტო საკუთარი ძალებით ჩვენ ვერ შევსძლებთ,—ამისათვის საჭიროა მთელ რიგ ქვეყნების დახმარება, მთელ რიგ ქვეყნებში დაწყებულ პროლეტარული რევოლიუციის დახმარება. შემდეგ მე ვილაპარაკე წინააღმდეგობაზე ჩვენი ქვეყნის შიგნივ, წინააღმდეგობაზე კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტებს შორის. მე ვსთქვი, რომ ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალებით ამ წინააღმდეგობათა გადალახვა. ვინც დარწმუნებული არ არის ამ საქმეში, ის არის ლიკვიდატორი, ის არ არის დარწმუნებული სოციალისტურ მთავრობაში. ამ წინააღმდეგობებს ჩვენ გადავლახავთ და კიდეც დავიწყეთ მათი დაძლევა. რა თქმა უნდა, რაც უფრო ჩქარა მივიღებთ დახმარებას დასავლეთის მხრივ, მით უკეთესი: მით უფრო ჩქარა დავსძლევთ ჩვენ ამ წინააღმდეგობებს, რათა საბოლოოთ დავამარცხოთ, კერძო კაპიტალი და მივაღწიოთ სოციალიზმის სრულ გამარჯვებას. მაგრამ გარედან დაუხმარებლადაც ჩვენ არ მივეცემით სასოწარკვეთილებას, მუშაობას თავს არ გავანებებთ და სიძნელის არ შეგვეშინდება. ვინც დაიღალა, ვისაც სიძნელის შეეშინდა ვინც დაიბნა, დეე მან გზა მისცეს იმათ, ვინც სიმამაცე და სიმტკიცე შეინარჩუნეს.

მე ვილაპარაკე ჩვენი პარტიის შეცდომებზე. შეცდომები ბევრი გვქონდა, მაგრამ წარმატებებიც გვაქვს. ასე თუ ისე, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი ფართო სააღმშენებლო მუშაობით, ჩვენი გაფართოებული ბოლშევიკური შეტევით სამეურნეო ფრონტზე და წარმატებებით, რომელთაც ჩვენ აქ მივაღწიეთ ჩვენ დავანახვეთ მთელ ქვეყანას, რომ მუშებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება, შეუძლიათ არა მარტო კაპიტალიზმის განადგურება, არა მარტო ნგრევა, არამედ ახალი საზოგადოების, სოციალიზმის შენებაც.

ამ მონაპოვარს ჩვენ ვერავინ წაგვართმევს. ეს ყველაზე დიდი, ყველაზე ძნელი მონაპოვარია იმ მონაპოვართა შორის, რომელიც ჩვენ დღემდის გვქონდა, რადგან ჩვენ დავანახვეთ დასავლეთის მუშათა კლასს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს, რომ მუშებმა, რომლებიც ისტორიის მანძილზე მხოლოდ მუშაობდენ, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ გამოიჩინეს უდიდესი ქვეყნის მართვა გამგეობის და სოციალიზმის მშენებლობის უნარი უძნელეს პირობებში.

მსოფლიო რევოლიუციის გასამარჯვებლად

რა არის საჭირო იმისათვის, რათა დასავლეთში პროლეტარიატმა გაიმარჯვოს? უწინარეს ყოვლისა რწმენა თავის ძალებში და შეგნება, რომ მუშათა კლასს შეუძლია არსებობა ბურჟუაზიის გარეშე, რომ მუშათა კლასს შეუძლია არა მარტო ძველის დანგრევა, არამედ ახალის, სოციალიზმის აშენება. სოციალ-დემოკრატიის მუშაობა მდგომარეობს იმაში, რათა შთაუნერგოს მუშებს სკეპტიციზმი და დაურწმუნებლობა თავის ძალებში, დაურწმუნებლობა იმაში, რომ ძალით შეიძლება გამარჯვება ბურჟუაზიაზე. მთელი ჩვენი მუშაობის, მთელი ჩვენი აღმშენებლობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ეს მუშაობა, ეს მშენებლობა არწმუნებს კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასს, რომ მუშათა კლასს შეუძლია უბურჟუაზიოთ არსებობა და თავისი საკუთარი ძალებით ახალი საზოგადოების მშენებლობა. ამის მიღწევა ნიშნავს იმას რათა კაპიტალისტურ ქვეყნების მუშებს შთაუნერგოთ რწმენა თავიანთ ძალებში. თავიანთ გამარჯვებაში. ეს ნიშნავს მათთვის ახალი იარაღის მიცემას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და ხომ ისინი იღებენ ამ იარაღს ხელში რომ ისინი მზად არიან გამოიყენონ იგი, ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ჩვენ ქვეყანაში, საზღვარგარეთელ მუშების მოგზაურობა თანდათან ფართოვდება.

როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები გაიმსჭვალებიან რწმენით თავიანთ ძალებში, თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეს იქნება კაპიტალიზმის დასასრულის დასაწყისი და პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების ნიშანი. აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ვმუშაობთ არა ტყუილ-უბრალოთ, როდესაც ვაშენებთ სოციალიზმს. აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამ მუშაობაში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ საერთაშორისო მასშტაბით“.

ცეკას საორგანიზაციო ანგარიში

ამხ. მოლოტოვის მოხსენება

მოსკოვი, 19 დეკემბერი. დილის სხდომაზე ვრცელი მოხსენებით ცეკას საორგანიზაციო ანგარიშის შესახებ გამოდის მოლოტოვი, რომელსაც მქუხარე ტაშისცემით ხვდება მთელი ყრილობა.

მოლოტოვი დაწვრილებით ახასიათებს პერიოდს მე-13-ე და მე-14-ე ყრილობებს შორის. ამ პერიოდს ახასიათებს მუშათა კლასის და გლეხობის პოლიტიკური აქტივობის ზრდა. პარტიის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა მუშათა და გლეხთა მასების ხელმძღვანელობის და გამოცოცხლების ამოცანა. მუშათა და გლეხთა მასებს შორის მუშაობის მთავარი პრინციპები დასახული იყო როგორც რ. კ. პ. ცეკას პლენუმზე 1924 წლის ოქტომბერში, ისე მე-14-ე პარტკონფერენციაზე.

თავის მოხსენებას მოლოტოვი ჰყოფს ოთხ ნაწილად: პარტია და მუშათა კლასის ხელმძღვანელობა; პარტია და გლეხობის ხელმძღვანელობა; პარტია და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობა; შინაპარტიული მუშაობა.

მთავარი, რაც განსაზღვრავდა პარტიის მუშაობას მუშათა კლასის ხელმძღვანელობის საქმეში, იყო: მუშაობა მასიურ პროლეტარულ ორგანიზაციებში, რომელთა ზრდა უსათუოდ გრძელდებოდა და გრძელდება ეხლაც.

მოლოტოვს მოჰყავს მთელი რიგი ციფრებისა, რომლებიც მოწმობენ პროფკავშირთა წევრების რიცხვის ზრდას, კომუნისტური და პროლეტარული შემადგენლობის გაძლიერებას მათ ხელმძღვანელ ორგანოებში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საწარმოო თათბირები და საწარმოო კონფერენციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ მუშების სულ უფრო და უფრო ფართო მასები, რომლებიც, ამრიგად, ჩაბმული არიან საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკული ხელმძღვანელობის საქმეში. ნებაყოფლობით საზოგადოებებში მონაწილეობას იღებს 10 მილიონამდე კაცი, რომელთაგან 70 პროცენტს შეადგენენ მუშები, ნებაყოფლობითი საშეფო საზოგადოებების მუშაობა საზოგადოებრივია მით, რომ ამ საზოგადოებების საშუალებით ხდება ახალ პროლეტარულ მუშაკების წამოყენება სოფლისათვის.

მოლოტოვი დაწვრილებით ანალიზს უკეთებს მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობას, აღნიშნავს მუშკორთა და გლეხკორთა შემადგენლობის რიცხვობრივ ზრდას: მე-13-ე ყრილობის დროს იყო 48000, ხოლო მე-14-ე ყრილობისათვის არის 220000.

შემდეგ მოლოტოვი ეხება გლეხობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხს. ამ ხელმძღვანელობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს წითელი არმია, რომლის 72 პროცენტს შეადგენს გლეხობა. წითელი არმია წარმოადგენს უპარტიო გლეხობის აღმზრდელ სკოლას. წითელ არმიაში მუშაობას პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა. პარტიის წევრთა რიცხვი წითელ არმიაში გაიზარდა 15 პროცენტამდე, პარტიის წევრთა რიცხვი არმიის უფროსთა შემადგენლობაში აღწევს 29 პროცენტს.

რა გააკეთა ცეკამ სოფლად პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის საკითხში. მოხდა 10 საგლეხო მაზრის შემოწმება, საგრძნობლად გადიდებულია სოფლად პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკების დროებით მივლინებათა რიცხვი, საერთოდ, სოფლად მუშაობისათვის პარტიამ მობილიზაცია უყო 10 ათასამდე კაცს.

ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ყურადღება პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობისადმი სოფლად, საჭიროა, რომ მთელმა პარტიამ ყურადღება მიაქციოს და დახმარება აღმოუჩინოს ყველა ამხანაგებს, რომლებიც გაწვეული არიან მობილიზაციით სოფლად მუშაობისათვის. საბჭოების გამოცოცხლება მხოლოდ დაიწყო,—საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ მუშაობას, საჭიროა უფრო ღრმად ჩაუნერგოთ პარტიულ ორგანიზაციებს ადგილებზე იმის შეგნება, რომ აუცილებელია ხელის აღება მბრძანებლობის მეთოდებზე. უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა გლეხობის უპარტიო აქტივისადმი. უნდა გავაუმჯობესოთ ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეების ორგანიზაციები, ვინაიდან ეს მუშაობა ჯერ კიდევ ცუდათ არის დაყენებული.

გასულ პერიოდში ცეკამ დიდი ყურადღება მიაქცია სახელმწიფო აპარატისადმი პარტიის ხელმძღვანელობის საკითხებს. უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაიზარდა პარტიის წევრთა რიცხვი ჩვენი მრეწველობის და ვაჭრობის ხელმძღვანელთა შემადგენლობას შორის, აგრეთვე საგრძნობლად გაიზარდა ამ შემადგენლობაში მუშური ნაწილი. ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ფართო მასების მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მასებთან კავშირის ხაზით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ზრდა, გაზეთების რაოდენობის გადიდება. მარტო გლეხური ბეჭდვითი სიტყვა უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიზარდა 2 ნახევარ ჯერ. თუ შარშან ერთი გაზეთი ხვდებოდა 49 გლეხურ კომლს, ეხლა ერთი გაზეთი ხვდება 13 კომლს, გაიზარდა აგრეთვე წიგნის პროდუქცია 50 პროცენტით. უნდა აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რომელიც გასწია პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდა“-მ ფართო პარტიულ მასებისათვის პარტიის პოლიტიკის გაცნობის საქმეში. დიდი წარმატებით ჩაატარა პარტიამ ბრძოლა გადახრების წინააღმდეგ, რომლებმაც თავი იჩინა პარტიაში. ასეთი წარმატებით უნდა იქნეს ჩატარებული აგრეთვე ბრძოლა ლენინიზმის ვულგარიზაციის წინააღმდეგ“.

გადადის რა შინაპარტიული დემოკრატიის საკითხზე; მოლოტოვი აღნიშნავს, რომ შინაპარტიული დემოკრატიის ზრდის წინასწარ პირობას წარმოადგენს პარტიის აქტივობის დიდი ზრდა.

სარევიზიო კომისიის მოხსენება

მოლოტოვის მოხსენების შემდეგ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. კურსკი, რომელმაც აღნიშნა გეგმიანი დასაწყისის გაძლიერება როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა ცეკას აპარატის მუშაობაში. ცეკას ორგბიუროს მუშაობის გეგმა, რომლის ფარგლებში შედის პარტიის მუშაობის უდიდეს ამოცანათა მთელი რიგი: საწარმოო თათბირები, მუშაობა სოფლად, მუშაობა ბეჭდვითი სიტყვის დარგში, საბჭოთა აღმშენებლობა, განათლება, სამხედრო მშენებლობა—შესრულებული იყო თითქმის 100 პროცენტით.

ცეკას აპარატის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი ცალკე განყოფილებების მუშაობის კავშირი პარტორგანიზაციის სათანადო განყოფილებებთან ადგილებზე. მეტად მნიშვნელოვანია ცეკას მუშაობის მიღწევები შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის საქმეში.

ნაკლათ უნდა ჩაითვალოს პირადი შემადგენლობის დიდი ცვალებადობა და მუშაკების ხშირი შეცვლა ცეკას აპარატის შიგნით.

ბეჭდვითი სიტყვის დარგის განყოფილების შესახებ უნდა აღინიშნოს მუშაობის მეტად ფართე განვითარება. საჭიროა პრესის განყოფილების მუშაობა გამიჯნულ იქნეს სათანადო საბჭოთა ორგანოების მუშაობისაგან.

აგიტპროპის მუშაობაში უნდა აღინიშნოს შესამჩნევი მიღწევები ადგილებზე დაბალ საფეხურის აპარატების შექმნის საქმეში; მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილებიდან ცეკაში შემოსულ მასალების გამოყენების საქმის გაუმჯობესება.

კურსკის მოხსენების დამთავრების შემდეგ, ყრილობის 43 დელეგატის წინადადებით, რომელიც გამოაქვეყნა რიკოვმა, ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მოისმინოს ზინოვიევის თანამოხსენება ცეკას ანგარიშის გარშემო.

კამათი ცეკას ანგარიშის გარშემო

მოსკოვი, 20 დეკემბერი. მე-14 პარტყრილობის საღამოს სხდომა 19 დეკემბერს გაიხსნა ზინოვიევის თანამოხსენებით ცეკას ანგარიშის შესახებ.

ზინოვიევის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი ცეკას ანგარიშის შესახებ. კამათში მონაწილეთა შორის პირველად გამოვიდა ბუხარინი, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა. ყრილობის გადაწყვეტილებით ბუხარინს მიეცა სიტყვა დროის განუსაზღვრელად. ბუხარინის სიტყვა გაგრძელდა 2 საათს.

მოსკოვი, 21 დეკ. 20 დეკემბრის დილის და საღამოს სხდომა მოუნდა კამათს სტალინის მოხსენების გარშემო.

დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. რიუტინმა (მოსკოვი), პოზიშჩევმა (კიევი), კრუპსკაიამ (მოსკოვი), პეტროვსკიმ (უკრაინა), პოლონსკიმ (მოსკოვი), იკრამოვმა (უზბეკისტანი), მედვედევმა (ეკატერინოსლავი), ლაშევიჩმა და მიკოიანმა (ჩრდილოეთ კავკასია), უგლანოვმა და იაროსლავსკიმ.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ: კუბიაკი (შორეული აღმოსავლეთი), ევდოკიმოვი და კომაროვი (ლენინგრადი), ორჯონიკიძე, ზალუცკი, კოგანოვიჩი და ანტონოვი.

კამათი სწარმოებდა იმ პოზიციის ირგვლივ, რომელიც დაიჭირეს ცეკას მიმართ ზოგიერთმა ლენინგრადელმა ამხანაგებმა. თითქმის ყველა გამოსულ ამხანაგებმა, რამოდენიმეს გამოკლებით, სასტიკად გააკრიტიკეს ლენინგრადის დელეგაციის მოულოდნელი გამოსვლა თავისი თანამოხსენებით ცეკას ანგარიშის შესახებ. გამოსული ორატორები ამაში ხედავენ ბოლშევიკური პარტიის ტრადიციის აშკარა დარღვევას და პარტიაში ცალკე ჯგუფის შექმნის ცდას.

განსაკუთრებით აღსანიშნავი მედვედევის, მიკოიანის, ორჯონიკიძის და კოგანოვიჩის გამოსვლა. ყველა ისინი მოუწოდებდნენ ლენინგრადის დელეგაციას შეამჭიდროონ თავისი რიგები პარტიასთან ერთად, აღიარონ თავისი შეცდომა და თავი დაანებონ პარტიის შერყევას.

ყრილობის განწყობილება მტკიცე და გარკვეულია. ლენინგრადის დელეგაცია განმარტოებულია და მისი ხმები გამოძახილს პოულობს მხოლოდ საკუთარ რიგებში. მთელი დანარჩენი ყრილობა, მისი უდიდესი ნაწილი მოითხოვს, რომ ლენინგრადის დელეგაციამ გაასწოროს თავისი შეცდომა, მოუხრეა ცეკასი, ლენინის ხაზის.

ლენინგრადელ კომაროვის გამოსვლას, რომელიც ემხრობა ყრილობის უმრავლესობას, ყრილობა მხურვალე ოვაციებით ეგებება. ევდოკიმოვი და ზალუცკი ცდილობენ დაიცვათ ყრილობის ერთსულოვან დაგმობისაგან ლენინგრადელი ამხანაგების პოზიცია, მაგრამ უშედეგოთ.

მთელი ყრილობა ერთსულოვნად გმობს ლენინგრადელ ამხანაგების შეცდარ ხაზს. ყრილობა მტკიცედ სდგას ცეკას პოზიციაზე, ბოლშევიკური რიგების ერთიანობის საფუძველზე და არავის ნებას არ მისცემს გადაახვევინოს მას ლენინის ნათელ ხაზიდან.

ამერიკის მუშები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ამერიკის მთავრობა ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობას ჩვენთან

ამერიკის მრეწველები კმაყოფილნი არიან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით

საბჭოთა კავშირი მიწვეულია ერთა ლიგის „განიარაღების კომისიაში“

ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატი მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას

ჩეხო-სლოვაკიის მრეწველობის კრედიტი 3 წლის ვადით

რას მოითხოვენ ამერიკის მუშები

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. ფილადელფიაში შეერთებულ შტატებისა და კანადის მუშა-მკერვალთა ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. ბურჟუაზიული პრესის წარმომადგენლები შეეკითხენ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელ თანამშრომლებს, თუ რათ არ დაუშვეს შეერთებულ შტატებში გრაფ კაროლის ქალი, რომელსაც რევოლიუციონერობას აბრალებენ, იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც სავაჭრო საქმეებზე მოემგზავრებიან, ნებას აძლევენ ჩამოვიდნენ შეერთებულ შტატებში.

ამის საპასუხოთ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ სამინისტრო ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობას და არ აქვს მიზნათ საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიმოსვლის თავისუფლება შეუზღუდოს.

სავაჭრო სამინისტროს „მუშაობა“

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. ყოველ ახალ ცდას, რომ აღდგენილ იყოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, თან მოყვება ხოლმე საბჭოთა საწინააღმდეგო პროპაგანდის გაძლიერება ამერიკულ პრესაში. ეს მოსყიდული პრესა დაბეჯითებით ავრცელებს ისეთ „საიდუმლო ხმებსა“ და ცნობებს, რომელთა მიზანსაც შეადგენს—ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას დაუკარგონ მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის ცნობის მოწინააღმდეგენი, რაკი ვერ ახერხებენ საბჭოთა კავშირის მიერ ამერიკაში დაკვეთების მიცემის უარყოფას, მაინც ცდილობენ შემდეგში დაკვეთების მიცემას შეუშალონ ხელი ისეთი ყალბი ხმების გავრცელებით, თითქოს საბჭოთა მთავრობის ფინანსიური გაჭირვება ნებას არ აძლევს მას შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებანი.

საგარეო საქმეთა მინისტრი ეხლა უკვე ნაკლებ მონაწილეობას იღებს ანტი-საბჭოთა პროპაგანდაში. ჟურნალისტების შეკითხვაზე—სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელნი იმეორებენ მხოლოდ ძველ ფორმულას, რომ შეერთებულ შტატების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ უცვლელი რჩება. **მაგრამ ამავე დროს აღარ აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქტიურ პროპაგანდას, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ეწეოდა იუზის და მისი წინამოადგილეების დროს.**

ეხლანდელი ანტი-საბჭოთა კამპანია, რომელიც თავისი სიძლიერით ბევრათ აღემატება უწინდელს, გამომდინარეობს უმთავრესად სავაჭრო სამინისტროსაგან. ის აშკარათ ცდილობს, ხელი შეუშალოს სავაჭრო ურთი-ერთობის გაძლიერებას საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის.

ამ კამპანიის საპასუხოთ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოებამ პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომ არც ერთი შეკვეთა მანქანებზე მას უკან არ წაუღია. პირიქით, საბჭოთა შეკვეთების რიცხვი ამერიკაში დღედღეზე უფრო მატულობს. მაგალითად, ამას წინათ დაკვეთილ იქნა 10,000 ტრაქტორი „ფორდის“ სისტემისა. ასეთი დიდი შეკვეთა ჯერ არ მიუღია ამერიკის სატრაქტორო წარმოებას.

მიწვევა „განიარაღების“ კომისიაში.

მოსკოვი, 21 დეკ. ერთა ლიგის საბჭომ საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატს გამოუგზავნა წერილი 12 დეკემბრის თარიღით და სთხოვს, მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მიერ 15 თებერვალს ჟენევაში მოწვეულ კომისიის მუშაობაში, რომელმაც უნდა მოაწყოს კონფერენცია განიარაღების საკითხის განსახილველად.

წერილში ჩამოთვლილია ყველა მთავარი საკითხები, რომლებიც კი შეეხებიან განიარაღებას და რომლებიც განხილულ იქნებიან კომისიის მიერ.

შემდეგ წერილში ნათქვამია: „განიარაღების საკითხის ხანგრძლივ და ყოველმხრივ შესწავლამ ერთა ლიგის საბჭო იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ამ საკითხის განხილვა მხოლოდ მაშინ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ მის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქვეყნები. ამ მოსაზრებით საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ საკითხის განხილვაში. **ერთა ლიგის საბჭო ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა მთავრობის მონაწილეობას არა მარტო კონფერენციაზე, რომლის მოწვევაც განზრახული აქვს საბჭოს, არამედ წინასწარ მუშაობაშიც, რომელიც კომისიის აზრით აუცილებელია ამ კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობისთვის“.**

ამას გარდა წერილში ნათქვამია, რომ ერთა ლიგის გარეშე მყოფ სახელმწიფოებიდან კომისიაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირს გარდა მოწვეული არიან გერმანია, ბულგარეთი, შეერთებული შტატები, ფინეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, რუმინეთი და სამხრეთ-სლავია.

წერილს თან დართული აქვს კომისიის მუშაობის გეგმა.

კრედიტი 3 წლის ვადით

პრაგა, 20 დეკ. გაზეთ „ნაროდნი ოსვობოზენიის“ ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის ფირმებმა საბჭოთა კავშირს მიაწოდეს სამეურნეო მანქანების დიდი პარტია. **საბჭოთა კავშირს მისცეს 3 წლის კრედიტი.** რამოდენიმე დიდმა ფაბრიკამ წინადადებით მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ კავშირში მოაწყოს საწარმოო სახლები. ამ საჭიროებისათვის აგებულ შენობების ხარჯი გადახდილ უნდა იყვეს 7 წლის განმავლობაში.

ჩეხო-სლოვაკიის მუშების მოთხოვნილება

პრაგა, 20 დეკ. პარლამენტში გამოცხადდა ქარხნებიდან არჩეული ასი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელმაც ინახულა კომფრაქცია და სოც.-დემოკ. ფრაქცია გადასცა მუშათა მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ბრიანის განცხადება

პარიზი, 20 დეკ. 19 დეკემბერს დეპუტატთა პალატის საგარეო და სამხედრო საქმეთა კომისიებს ბრიანი განმარტებებს აძლევდა ლოკარნოს ხელშეკრულობის სამხ. შედეგების შესახებ.

ბრიანმა საგანგებოთ აღნიშნა, რომ ლოკარნო მოასწავებს „ახალი ხანის დასაწყისს“. კომუნისტ ბერტონის შეკითხვაზე ბრიანმა უპასუხა, **რომ ლოკარნოს ხელშეკრულობა სრულიადაც არ არის მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამაში სავსებითაც დაარწმუნა ჩიჩერინი მისი პარიზში ყოფნის დროს.**

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

„ბოლშევიკური გემი“

ლონდონი, 20 დეკ. ინგლისის საზღვაო უწყების განკარგულებით—კრეისერი „ვინდიკატივი“ ინგლისიდან გაგზავნა უცხო ზღვებში როგორც „ბოლშევიკური გემი“.

„ვესტმინსტერ გაზეტის“ სიტყვით, ინგლისის ფლოტის ყველა ნავთსაყუდები გავსებულია კომუნისტური ლიტერატურით.

ბულგარეთის კომპარტიის ცეკას საქმე

ვენა, 20 დეკ. 21 დეკემბერს სოფიის სააპელაციო სასამართლოში იქნება მეორე საქმე დიმიტროვისა, კოლაროვისა, კაბაკჩიევისა და კომპარტიის ცეკას სხვა წევრებისა, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ მრავალ წლით დაპატიმრება.

პირველ ინსტანციის განაჩენის წინააღმდეგ გაილაშქრა პროკურორმა. მან პროტესტი განაცხადა პენევისა და ტინა კირკოვას გამართლების წინააღმდეგ.

კომპარტიის წევრობისთვის

ვილნო, 20 დეკ. ვილნოს სასამართლომ პინსკის მაზრის 7 გლეხს კატორღა მიუსაჯა კომპარტიის წევრობისათვის, სამს მიესაჯა სამ-სამი წლის კატორღა, ოთხს კი ორ-ორი წლის.

ვარშავა, 20 დეკ. 18 წლის ახალგაზრდა პროკოპიუკს ვარშავის სასამართლომ მიუსაჯა კატორღა 5 წლით კომპარტიის წევრობისათვის.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ვენა, 20 დეკემბ. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ცეკა ახლო ხანში იწვევს ყრილობას. ყრილობაზე მოწვეული არიან ამსტერდამის ინტერნაციონალი, პროფინტერნი, ინგლის-საბჭოთა კომიტეტი და ამერიკის მუშათა ფედერაცია. ამ მოწვევის მიზანია, მომავალ ყრილობაზე განსახილველად დაისვას საკითხი საერთაშორისო პროფმოძრაობის ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ.

მდგომარეობა სპარსეთში

ახალი მთავრობა სპარსეთში

თეირანი, 20 დეკ. შესდგა ახალი მთავრობა: პრემიერი—**ზოკალ მოლკ**, გარეშე საქმეთა მინისტრი—**მოშაროლ-მოლკ.**

რიზა-ხანის ტახტზე ასვლა

თეირანი, 20 დეკ. რიზა-ხანი ტახტზე ავა 21 თებერვალს, თეირანში მისი შესვლის 4 წლის თავზე.

ჩემი მოგონებანი 1905 წ. შესახებ

1904 წლის ბოლო ხანებში გამოწვეული ვიყავი ბაქოში არსებულ ჩვენი პარტიის არალეგალურ დიდი სტამბიდან; ამხ. ივ. ბიბიკოვის და ნ. სოლოვიოვის წინადადებით მონაწილეობა მქონდა ბაქოს კომიტეტისათვის არალეგალურ სტამბის მოწყობაში. ამ ხანებში მოხდა ბაქოს ორგანიზაციის სრული გათიშვა და ბოლშევიკების გამოყოფა მენშევიკებისაგან, რითაც იყო გამოწვეული სტამბის დაარსების აუცილებლობა. თუმცა ჩვენი დიდი სტამბა ბაქოში მუშაობდა, რომელსაც თამამად შეეძლო დაეკმაყოფილებია ადგილობრივი მოთხოვნილება, მაგრამ კონსპირაციის მხრივ არ იქნა ეს ცნობილი დასაშვებად.

დასახულ მიზნის განსახორციელებლად მე გადავედი ლეგალურ პირობებში და დავიწყე მუშაობა გაზეთ „ბაკინსკიე იზვესტია“-ზე მბეჭდავად. მუშაობა მიხდებოდა ღამეობით, რაც საშუალებას მაძლევდა უფრო მოხერხებულად გამეზიდა სტამბიდან ასოები და სტამბისათვის სხვა საჭირო მასალები. იმავე დროს დაუკვეთე თუჯის ქარხნებში საბეჭდავი დაზგის ნაწილები. დავიქირავე ბინა ქალაქის მუსულმანურ ნაწილში, ზემო ტაზაპირის ქუჩაზე, სადაც თანდათანობით მოვუყარე თავი სტამბიდან გატანილ მასალებს და საბეჭდავ დაზგას. თვისა თუ თვენახევრის განმავლობაში სტამბა მზად იყო, რის შემდეგ დავანებე თავი ლეგალურ სტამბაში მუშაობას. თუმცა ეს სტამბა ბევრად ჩამოუვარდება ცენტრალური კომიტეტის დიდ სტამბას, მაგრამ ის იმდენად კარგად იყო მოწყობილი, რომ, ადგილობრივ საჭიროებისათვის პროკლამაციის ბეჭდვის გარდა, შევუდექი სტეპნიაკის წიგნის „Подпольная Россия“-ს ბეჭდვას. წიგნის გამოცემით მიზნად მქონდა დასახული მისი საფასურით თანხის შეგროვება სტამბის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

საერთო მდგომარეობა მაშინ, ე. ი. იანვრის პირველ რიცხვებში, გამოიხატებოდა ლიბერალური და მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის გაცხოველებით. პორტ-არტურის დაცემამ იაპონიასთან ომის წაგება ცხადჰყო ყველასათვის.

6 იანვარს პეტერბურგში პეტრე-პავლეს სიმაგრიდან გასროლილი, კარტეჩით გატენილი ზარბაზანი წყალკურთხევის ბაქანისაკენ, რომელზედაც ნიკოლოზ მეორე იდგა თავის ამალით, ეს პირველი სიგნალი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისა შიგნით. გაბრაზებულმა მეფემ და მისმა ამალამ საპასუხოთ სისხლის მორევი დააყენა პეტერბურგის ქუჩებში 9 იანვარს. მაგრამ მთავრობის ამ მხეცურ მოქმედებას წუთითაც არ შეუჩერებია რევოლიუციონური ტალღები,—პირიქით, ცნობები მუშების გაფიცვების შესახებ მოდიოდნენ ყოველ მხრიდან.

თებერვლის პირველ რიცხვებში სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის წევრმა სტუდენტმა კალიაევმა ყუმბარა ესროლა და მოკლა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, დიდი მთავარი სერგეი, მეფის ბიძა.

ამ დროს ბაქოში საერთო გაფიცვები იყო გამოცხადებული, მათ შორის სტამბის მუშებისაც. ვისარგებლე რა ამ შემთხვევით,—გამოუშვი ჩემს არალეგალურ სტამბაში დეპეშა სერგეის მოკვლის შესახებ და გადავეცი ორგანიზაციას ქალაქში გასავრცელებლად და გასაყიდათ.

ამის შემდეგ არ გასულა ორი-სამი დღე, რომ ბაქოს თავს დაატყდა უბედურება, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა ისტორიაში. ბაქოს გუბერნატორმა ნაკაშიძემ, ალბად ზემოდან კარნახით, მოხერხებულად ჩამოაგდო შუღლი სომხებსა და მუსულმანებს შორის, რასაც მოჰყვა ამ ორი ერის ერთმანეთზე თავდასხმა და უმოწყალო ჟლეტა. მთავრობა კი გადგა განზე და „ნეიტრალიტეტს“ იცავდა მანამდის, სანამ საქმე იქამდის არ გამწვავდა, რომ მთელი ნავთის წარმოება საფრთხეში ჩავარდა.

ამ ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი მეც კინაღამ შევიქენი. როგორც ზემოდ მქონდა ნათქვამი, ჩემი სტამბა, კონსპირატიული მოსაზრებით, მუსულმანების უბანში მქონდა მოთავსებული. ქალაქში თურმე შეტაკებები უკვე დაწყებული იყო, რის შესახებ მე არაფერი არ ვიცოდი. ნაშუადღევს გამოვედით ბინიდან მე და ჩემთან მომუშავე ქალი ე. ვოშევი და წავედით სასადილოდ ქალაქის შუაგულისკენ. ქუჩებში რაღაცა ჩოჩქოლი შევამჩნიეთ. მუსულმანები ქალაქის შუაგულიდან თავიანთ უბნებისკენ მოეშურებოდნენ. გზა და გზა მათი ჯგუფები რომ შემოგვხვდებოდნენ, გაჯავრებული მიმზერდნენ. მე მათი ლაპარაკი არ მესმოდა, მხოლოდ გამომეტყველებაზე ვამჩნევდი ჩემს წინააღმდეგ განწყობილებას და გინებით მომართვას, რაც ძალიან მაკვირვებდა. ერთგან წინ შემოგვეჩეხა ახალგაზრდა მუსულმანთა შეიარაღებული ჯგუფი. ერთმა მათგანმა დამიმიზნა რევოლვერი და ის იყო უნდა გავეცივებინე ადგილზე, რომ მეორემ მოკიდა ხელი და შეაჩერა. თან დამტვრეული რუსულით წაულაპარაკა: „რუსის ქალს მიყობა, მაგი მხდალი მამაძაღლი სომეხი,—დაე წავიდეს“-ო.

ეხლა კი მივხვდი, რაშიაც იყო საქმე, რადგან სომეხ-თათართა შორის მდგომარეობის გამწვავების სუნი ჰაერში ტრიალებდა იმ დღეებში. იმასაც მივხვდი, რომ საფრთხე სომხებს ელოდა და არა სხვა ერის წარმომადგენელთ. შემდეგში შეიარაღებული ჯგუფი რომ შემოგვხვდებოდა, წინდაწინ ვაფრთხილებდით, რომ ჩვენ სომხები არ ვიყავით. ჩემი თანამგზავრი ქალი ტიპიური რუსი იყო, მაგრამ ჩემს განცხადებას კი ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამ ქალის თანხლება მაინც მშველოდა, რადგან აღმოსავლეთური შეხედულება ქალისადმი ნებას არ აძლევდა მათ მოეკლათ მისი მხლებელი. მიუხედავად ამისა წინსვლა შეუძლებელი შეიქნა, აღარც უკან დაბრუნება შეიძლებოდა, რადგან სროლა გაცხოველდა და რომელიმე ფანჯრიდან ან ეზოდან გამოსროლილ ტყვიას შეეძლო დაუკითხავად მოვეგორებინე ზედ. ჩემს თანამგზავრ ქალს მოაგონდა, რომ იქვე ახლოს სცხოვრობდენ ამხანაგები და მათთან შეუხვიეთ. აქ დავრჩით რამოდენიმე დღე, სანამ არ ჩაცხრა ხოცვა-ჟლეტა. უკანასკნელ დღეებში, როდესაც საქმე ძლიერ გამწვავდა, აღარც რუსებს და აღარც ქართველებს არ გამოისვლებოდათ გარეთ. ის სახლი, რომელშიაც ჩვენ შევაფარეთ თავი, განმარტოებით იდგა გორაზე და ერთი მხრით მუსულმანების უბანი ეკროდა, მეორე მხრით—ევროპიული ნაწილი. ნათქვამია: ორ ცეცხლს შორის ყოფნა ძნელიაო,—მართალია, ძნელი იყო ჩვენი ამ ორ ცეცხლს შორის ყოფნა, მაგრამ გადაგვარჩინა კი სწორედ ამ მდგომარეობამ.

გათავდა ხოცვა-ჟლეტა და ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მაგრამ რევოლიუციონურმა მოძრაობამ კიდევ უფრო იწყო გაცხოველება. იმართებოდა მიტინგები უკვე ღიათ და მთავრობის მიერ ჩადენილ პროვოკაციულ მოქმედებაზე აშკარად ლაპარაკობდენ ორატორები. მახსოვს მათ შორის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ვასილიევი, რომელიც სალახის საყვარელ ორატორად გადაიქცა ამ დღეებში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ სტამბის ძველ ადგილას დატოვება მოუხერხებლად ვსცანი, მით უმეტეს, რომ ჩემთან მომუშავე ქალი ვოშევი დაატუსაღეს ჟანდარმებმა იმ ამხანაგების ბინაზე, სადაც ჩვენ გავატარეთ ხოცვა-ჟლეტის დღეები. გადავსწყვიტეთ სტამბის გადატანა იმ ბინაზე, სადაც მოწყობილი გვქონდა პირველი დიდი სტამბა, რომელიც, ახალი სტამბის პარალელურ ქუჩაზე გახსნის შემდეგ, ლადო დუმბაძემ გადმოიტანა თბილისში. ეს ბინა იყო ქვემო ტაზაპირის ქუჩაზე, დადაშევის სახლში, სადაც კიდევ უფრო ფართოდ დავაყენეთ საქმე: მე, გ. სტურუამ, თ. კეკელიძემ (ეხლა უპარტიო) და ერთმა რუსმა ამხანაგმა, რომლის სახელი და გვარი აღარ მახსოვს, კატო მუკაშიანის დიასახლისობით. გ. სტურუა ჩქარა წავიდა მოსკოვში, სადაც ის მიიწვია ტრ. ენუქიძემ იქაურ სტამბაში სამუშაოდ. „პოდპოლნაია როსსია“-ს ბეჭდვის დამთავრება აღარ დამცალდა, რადგან აგვისტოს შუა რიცხვებში თათარ-სომეხთა დამოკიდებულება ისევ გამწვავდა, რამაც ხელმეორედ კინაღამ მიმსხვერპლა.

გუბერნატორი ნაკაშიძე, რომელსაც ბრალდებოდა თათარ-სომეხთა ჟლეტის მოწყობა, მოკლული იქნა დაშნაკელების პარტიის დადგენილებით. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა სომხების და თათრების დამოკიდებულება, რასაც მოჰყვა აგვისტოს შუა რიცხვებში ხელახლა ხოცვა-ჟლეტის დაწყება.

როდესაც გამოირკვა შეტაკება მოსალოდნელია, თ. კეკელიძე და მეორე ამხანაგი გავისტუმრე სტამბიდან. დავრჩით მე და კატო მუკაშიანი. იმავე დროს შემთხვევით გავიგე, რომ ჯაშუშები გვითვალთვალებდნენ.

ჩვენი ბინის გვერდზე იყო ორსართულიანი სახლი, რომლის ქვემო სართულში აბანო იყო და ეზოში კი ვიღაც მეზღვაური სცხოვრობდა. უკანასკნელ ხანებში ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ სახლის აივანზე მორიგეობით იჯდენ მუდამ ვიღაც სტუდენტები და ქალიშვილები და არ სტოვებდენ მას შუაღამემდე. თათარ-სომეხთა შეტაკების წინა დღეებში საღამო ხანს შევედი პირდაპირ მეზობელ თათრის დუქანში, რომელთანაც ჩვეულებრივად ვყიდულობდი სურსათ-სანოვაგეს და სხვა საწვრიმალო საგნებს და რომელთანაც კარგი მეზობლური განწყობილება მქონდა. დუქანში რამდენიმე მეზობელი თათრები იყვნენ და შევექეცით შექმნილ მდგომარეობაზე ლაპარაკს. მეზობლები, როცა წავიდ-წამოვიდნენ, დუქნის პატრონმა შემაჩერა და საიდუმლოდ გადმომცა, რომ ჩემ მეზობელ მეზღვაურის ბინას და იქ მცხოვრებლებს საიდუმლო პოლიცია უთვალთვალებსო; პოლიციამ შენც შეგამჩნია და ეჭვი შემოიტანა შენზედაცო, მაგრამ მათ შორის ერთი ჩემი კარგი ნაცნობი თათარია და მან მე აუხსნა, რომ შენ არა ხარ საეჭვო პიროვნება და დავაჯერე ისინი ამაშიო. გადაუხადე მადლობა მედუქნეს და დავარწმუნე, რომ ის არ სცდებოდა და ტყუილი არ უთქვამს პოლიციისათვის ჩემს კარგ კაცობის შესახებ.

როდესაც მთელი უბანი ძილში იყო გართული, მივადექი მეზობელ მეზღვაურის კარებს. ისინი ალბად მუდამ ფხიზლად იყვნენ და პირველსავე კარების ნელად დაკაკუნებაზე გადმომხედეს აივნიდან და შემდეგ გამიღეს კარები. მე მათ საყვედური გამოუცხადე, ვინაიდან მათ წყალობით მეც ვეხვეოდი ჯაშუშების მეთვალყურეობის ქსელში.

მეორე დღეს განუცხადე ორგანიზაციას საქმის ვითარება. შევიყარეთ თავი სათათბიროთ, თუ როგორ გვეხსნა სტამბა ჩავარდნისაგან. ამ თათბირზე პირველად შევხვდი კამო'ს, რომელმაც, გაეცნო რა საქმის მდგომარეობას, პირველმა განაცხადა, რომ აღარ ღირს სტამბის წამოღება, რადგან უსათუოდ უთვალთვალებენ და აღარ დაგვანებებენ მის წაღებასო. გადაწყდა, რომ ნაწილობრივ მე მაინც გამომეტანა ასოები და თუ შევამჩნევდი გაძლიერებულ მეთვალყურეობას, მიმეტოვებია სტამბა. მეც შევუდექი საქმეს, მაგრამ ცოტა რამის გატანა მოვასწარ, რადგან დაიწყო უკვე მეორედ თათარ-სომეხთა შორის შეტაკება აგვისტოს შუა რიცხვებში და გარეთ აღარ გამოისვლებოდა.

შეტაკების პირველ დღეს, შუადღისას, მოვიდნენ ჟანდარმები ჩემი მეზობლების გასაჩხრეკად და დასატუსაღებლად. ქუჩაში მოიყარეს თავი თათრებმა, ატყდა ჩოჩქოლი. ჟანდარმებმა ჩემი ბინის კარებსაც დააკაკუნეს, მაგრამ ალბად მეზობელ თათრებს დაუჯერეს და აღარც კი შემოსულან ჩემთან. მეზობლები სოც.-რევოლიუციონერები აღმოჩნდნენ, მათ უნახეს ასაფეთქებელი მასალები, როგორც გადმომცეს მეზობელმა თათრებმა.

თუმცა ჟანდარმებისგან გადავრჩი, მაგრამ შემდეგ მაინც დიდ გასაჭირში ჩავარდი. ხოცვა-ჟლეტა გაცხოველდა და გადასცდა მთავრობის მიერ დასახულ საზღვრებს. აუცილებელი შეიქნა ჯარის და პოლიციის ჩარევა. ამ გარემოებამ გააბრაზა მუსულმანები, რომელთაც ნება დართული ჰქონდათ თავიანთი მოქმედება აქამდე და ეხლა კი უკრძალავდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ მუსულმანები ეხლა აღარავის აღარ ზოგავდნენ—არც რუსსა და არც ქართველს.

მე ჩემი მეზობლიდან და სახლის პატრონიდან თუმცა არაფერი საფრთხე არ მომელოდა, მაგრამ გარეშე ჯგუფები დადიოდნენ სახლიდან სახლში და ეძებდნენ დამალულებს. რამდენჯერმე ჩემთანაც შემოვიდნენ ასეთი ჯგუფები, მაგრამ სახლის პატრონის და მეზობლების დახმარებით ვახერხებდი გადარჩენას. კატო მუკაშიანი ჩემს პასპორტში დედად ეწერა და ამნაირად ქართველად, მაგრამ ნამდვილად რომ სომეხი იყო, ამან იქონია გავლენა ალბად და გახდა ავად. მე შევძლებდი როგორმე ევროპიულ ნაწილში გაპარვას, მაგრამ კატოს ავადმყოფობა მაფერხებდა.

სახლის პატრონმაც უარი გამიცხადა შენახვაზე, რადგან მასაც საფრთხე მოელოდა ჩვენი დამალვისათვის. სხვა გზა აღარ იყო, როგორმე უნდა გავსულიყავი ქალაქის ევროპიულ ნაწილში. მოვაყვანინე ნაცნობი მუსულმანი მეეტლე, მოველაპარაკეთ, რომ ჩქარი გაქანებით მივეყვანე შემახის ქუჩამდე, რომელიც მებრძოლთა შორის საზღვარს წარმოადგენდა. ჩავაჯინე ეტლში ავადმყოფი კატო, მოუჯექი გვერდით და დავეშვით თავდაღმა ისეთი სიჩქარით, რომ ქუჩაში გამოფენილი მუსულმანები პირდაღებული შემოგვცქეროდენ და ვერც კი მოესწროთ რევოლვერის ამოღება და სროლა. მეეტლემ პირნათლად შეასრულა დავალება და შემახის ქუჩის მეორე ნაპირას გადმოგვსხა, თვითონ კი საჩქაროთ გატრიალდა უკან. მოვეშქეცით რა ევროპიულ ნაწილში, აქ კატოც გამოცოცხლდა და გავსწიეთ სადგურისკენ, რადგან გადავსწყვიტე მისი თბილისში წაყვანა, საიდანაც გვყავდა ჩამოყვანილი ის და რასაც თვითონ დაჟინებით მთხოვდა.

თბილისში ჩამოვედი სწორეთ იმ დღეს, როდესაც წინა ღამით ქალაქის სამმართველოში დაუხოცავთ ხალხი ყაზახებს. აქ აღარ დავრჩენილვარ და მეორე დღესვე გავბრუნდი უკან ბაქოში. აქ უკვე შედარებით მშვიდობიანობა სუფევდა, მაგრამ ქალაქი მაინც ორ ნაწილად იყო გაყოფილი: მუსულმანები ევროპიულ ნაწილში არ შემოდიოდნენ და პირიქით.

ვინახულე ამხანაგები, რომლების წინადადებით მე და ჯაში წავედით მოსკოვში, სადაც ტრ. ენუქიძე გვიწვევდა იქაურ სტამბაში სამუშაოდ. რა ბედი ეწვია ბაქოს სტამბას, დღემდის ვერ გამოვარკვიე.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩავედი მოსკოვში. აქ ტრ. ენუქიძეს უკვე მოწყობილი ჰქონდა ახალი სტამბა ლესნოი ქუჩაზე, სარდაფში ამოღებულ ქვის ხვრელიდან საიდუმლო შესასვლელით.

ჩემი მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ჩქარა დატრიალდა ისეთი ამბები, რომ არა ლეგალური სტამბა დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა ერთხანს: ეს იყო 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომლის შემდეგ ლეგალურმა პრესამ შედარებით მსუბუქათ ამოისუნთქა. ამ გარემოებამ ჩვენც აგვიცრუა გული არალეგალურათ მუშაობაზე და ვლაპარაკობდით სტამბის გაუქმებაზე, მაგრამ მოგვივიდა ლენინის გულთმისნური განკარგულება: სტამბის მოშლა არ გაბედოთ, ის კიდევ დაგვჭირდებაო.

ჩვიდმეტ ოქტომბრის დიადმა სურათმა ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ მის შემდეგ ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ის მაინც აღმოუფხვრელათ დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

დილით, როდესაც გამოვედი ქუჩაში სახლიდან, თვალი მოვკარ მომავალ აურიცხველ ხალხს წითელი დროშებით ხელში და წითელი ლენტებით გულზე და მხრებზე, მოდიოდნენ რევოლიუციონური სიმღერით ბუტირკის ციხისკენ, სადაც გაფიცვებში მონაწილე მუშები ისხდნენ. ხალხმა მოიყარა თავი ციხის გარშემო. ერთი მხრით ორატორები ამბობდნენ სიტყვებს, მეორე მხრით ციხის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკება სწარმოებდა ტუსაღების განთავისუფლების შესახებ, რაც სასურველად დასრულდა. ხალხი მხურვალე მისალმებით ეგებებოდა განთავისუფ-

ა | კავ. სახკომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობისაგან

უკანასკნელ ხანებში ცალკე პირები ძლიერ ხშირათ მიმართავენ, როგორც ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ისე საქმეთა მმართველობას თხოვნით პენსიის დანიშვნის ან ერთდროული ფულადი ან სხვა სახის დახმარების მიცემის შესახებ. ა | კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა საჭიროთ სთვლის გააფრთხილოს მოქალაქეები, რომ თხოვნით დახმარების შესახებ უნდა მიმართონ სპეციალურ ორგანოებს, რომლებიც დახმარების საქმეს განაგებენ, განცხადებები კი, რომლებიც ამ თაობაზე იქნება შეტანილი ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში, განუხილველი დარჩება.

ა.-კავკასიის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველობა.

1925 წ. დეკემბერი. თბილისი, სასახლე. 3—1

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

გამოსვლები მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ

პრაგა, 20 დეკემბ. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის უკანასკნელი სხდომა განსაკუთრებულ მღელვარე ხასიათს ატარებდა. პრემიერ შვეჰლას ლაპარაკის დროს ოპოზიციონერების სკამებზე არ შეწყვეტილა ობსტრუქცია. იქიდან შეუწყვეტლივ გაისმოდა ლანძღვა-გინება მთავრობის ბლოკის წინააღმდეგ. რამდენჯერმე საქმე ჩხუბამდისაც მივიდა. პრემიერის სიტყვის დროს სლოვაკებმა იმღერეს თავიანთი ჰიმნი. იმათ შემდეგ გერმანელებმა იმღერეს „დოიტშლანდ იუბერ ალეს". კომუნისტები გაჰყვიროდენ: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! თქვენ მოისმინეთ ჩვენი ხმები!" კარპატის მხარის დეპუტატები კი გაიძახოდენ: „ჩვენში არჩევნები ხდებოდა ჟანდარმების ტერორის პირობებში!

მთავრობის დეკლარაციაზე საპასუხო სიტყვით პირველად გამოვიდა კომფრაქციის წარმომადგენელი შმერალი, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა რომ კომფრაქციას მიზნათ აქვს დასახული—ბურჟუაზიას ხელიდან გამოგლიჯოს სახელმწიფო ძალაუფლება. შმერალი კარგა ხანს შეჩერდა საბჭოთა კავშირის ცნობაზე და შემდეგ განაცხადა, რომ შვეჰლას მთავრობა არის კაპიტალისტთა უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც სარგებლობს ნაციონალისტების და სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობით. დასასრულ შმერალი მოუწოდებს მასსებს, სასტიკად შებრძოლონ ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკის განმტკიცებას მუშათა კლასის ხარჯზე. შმერალის სიტყვის დამთავრების შემდეგ მთელი კომფრაქცია ფეხზე დგება და მღერის „ინტერნაციონალს".

იმპერიალისტების წინააღმდეგ

დორიო სირიის ამბების შესახებ

პარიზი, 20 დეკ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სირიის შესახებ შეკითხვების განხილვის დროს, კომუნისტმა დორიომ წარმოსთქვა დიდი სიტყვა. დორიომ სთქვა, რომ **საფრანგეთის მანდატი სირიაზე წარმოადგენს ფაქტიურად დამპყრობ ექსპედიციას, რომლის მიზანია სირიის საბოლოოდ დაპყრობა. ერთა ლიგამ, რომელმაც მანდატი სირიაზე გადასცა საფრანგეთს, დაარღვია საკუთარი წესდება, რადგან არც კი შეუკითხავს სირიის მოსახლეობისათვის, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობისათვის.**

დორიომ მიუთითა, რომ სირიის მოსახლეობის მიმართ ყველა ფრანგი კომისრები მიმართავდენ ძალადობისა და პროვოკაციის პოლიტიკას. საფრანგეთის არმია სირიაში იცავს მსხვილი ბანკების ინტერესებს. საფრანგეთის კომისარის დე-ჟუვენელის მოლაპარაკება ჩემბერლენთან სირირომ გამგზავრების წინ ამტკიცებს, აში საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით ინგლისმა საფრანგეთს მიანიჭა სირიაში თავისუფალი მოქმედების უფლება, სამაგიეროთ საფრანგეთი მხარს უჭერს ინგლისს მოსულის საკითხში.

დასასრულ დორიომ განაცხადა: „დაუშვებელია, რომ საფრანგეთის ჯარისკაცები იჟლიტებოდენ ერების თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთი მუჭა კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად. საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლის ღვრა სირიაში და იქიდან გამოყვანილი იქნენ საფრანგეთის ჯარები.

პალატის წევრები და მინისტრები ყურადღებით ისმენდენ დორიოს სიტყვას. სოციალისტების ნიჟილი ტაშით შეხვდა დორიოს უკანასკნელ სიტყვებს.

ვაიან კუტიურიეს სიტყვა

პარიზი, 20 დეკემბერი. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სიტყვით გამოვიდა კომუნისტი-დეპუტატი ვაიან კუტიურიე. მან განაცხადა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება ხელს არ უშლის შემდგომ შეიარაღებას და სისხლის ღვრას მაროკოსა და სირიაში.

„ბევრს ლაპარაკობენ,—სთქვა ვაიან კუტიურიემ,—„წითელ იმპერიალიზმზე", მაგრამ საბჭოთა კავშირში 10,000 მცხოვრებზე მოდის 41 წითელ არმიელი, პოლონეთსა და რუმინეთში კი 100—200. წითელ არმიელი იცავს თავის საკუთარ კლასს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ჯარისკაცები იცავენ კაპიტალისტებს".

ლებულ ტუსაღებს. ამ ხნიდან მოსკოვი გადაიქცა განუწყვეტელ მიტინგებისა და კრებების ბუდეთ.

ნოემბრის პირველ რიცხვებში გამგზავნეს პეტერბურგში ჟურნ ლ „Рабочий"-ს უკანასკნელი ნომრების წასაღებად. აქ შევხვდი კრასინს, რომელიც პარტიულ ლეგალურ გაზეთის გამოშვების საქმეში იყო გართული ამ დროს. იმავ საღამოს წამიყვანა სარედაქციო დამფუძნებელ კრებაზე, რომელზედაც გადაწყდა გაზეთ „Новая жизнь"-ის გამოცემა მგოსან მინსკის და გორკის ცოლის, ანდრეევის ქალის რედაქტორობით. შემდეგ დღეებში აქვე შევხვდი პირველად მიხა ცხაკაიას, რომელსაც მანამდი პირადათ არ ვიცნობდი. მიხამ კავკასიელების სახელით გვირგვინი უძღვნა შავრაზმელების მიერ დახოცილთ, რომელთა პატივსაცემად პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭომ სამგლოვიარო დემონსტრაცია მოაწყო. გვირგვინზე დროს შესაფერი მოხდენილი წარწერა იყო: На костях погибших восточный народ". ეს სამგლოვიარო დემონსტრაცია ოქტომბრის მანიფესტის მიერ გამოწვეულ ილიუზიების გამოსამშვიდობებელიც შეიქნა, რადგან ჩქარა მუშათა საბჭოც დატუსაღებული იქნა და რეაქციის შემოტევაც ცხადათ გამოაშკარავდა. ლენინის წინასწარმეტყველება, რომ არალეგალური სტამბა დაგვჭირდებაო, კიდევ უფრო ადრე გამართლდა, ვიდრე თითონ მოელოდა ალბად ამას.

სამ დეკემბერს ღამით დაატუსაღეს პეტერბურგის საბჭო. მეორე დღესვე წინადადება მივიღე კრასინისაგან დავბრუნებულიყავი მოსკოვში და შეუდგომოდით არალეგალურ სტამბაში მუშაობას.

პეტერბურგის საბჭოს დატუსაღების შემდეგ იქ რევოლიუციონურმა ტალღებმა უკუქცევა იწყეს, მოსკოვში კი, პირიქით, უფრო აზოზოქრდენ. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მოსკოვს ჯერ არ გამოეცადა ისეთი ძარღვების დაჭიმვა, როგორც პეტერბურგს. გარდა ამისა იაპონიის ომის გათავების შემდეგ იქ ბრუნდებოდენ განთავისუფლებული ჯარისკაცები, რაც მეტად პოხიერ ნიადაგს შ ადგენდა რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. პეტერბურგი თავის საბჭოს დატუსაღებას ვერ გამოეხმაურა შესაფერად, მოსკოვში კი საქმე აჯანყებით დამთავრდა.

რვა დეკემბერს, ნაშუადღევს, ტვერის ქუჩაზე მივდიოდი. პუშკინის ძეგლთან მეგაზეთეები პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდენ და არ ანებებდენ გაზეთების კონფისკაციას. რამდენიმე პოლიციელს იარაღი აყარეს და სცემეს. სწორედ ეს მოვლენა იყო აჯანყების დაწყების პირველი ნიშნები. მეგაზეთეებს ზოგიერთი გამვლელი მუშებიც წაეხმარენ და საქმე ჩქარა საერთო შეტევაზე გადავიდა: თუ ვინმე სამხედრო პირი გამოჩნდებოდა ქუჩაში, ხელად შემოერტყმებოდენ გარს და აყრიდენ იარაღს. დაღამებისას უკვე თოფების ტკაცა-ტკუცი გაისმოდა იქა-აქ. ცხრა დეკემბერს დილით მოსკოვის ქუჩები ბარიკადებით იყო გაკრული. მოგვივიდა დასაბეჭდათ ჯარის მიმართ მოწოდების ფურცელი. დაბეჭდვის შემდეგ ფურცლები უნდა წამეღო მოსკოვის წყალგაღმა, მაგრამ ვეღარ გავატანე ქუჩებში, რადგან ბარიკადები იყო ყოველგან გამართული და გაცხარებული სროლა სწარმოებდა. ისევ მე თვითონ ურიგებდი ქუჩებში გამვლელ, ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს ამ ფურცლებს.

თერთმეტ დეკემბერს შელამების ხანს მივდიოდი ბინიდან სტამბაში, რომელიც მოთავსებული იყო ბუტირკის ციხის მახლობლათ. გავშორდი ციხის გალავანს თუ არა, მტაცეს ხელი ყაზახებმა, რომლებიც იქვე ყოფილიყვენ ჩასაფრებული, ჯიბეში მაუზერის რევოლვერი მქონდა, რომელიც ხელათ ამომაცალეს და მიითვისეს, რადგან ეს რევოლვერი შემდეგ ჩემი საქმის ძიების დროს აღარსად სჩანდა და არც არავინ იცოდა მისი შესახებ რამე. ამ გარემოებამ მიხსნა საველე სასამართლოსა და დახვრეტისაგან.

მიმიყვანეს და ჩამკეტეს იქვე ბუტირკის ციხეში. ბევრი დამხვდა იქ უკვე დატუსაღებული და ბევრი შემდეგ მოუყვანდათ. 18 დეკემბერს დამთავრდა მოსკოვის აჯანყება სასტიკი დამარცხებით

ს. თოდრია.

ოსმალეთი ერთა ლიგის წინააღმდეგ

ანგორა, 20 დეკ. ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილების გამო მოსულის საკითხის შესახებ—იუნუს-ნადი თავის გაზეთ „ჯუმხურიეტში" სასტიკად ილაშქრებს ერთა ლიგის წინააღმდეგ.

იუნუსი წინადადებას აძლევს ერთა ლიგის გარეშე მყოფ ყველა სახელმწიფოებს—შეადგინონ ახალი ლიგა, სადაც ყველა წევრი თანასწორუფლებიანი იქნება, გასწევენ მშვიდობიან თანამშრომლობას და შეერთებული ძალღონით გაუმკლავდებიან დიდ სახელმწიფოთა იმპერიალისტურ ზრახვებს.

შემდეგ იუნუსი მოუწოდებს აზიის ერებს, რომ იმათ ითაონ ამ ახალი ლიგის შედგენა. ამასთან ოსმალელი ჟურნალისტი ფიქრობს, რომ ერთა ლიგაში სულშეხუთული ბევრი პატარა სახელმწიფო სიამოვნებით გადმოვა ახალ ლიგაში,

„მოსულის საკითხი შეიძლება გადაიქცეს იმ ნაპერწკლათ, რომელიც გამოიწვევს ომის ხანძარს მთელ მსოფლიოში".

ანგორა, 20 დეკ. მოსულის საკითხზე ერთა ლიგის გადაწყვეტილების შესახებ ოსმალეთის მთავრობის ორგანო „ხაკიმიეთ მილლიე" შემდეგსა სწერს:

„ეს გადაწყვეტილება ყოვლად უსამართლოა. ამიტომ არც შეიძლება წინდაწინ გავითვალისწინოთ, თუ რა შედეგებამდის მიგვიყვანს იგი. ჩვენი მთავრობის პოზიცია იმითი განისაზღვრება, რომ იგი მზადაა ყოველგვარი შემთხვევისათვის. ჩვენ არასგზით არ დავუთმობთ იმ ძალას, რომელსაც ამდენი ზარალი მოაქვს ჩვენი სახელმწიფოსთვის. ტევფიკ-რუშდი-ბეიმ ძალიან სწორეთ განმარტა ოსმალეთის ერის სურვილი, როცა მან ერთა ლიგის მდივანს განუცხადა, რომ ოსმალეთი სავსებით იცავს თავის უფლებებს მთელი მოსულის ვილაიეტზე. არას გზით არ შეიძლება თვითნებურათ ათამაშო იმ ერის ბედ-იღბალი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოვალეობანი და უფლებები. უსამართლო მოქმედება ხშირად იწვევს არასასურველ შედეგებს. სევრის ხელშეკრულების უნაყოფო გამოცდილება, როგორც ეტყობა, საკმარისი არ ყოფილა დასავლეთ ევროპისთვის. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ მხოლოდ ერთი: ის პოზიცია, რომელსაც აიღებს ჩვენი მთავრობა, არასგზით არ იქნება ქვეყნის ინტერესებისა და რესპუბლიკურ წესწყობილობის საწინააღმდეგო. ერთა ლიგამ თავის თავზე აიღო მეტად მძიმე მოვალეობა".

შემდეგ გაზეთი უმატებს: ერთა ლიგის მთავარ დანიშნულებას შეადგენს სხვადასხვა უთანხმოებათა მოსპობა. ის კი—მოსულის საკითხში თავისი პოზიციით, პირ[illegible]ს უმართავს [illegible] საქმეთა გართულ[illegible]

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კუიბიშევას გარდაცვალება.

მოსკოვი, 21 დეკ. გარდაიცვალა რ. კ. პ ცეკას ქალთა განყოფილების თვალსაჩინო მუშაკი კუიბიშევა—და მუშ. და გლეხთა ინსპ. სახ. კომისარისა.

უკრაინა

გემების დაჯახება ოდესის ნავთსადგურში.

ოდესა, 21 დეკ. ინგლისის [illegible] „ენგანი" ნავთსადგურში შეს[illegible] დაეჯახა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემ—„ფეოდოსიას", რომელიც სერიოზულათ დაზიანდა.

ხელოვნური წვიმის გამომწვევი აპარატი.

მოსკოვი, 21 დეკ. სამეცნიერო მელიორატიულმა ინსტიტუტმა გერმანიიდან მიიღო ხელოვნური წვიმის გამომწვევი ორი აპარატი, რომლებიც გაეგზავნილ იქნებიან უკრაინაში.

10.000 ფუთი ფართლეულობა.

ოდესა, 21 დეკ. მოვიდა იტალიის გემი „იზეო", რომელმაც მოიტანა 10.000 ფ. საიმპორტო ფართლეულობა. ამავე გემით ჩამოვიდა ბოლგარიიდან 7 პოლიტ. ემიგრანტი.

ახალი აპარატი ყრუებისთვის.

ლენინგრადი, 21 დეკ. ინჟინერ შტეინცვიტმა მოიგონა ახალი აპარატი ყრუებისათვის. ეს აპარატი წარმოადგენს მიკროფონისა და ტელეფონის სისტემას, რომელიც მოქმედობს ელექტრონის შემწეობით. აპარატის გამოცდამ საუცხოვო შედეგი გამოიღო. ხმები მკაფიოდ ესმით სრულიად სმენა-მოკლებულთაც კი.

ლენინის წერილი

დამფუძნებელი კრების კომიტეტისადმი

ლენინგრადი, 21 დეკემბ. **დამფუძნებელი კრების კომიტეტის არქივის გარჩევის დროს იპოვეს ლენინის წერილი კომიტეტის სახელზე.**

წერილი დაწერილია 1917 წ. სექტემბერში. ლენინი არჩეული იქნა დამფუძნებელ კრებაში ერთად 5—6 გუბერნიიდან. წერილში ლენინი სთხოვს კომიტეტს ჩასთვალონ იგი დამფუძნებელი კრების წევრათ მხოლოდ ჰელსინგფორსის გუბერნიიდან, დანარჩენი გუბერნიებიდან კი ჩანიშნონ სხვა კანდიდატები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

ხილეულობის დამზადება.

ბათომი, 21 დეკ. ხილეულობის დამზადება ჩაქვისა და ქობულეთის რაიონში გრძელდება. აჭარწარმოკავშირის მიერ უკვე დამზადებულია 50 ვაგონამდე ვაშლი, ე. ი. 25 პროცენტი მთელი ვაშლის მოსავლისა აჭარისტანში. კიდევ გაიგზავნა ოდესაში 4000 ფ. ვაშლი. შემდეგ გაგზავნას აბრკოლებს ვაგონების ნაკლებობა.

ახალი სამკურნალო პუნქტები

ბათომი, 21 დეკ. აჭარისტანის ჯანსაღ. კომისარიატის მიერ ხულოს მაზრაში გახსნილია ორი ახალი სამკურნალო პუნქტი.

თამბაქოს მოყვანის გაუმჯობესება

ბათომი, 21 დეკ. მიწ.-მოქ. კომისარიატი ბათომის ახლო აწყობს თამბაქოს საცდელ პლანტაციას, რომ მომავალ წელს გლეხობას მიაწოდოს უმაღლეს ხარისხოვანი თამბაქოს თესლი და ნერგები. მუშაობის ხელმძღვანელად მოწვეულია გამოცდილი და მცოდნე მეთამბაქოე.

აზერბეიჯანი

ნავთის ნაწარმოები საზღვარგარეთ

ბაქო, 21 დეკ. „ნევტოსინდიკატი" იანვრის 15-დან თებერვლის 15-დის ბათომიდან გერმანიაში გზავნის გემ „დინაში" 2.000 ტონა ჩვეულებრივ ზეთს, 2.000 ტონა სამანქანო ზეთს და 500 ტონა საცოდლო ზეთს.

საზ. „ბრიტიშ მექსიკენათ" ხელშეკრულობის თანახმად, იანვრის შუა რიცხვებში ბათომში მოვა გემი „ინვერერდერი", რომელიც დატვირთავს ლონდონში წასაღებათ 8.000 ტონა ზეთს.

ამ დღეებში ბათომიდან გავიდა გემი „კნუდსენი", რომელმაც ინგლისში წაიღო 12,180 ტონა ნავთი.

ამავე დროს ტულონისაკენ წავიდა გემი „გარონი", რომელმაც წაიღო 6,181 ტონა გაზოლინი.

1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავი

ბაქო, 21 დეკ. 19 დეკემბერს საღამოთი დიდ სახელმწიფო თეატრში შესდგა ქალაქის საბჭოს გაფართოებული პლენუმი აზერბეიჯანის ცაკის, პროფკავშირების საბჭოს, რაისაბჭოებისა და სხვათა თანადასწრებით 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად.

სხდომა გახსნა ამხ. რზაევმა, რომლის წინადადებითაც ფეხზე ადგომით პატივი სცეს 20 წლის განმავლობაში მუშათა საქმისთვის დაღუპულთა ხსოვნას.

1905 წლის რევოლიუციის შესახებ მოხსენებით გამოვიდენ ამხ. კარაევი და პოლუიანი. მოგონებით გამოვიდენ მრავალი მონაწილენი 1905 წლის რევოლიუციისა.

ფუტიკაშვილის საქმე.

ბაქო, 21 დეკ. იანვრის შუა რიცხვებში ბაქოში იხსნება საბჭოთა კავშირის უმაღ. სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სესია ფუტიკაშვილის საქმის გასარჩევად. ამის გამო საკავშირო ცაკის დადგენილებით, სასამართლოს შემადგენლობაში ჩარიცხულ არიან ამხ. მირ-ბაშირ-კასუმოვი და ანოშკინი.

მისალმება ამხ. ორახელაშვილს

ბაქო, 21 დეკ. დოსტაქართა ყრილობამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ორახელაშვილს: „ამიერ-კავკასიის დოსტაქართა პირველ ყრილობამ ამოგირჩიათ ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ და გიგზავნით თქვენ, ამიერ-კავკასიის მშრომელთა ხელისუფლების წარმომადგენელს, თავის მადლობას იმისათვის, რომ ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს და ცალკე რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოების დახმარებით, ამიერ-კავკასიის დოსტაქრებმა შესძლეს თავისი ოცნების განხორციელება,—გაერთიანების შესახებ".

მებამბეების თათბირი.

ერევანი, 21 დეკემბ. 28 დეკემბერისათვის მოწვეულია მებამბეობის რაიონების სასოფლო კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც განიხილავს 1926 წლის საბამბო კამპანიაში მონაწილეობის მიღების გეგმას.

სოფლის ელექტროფიკაცია.

ბაქო, 21 დეკ. ალთი-აგაჩში ზეიმით გაიხსნა ადგილობრივი საშუალებით და ბაქოს საბჭოს დახმარებით აშენებული ელექტრონის სადგური. სადგურის აღმშენებელი შეკრული, ბაქოს საბჭოს წევრი, არჩეულ იქნა სოფ. ალთი-აგაჩის საპატიო გლეხათ.

სამუშაო ხელფასი თუ ანარიცხების გადიდება

(კოლექტიურ ხელშეკრულებათა განახლების კამპანიისათვის)

ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდან კავშირების მუშაობა შრომის უფლებრივ და მატერიალურ პირობების გაუმჯობესების სფეროში აქტუალურ მნიშვნელობას იღებს. ამ მიზნით კავშირები სამეურნეო ორგანიზაციებს უყენებენ მოთხოვნილებას არა მარტო სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ, არამედ ამ მოთხოვნილებებში შედის აგრეთვე უფლებრივ ნორმათა მთელი რიგი.

კავშირის ყურადღების ცენტრია გაფართოება შემდეგი ნორმების: თვიური შვებულება, სალიკვიდაციო ჯილდო (არსებული 2 კვირის გასაფრთხილებელ ხელფასისაგან დამოუკიდებლად), სპეცტანსაცმლის ნორმის გადიდება და სხვ. ამასთანავე ერთად შემოღებულ უნდა იქნეს ახალი ან გადიდებულ იქნეს არსებული ჯამგირის ანარიცხები, როგ. მაგალითად: კულტფონდისათვის, სტიპენდიისათვის, პროფტექნიკური განათლებისათვის, დასასვენებელ სახლებისთვის და სხვ. ძირითად სამუშაო ხელფასზე გასავლის ყოველი გადიდება, ანარიცხებს და გადიდებულ ნორმებს რომ თავი დავანებოთ, იწვევს ბიუჯეტის დიტვირთვას, პროდუქციის კალკულიაციას და სხვ., რასაც მთელ რიგ შემთხვევებში მოსდევს პროტესტი მეურნეო ორგანოების მხრივ, რომელიც ხშირად კონფლიქტადაც იქცევა.

ამგვარად თავისთავად სდგება საკითხი, რას უნდა მიექცეს კავშირების უმთავრესი ყურადღება კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლად დადების მომავალ კამპანიის დროს? ძირითად სამუშაო ხელფასის გადიდებას, თუ ნორმების და ანარიცხის გაფართოებას. ყველასათვის ცხადია, რომ ორივეს ერთდროულათ გატარება არსებულ პირობებში ნაადრევია. ამიტომ აუცილებელი ხდება შევაჩეროთ ყურადღება ერთ-ერთ მომენტზე—სახელდობრ, სამუშაო ხელფასის გადიდების მომენტზე.

უფლებრივ ნორმების და ანარიცხის გაფართოება იმავე დროს ნიშნავს ხარჯების გადიდებას სამუშაო ხელფასზე, მაშინ როცა მუშაკებისათვის რეალურად საგრძნობი არ არის. ვისახავთ რა უმთავრეს მიზნად შრომის ნაყოფიერების ზრდას, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ პირველ რიგში აუცილებელია სამუშაო ხელფასის გადიდება, მით უმეტეს, რომ ნაყოფიერების ზრდა უკვე მომხდარი ფაქტია. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგიერთ წარმოებებში სამუშაო ხელფასს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საშუალო დონემდე, დასკვნა აშკარა ხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მოსაზრებებზე დაგვეთანხმებიან სამეურნეო ორგანოებიც, რომელნიც დაინტერესებული არიან შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და სხვ.

რაც შეეხება ნორმების და ანარიცხის გაფართოებას, ვცნობთ რა აუცილებლად მასსებისათვის კულტურულ და პროფესიონალურ დახმარებას, უმუშევრობისაგან უზრუნველყოფას და სხვ. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ წარმოების პირობები ჯერ ჩვენ არ გვაძლევს მეტის უფლებას. მიუხედავად ამისა ეს სრულებითაც არ სპობს ცალკე კავშირების ნაწილობრივ მიღწევათა შესაძლებლობას.

მაშასადამე საჭიროა შესაძლებლობის დაგვარად მაქსიმალური გადიდება სამუშაო ხელფასისა და შემდეგ კი ნორმების და ანარიცხის გაფართოება.

ი. მუს.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის.

თბილისის მაზრა.

მოსამზადებელი კამპანია საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად თბილისის მაზრაში უკვე დამთავრდა. ყველა თემებში ჩატარებულ იქნა გლეხთა ფართე კონფერენციები, რომლებზედაც აღმასკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებებს აკეთებდენ თემაღმასკომის და სასოფლო საბჭოების წევრები. ამავე დროს კონფერენციებზე გლეხები ირჩევდენ საარჩევნო კომისიებს. კომისიების თავმჯდომარეები უკვე დამტკიცებულ იქნენ თბილისის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმის მიერ.

კონფერენციებზე ცხადდებოდა ამომრჩეველთა 60 პროცენტი. გლეხები მონაწილეობას იღებდენ თემაღმასკომის მუშაობის გარშემო გამართულ კამათში. მოურიდებლად აღნიშნავდენ მუშაობაში შემჩნეულ ნაკლსა და შეუსრულებელ დავალებებს. აღსანიშნავია საშუალო და ღარიბი გლეხობის შეთანხმებული - ერთსულოვანი გამოსვლა კულაკების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი იცდილობენ თავზე მოახვიონ გლეხობას თავიანთი აზრები და მისწრაფებები. ერთსულოვანი შეტევის გამო, კულაკები ვეღარ ბედავენ აქტიური როლი ითამაშონ სოფლის ცხოვრებაზე, მით უმეტეს საბჭოთა არჩევნებში.

წინასწარ საარჩევნო კამპანიაში ცხოველ მონაწილეობას იღებს მაზრის მშრომელი ინტელიგენცია. გლეხობა მათ გასულ წლებთან შედარებით უფრო ნდობით ეკიდება, განსაკუთრებით იმ თემებში, სადაც მშრომელმა ინტელიგენტებმა მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა აღმშენებლობით მუშაობაში. ბევრ ალაგს არჩევნების ტეხნიკური ხელმძღვანელობა გლეხების მიერ დაკისრებული აქვთ სოფლის ინტელიგენტებს.

დამთავრებულია ყველა თემებში ამომრჩეველთა და უფლებააყრილ მოქალაქეთა სიების შედგენა. სიები დასამტკიცებლად გადაეგზავნა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომელმაც სიებში ალაგ-ალაგ შესწორება შეიტანა და შესაფერი განმარტებითი ბარათით უკანვე დაგზავნა.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი—ამხ. **ლადო სუხიშვილის** თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა: 1) თბილისის აღმასკომის ბიუჯეტის დამტკიცება, 2) მოხსენება სექციების მუშაობის შესახებ.

თბილისის ბიუჯეტი

(მომხსენებელი ამხ. მ. გაგაშელი)

მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს პლენუმს თბილისის აღმასკომის და მისი ორგანოების ბიუჯეტს, რომელიც სამი ნაწილისაგან შესდგება: ქალაქის, მაზრის და თემების ბიუჯეტისაგან.

ქალაქის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის—15.917.190 მ. მაზრის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი—1.025.939 მ. და თემებისა—218.771 მანეთს. სულ თბილისის 1925—26 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეიცავს 17.215.900 მანეთს.

ქალაქის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის 18.346.114 მ. მაზრისა, 2.264.660 მანეთს, და თემების 837.505 მანეთს. სულ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის 21.448.279 მ. ამგვარად თბილისის წრევანდელი ბიუჯეტი დეფიციტიანია. დეფიციტი უდრის—4.232.379 მანეთს. ასეთი დიდი დეფიციტი წელს აიხსნება განსაკუთრებული მდგომარეობით: ზაჰესის დამთავრების საჭიროებით კომუნალური აღმშენებლობით და სხვა. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში მთავარი ადგილი უჭირავთ ზაჰესის „რუსის"-ს ხარჯებს, რომელთაც მთელი გასავლის 49,2 პროცენტს შეადგენს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა—ბაზოემა, ალდადანოვმა, პეტროსიანმა და ასრიევმა. დასასრულ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1) ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით დამტკიცებულ იქნეს, 2) წინადადება მიეცეს აღმასკომის პრეზიდიუმს მიიღოს ყოველგვარი ღონისძიებები ბიუჯეტის აღსასრულებლად და სუბვენციის და სესხის მისაღებად საამშენებლო მუშაობის დამთავრების მიზნით. მოხსენება სექციების მუშაობის შესახებ გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

შრომის მოწესრიგება

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ დაამუშავა უბედურ შემთხვევებთან — (ტრავმატიზმთან) მებრძოლ ცენტრალურ და ადგილობრივი კომისიების მოწყობის პროექტი.

საჯარიმო ტარიფი.

საქ. შრომის სახალხო კომისარიატმა პირველ დეკემბრიდან მთელ რიგ წარმოებებში შემოიღო საჯარიმო (დასასჯელი) ტარიფი სოციალურ დაზღვევის სფეროში.

საჯარიმო ტარიფი შემოღებულია შრომის პირობების გაუმჯობესების დარგში ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის და სანიტარულ-ტეხნიკურ წესების სისტემატიურ დარღვევისათვის.

საკონფლიქტო-მომრიგებელი კომისიები სასოფლო მეურნეობაში.

საქ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა გლეხურ მეურნეობაში დამქირავებელსა და მუშა ხელს შორის აღძრულ შრომის კონფლიქტების მომწესრიგებელი კომისიების ოქმების სანიმუშო ფორმა.

საზოგადოებრივი სამუშაოები

საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელნიც სწარმოებდა გასულ საბიუჯეტო წელს საამისოდ გაღებულ თანხების საშუალებით, თითქმის ყველგან დამთავრდა, ამჟამად საზოგადო მუშაობა გრძელდება სოხუმში ქალაქის კეთილ მოსაწყობად და ჭიათურაში, სადაც სწარმოებს მდინარის ნაპირების გამაგრება წყალდიდობისაგან დაცვის მიზნით.

ჩვენი წყალთა მეურნეობა

იმის გამო, რომ კრედიტების გახსნა საბჭოთა კავშირის ფონდიდან დაიწყო მხოლოდ 1925 წლის თებერვლიდან, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ ვერ მოასწრო თავის დროზე დაეწყო ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები. ამ გარემოებას ხელი შეუშალა აგრეთვე წარსული წლის სუსხიანმა ზამთარმა და მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ წარმოებულმა მუშაობამ.

ახალი სამუშაოებიდან ალაზნის და ელდარის არხების გაყვანა დაწყებული იყო მხოლოდ 1925 წლის აპრილში; ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ წარმოებული მუშაობა, რომელიც შეჩერებული იყო 1924 წლის ოქტომბერში, განახლდა მხოლოდ ივნისში; მარტში, აპრილში და მაისში კი გაძლიერებული მუშაობა სწარმოებდა განათხარის გასაყვანათ პალიასტომის ტბიდან ზღვაში. ქობულეთის ჭაობების ამოშრობა დაიწყო მხოლოდ ზაფხულის ბოლოს.

განსაკუთრებით დაგვიანდა მუშაობა აფხაზეთში; საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ მხოლოდ მაისში შესძლო გაეგზავნა სოხუმში ინჟინერ-ჰიდრავლიკი და ივნისში გადადგმული იყო პირველი წინასწარი ნაბიჯები სოხუმის და ოჩემჩირის ჭაობების ამოშრობათ; სექტემბერში დაიწყო წინასწარი მუშაობა სამურზაყანოს არხის გასაყვანათ, რომელმაც უნდა მორწყას 6.000 დესეტინა.

აგვისტოში დამთავრებული იქნა ოჩემჩირის ჭაობების ამოშრობის პროექტი, მუშაობა დაიწყო ნოემბრის შუა რიცხვებში.

მუშაობის შეფერხებას ადგილი ჰქონდა საქართველოს ყველა რაიონებში, რაც დამოკიდებული იყო მუშების ნაკლებობაზე; სასეზონო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მუშა ხელს უფრო მეტს აძლევდენ.

ამჟამად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო მუშაობას აწარმოებს ჭალადიდის აგარაკის ამოსაშრობათ.

გაძლიერებული მუშაობაა ტირიფონის ველზე, სადაც გაყვანილი იქნება დიდი არხი; დამთავრებულია ყველა ხელოვნური ნაშენები, გარდა არხის სათავისა მდ. ლიახვზე. 1926 წლის ზაფხულისათვის მაგისტრალური არხი მზათ იქნება.

ალაზნის არხის გაყვანაზე ამჟამად მუშაობს 1.500 კაცი. სამგორის არხი მზათ იქნება მომავალი წლის მაისისათვის.

გარდა ამისა, წყალთა მეურნეობის სამმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არსებული სარწყავი სისტემის შესწავლას.

ეკონომიური ცხოვრება

საბამბო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს თბილისში გაიხსნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბამბო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მიზანია ღონისძიებების გამომუშავება მომავალი წლის საბამბო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

მიმდინარე წლის საბამბო კამპანიამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში, მაგრამ ამ კამპანიას ჰქონდა დეფექტებიც, რომლის შესახებაც მსჯელობას იქონიებს თათბირი და შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება მომავალ მუშაობას.

თათბირზე განხილული იქნება აგრეთვე საკითხი 1926—27 წლის ნათესების სივრცის განსაზღვრის შესახებ.

თათბირი გაითვალისწინებს ყველა საირიგაციო შესაძლებლობას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ატმოსფერულ, კლიმატიურ და სხვა პირობებს და ამისდამიხედვით შეიმუშავებს 1926—27 წლის თესვის კამპანიის გეგმას.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის მიხედვით, მომავალ წელში ამიერ-კავკასიაში დათესილი უნდა იქნეს 135.000 დესეტინა ბამბა. საბამბო თათბირმა საბოლოოთ უნდა გამოარკვიოს დასათესი მოედანის სივრცე. შესაძლებელია, პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებული სივრცე შეცვლილი იქნეს თათბირის მიერ.

გასული კამპანიის დროს ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა მუშაობის საწარმოებლად მიიღო 25.584.200 მანეთი, მომავალ წელში კი ეს ციფრი საგრძნობლად გადიდებული იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქარხნების მოწყობას მებამბეობის ყველა რაიონებში. მომავალი წლიდან ქარხნების აგება იწარმოებს გეგმაშეწონილად.

თათბირი სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს კოოპერაციის როლს მებამბეობის საქმეში. კოოპერაციის მუშაობა ამ სფეროში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. თათბირმა უნდა შეიმუშავოს ზომები კოოპერაციის მუშაობის დეფექტების აღმოსაფხვრელად.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია აგრეთვე საკითხი ხარჯთაღრიცხვების შედგენის და ანგარიშწარმოების რაციონალიზაციის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტა შესამჩნევად წინ წასწევს ამიერ-კავკასიის მებამბეობის მეურნეობას.

მ—ნი.

ადგილობრივი გადასახადები თბილისში

თბილისის აღმასკომის მიმდინარე საოპერაციო წლის ბიუჯეტის მიხედვით, წელს თბილისში ადგილობრივი გადასახადების სახით გაწერილია 948.158 მანეთი.

ოქტომბრის განმავლობაში შენობების გადასახადის სახით თბილისში შეგროვილია 14.339 მანეთი.

სატრანსპორტო გადასახადი გაწერილია 51.623 მანეთის რაოდენობით; აქედან კერძო პირები იხდიან 27.385 მანეთს, სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებანი—4.690 მან., ავტომობილების და ეტლების მეპატრონეები—19.648 მან.

სატრანსპორტო გადასახადი განაწილებულია შემდეგნაირათ: შესაბმელი ცხენი—20 მანეთი, ნახევარი წლის განმავლობაში, მუშა ცხენი—15 მანეთი, ავტომობილები 5 მანეთი თითო ცხენის ძალა, საბარგო ავტომობილები—3 მან., მოტოციკლეტები—1 მან. 50 კაპ. იმ ცხენების მეპატრონეები, რომლებიც ბირჟაზე არ მუშაობენ, ნახევარი წლის განმავლობაში იხდიან 10 მანეთს.

ერთდროული გადასახადი შემოღებულია აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ოქტომბრიდან და ორი თვის განმავლობაში შემოვიდა 3.642 მანეთი.

გადასახადი მეწველ ძროხებზე გაწერილია 3.774 მანეთის რაოდენობით. სულ ქალაქში არის ამჟამად 1.258 ძროხა. პროფკავშირების წევრები თავისუფლდებიან ამ გადასახადისაგან, თუ მათ ჰყავთ ერთი ძროხა და არ ვაჭრობენ რძით.

გასართობ ადგილებიდან საქალაქო გადასახადის სახით უნდა შემოვიდეს 75.500 მანეთი. კინო თეატრები იხდიან საერთო შემოსავლის 10 პროცენტს, აკადემიური თეატრები კი—5 პროც.

საფუთო გადასახადი ნახევარი წლის განმავლობაში უნდა შემოვიდეს 300,000 მანეთის რაოდენობით. გადასახადი საბირჟო გარიგებებზე გაწერილია 58.000 მანეთის რაოდენობით.

ამას გარდა, საბარგო გადასახადის სახით მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში თბილისის აღმასკომის სალაროში უნდა შევიდეს 200.000 მანეთი. ამრიგად, ადგილობრივი გადასახადები წელს თბილისში უდრის 1.143.158 მანე[illegible]

ხე-ტყის დამზადება

საქართველოში ხე-ტყის ერთ-ერთ საუკეთესო დამამზადებელ რაიონად ითვლება წნორის რაიონი (კახეთში), სადაც ყოველწლიურად ნოემბრიდან აპრილამდე 600 მუშა-ხელი მუშაობს. მუშებისათვის, რომელნიც უმთავრესად სოფლებიდან მოსული გლეხები არიან, აგებულია სპეციალური კარავები. იქვე ეძლევათ მათ საჭმელ სასმელი.

4 სამეურნეო წლის განმავლობაში (1922, 1924 და 25 წლებში) წნორის რაიონმა რკინისგზისათვის დაამზადა 250.000 ცალი შპალი 7000 კუბიკური საჟენი შეშა, 50.000 კუბიკური ფუტი სახიდე და გადასაზიდი ძელი, 50 ათასი კუბიკური ფუტი მორები და 6000 ფუტზე მეტი ნახშირი, გარდა ამისა რაიონმა დიდი რაოდენობით დაამზადა კასრები, პარკეტი, ნიჩბები კუბიკები და სხვა. შესრულებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებიდან მოცემული შეკვეთები.

ამჟამად წნორიწყალზე ხე-ტყის დამზადება სწარმოებს ორ ახლად აგებულ ქარხანაში. ერთს ქარხანას აქვს 3 ცირკულის ხერხი, რომელიც მუშაობს ერთი ლოკომობილის საშუალებით, მეორე ქარხანა აღჭურვილია 2 ცირკულის ხერხით, ერთი ლოკომობილით და 1 ტრაქტორით. ქარხნებთან მოწყობილია ელექტრო სადგური, რომელიც სინათლეს აწვდის ქარხნების მთელს მოედანს და საწყობებს. სხვა დაწესებულებებს სინათლე ეძლევათ ფასგადახდით.

ქარხანაში ნარდათ მუშაობს არტელი, რომელიც შესდგება 54 კაცისაგან. გარდა არტელისა მუშაობენ აგრეთვე დღიური მუშებიც—30—80 კაცამდე. ქარხნებში მუშაობა სწარმოებს 2—3 შეცვლით.

მაქსიმალური დამუშავება დღე და ღამეში 400—600 ცალ შპალს უდრის. შპალებთან ერთად პარალელურად კეთდება ფიცრები, პარკეტები, ძელები და სხვა მასალა.

საქონლის ჭირი

ჯავახეთი

ჯავახეთის სოფლებში ჭირის გავრცელება დაიწყო სექტემბრის პირველ რიცხვებში და უკვე 4 თვე გადის, რაც ჭირი მუსრს ავლებს შინაურ პირუტყვს. ამ ხნის განმავლობაში ჭირი გავრცელდა 24 სოფელში. საქონლის რაოდენობა ამ სოფლებში 23 ათას სულს აღწევს აუცრეს კი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 6,465 სულს საქონელს. 4 თვეში მთელს ჯავახეთში გაწყდა 340 სული საქონელი. მიუხედავათ მრავალი გაფრთხილებისა და სხვა მიღებულ ღონისძიებისა, გლეხები ხშირად არ იცავენ საკარანტინო წესებს. ჭირით ამომწყდარ საქონელს ატყავებენ, ტყავს ხმარობენ, ხოლო ხორცს კი სჭამენ ოჯახში, ან ყიდიან, და ამით ხელს უწყობენ ჭირის გავრცელებას.

თბილისის მაზრა

თბილისის მაზრის ყველა თემებში მოწყობილ იქნა საგანგებო სათემო კომისიები ჭირის ეპიზოოტიასთან საბრძოლველად. საკარანტინო წესების დამრღვეველთა წინააღმდეგ სამაზრო კომისია იღებს სასტიკ ზომებს. ჭირი მაზრაში ამ ჟამად ვრცელდება და უკვე მოედო წალკის, მანგლისის, თიანეთის რაიონების სოფლებს. ჭირთან ბრძოლა ფერხდება ჭირის საწინააღმდეგო ასაცრელი შრატის უქონლობის გამო. ბრძოლა საქონლის ჭირთან ვერ მიმდინარეობს წარმატებით კიდევ იმ მიზეზით, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ვერ იცავენ საკარანტინო წესებს და ღონისძიებებს. სამაზრო კომისია სასტიკ ზომებს მიმართავს გამომუშავებულ ღონისძიებათა აუსრულებლობისათვის.

დაახლოებითი გამოანგარიშებით თბილისის მაზრაში დღიდან ჭირის დაწყებისა დეკემბრის შუა რიცხვამდე დაიხოცილა 1000 სული საქონელი.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

1924-1925 საოპერაციო წლის განმავლობაში საქონლის ჭირი გავრცელებული იყო 8 მაზრაში: თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, ახალქალაქის, დუშეთის, რაჭის მაზრებში, და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში.

ამ პერიოდში იყო 116 დაჭირიანებული პუნქტი; ამ პუნქტებში იყო 91.353 სული საქონელი, აქედან დაავადმყოფდა 4409, მოკვდა 2173 და დაკლული იქნა სისხლის მისაღებათ 70 სული. აცრილია 65.785, აქედან აცრის შემდეგ დაიღუპა 585 სული, რაც შეადგენს 0,9 პროც.

1925 წლის ოქტომბერში ასეთი სურათი იყო: აღნიშნული რვა მაზრიდან ჭირი მოსპობილი იქნა რაჭის მაზრაში და სამხრეთ-ოსეთში, მაგრამ დაჭირიანებულ რაიონებს მიემატა აჭარისტანი. სულ ოქტომბერში იყო 56 დაჭირიანებული პუნქტი; 54.105 სულ საქონლიდან დაავადმყოფდა 2319 სული, დაიღუპა 830 და დაკლული იქნა სისხლის მისაღებათ—21. აცრილია 13.419, აქედან დაიღუპა 175 ანდა 1,4 პროც.

ნოემბერში დაჭირიანებულ რაიონებს მიემატა ახალქალაქის მაზრა. სულ იყო დაჭირიანებული პუნქტი 63, სადაც საქონლის საერთო რაოდენობა უდრიდა 68.150 სულს; აქედან დაავადმყოფდა 2973, დაიღუპა 1317, დაკლული იქნა 13; აცრილია 12.403, დაიღუპა 208 ან და 1,6 პროც.

1924 წლის ზაფხულიდან 25 წ. დეკემბრამდი გამოკვლეულ რაიონებში დაავადმყოდა 9701 სული; აქედან დაიღუპა 4320, ე. ი. 45 პროც.

აცრილია სულ 91.634 სული, აქედან დაიღუპა 968, ესე იგი 1 პროცენტი; თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ ციფრებს და ვიანგარიშებთ, რომ აცრილ—91.634 სულიდან გადარჩა მხოლოდ 40 პროც., ე. ი. 36.653 სული და თითო სულს ვიანგარიშებთ 80—100 მან., გამოვა, რომ 25 წლის დეკემბრამდი აცრამ გლეხებს გადაურჩინა დაახლოებით 3.500.000 მან.

საქონლის ჭირი ოქტომბერში და ნოემბერში არა თუ შემცირდა, ის კიდევ უფრო გაძლიერდა და ძლიერდება ეხლაც; ამასთანავე ჭირის გავრცელების მასშტაბი 15 დეკემბრისათვის ასეთი იყო: თელავის, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები დაავადებულია მთლიანათ, სიღნაღის და ახალციხის—ნახევრად. დანარჩენი მაზრები კი ნაწილობრივ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ჭირის შემცირებას და მოსპობას.

ამ ღონისძიებების რიცხვს ეკუთვნის: შრატის დამზადების გაძლიერება, სავეთილო პერსონალის გადიდება, საუწყებო სავეთილო მილიციის დაარსება, საკარანტინო ზომების გასატარებლად, და სხვა.

სოფლად მუშაობა

თბილისის აღმასკომის უკანასკნელმა პლენუმმა მოისმინა ამხ. კორძახიას მოხსენება აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ თბილისის მაზრაში წარმოებულ მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმის წარსული წლის მუშაობა სოფლად პლენუმმა სცნო დამაკმაყოფილებლად და გამოიმუშავა აგრეთვე ღონის-ძიებანი მომავალი მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად. აღმასკომი ავალებს პრეზიდიუმს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს:

1) რომ თემის აღმასკომებმა და სასოფლო საბჭოებმა სისტემატიურად ჩააბარონ ამომრჩევლებს ანგარიში თავიანთ მუშაობა-მოღვაწეობის შესახებ, 2) უფრო გაძლიერებული უნდა იქნეს თემ-აღმასკომებზე სამუშაოდ მიმაგრებულ ამხანაგების ხელმძღვანელობა, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივად ესწრებოდენ თემის, სოფლის საბჭოების, თემ-აღმასკომების და კომისიების სხდომებს ამ უკანასკნელთა მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად, 3) დამუშავებული უნდა იქნეს სასოფლო საბჭოების სახელმძღვანელო ინსტრუქცია და დაეგზავნოს იგი საბჭოებს;

4) თემის აღმასკომებმა ყოველგვარი წამოწყებები უნდა შეუფარდონ ბიუჯეტს და თავიანთ ფინანსიურ შესაძლებლობას;

5) გაძლიერებული უნდა იქნეს თბილისის საბჭოსთან არსებულ სოფლად მუშაობის სექციაზე მტკიცე ხელმძღვანელობა.

6) მიღებულ იქნას სათანადო ზომები, რათა ადგილების მიერ დეტალურად შესწავლილი იქნას თემ-აღმასკომების, თემის საბჭოების, საბჭოებთან არსებული კომისიების და სოფლის საზ. კრებების შესახებ არსებული დებულება-ინსტრუქციები, რომ ამის და მიხედვით წარმოებდეს მათი მუშაობა და არ ექნეს ადგილი თვით ამ დებულება-ინსტრუქციის დარღვევას.

7) მიღებული იქნას ზომები, რათა სასამართლოს აპარატი დაუახლოვდეს სოფლის მოსახლეობას ხშირი სესიების მოწყევით, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სოფლად რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას.

8) საქონლის ჭირთან საბრძოლველად და მისი ლიკვიდაციისათვის წინადადება მიეცეს არსებულ კომისიას გააძლიეროს მუშაობა.

დაევალოს პრეზიდიუმს სამაზრო და სათემო მიმდინარე წლის ბიუჯეტის სავსებით ცხოვრებაში გატარება.

სისხლის სამართლის მილიციაში

ბოროტმოქმედებანი ერთი წლის განმავლობაში

გასულ წელთან შედარებით ქ. თბილისში და მის მაზრაში 1925 წელს ბოროტმოქმედებათა რიცხვი გაიზარდა 20—25 პროცენტით. ეს გადიდება მოხდა უმთავრესად გაფლანგვის და ქურდობის ხარჯზე.

მიუხედავად ამისა, ბოროტმოქმედებათა გამომჟღავნების პროცენტი სათანადოთ გაიზარდა, გასულ წელთან შედარებით 10—15 პროცენტით. მაგალითად 1925 წლის განმავლობაში 1924 წლის ოქტომბრიდან 25 წლ. ოქტომბრამდე) თბილისში და მის მაზრაში ადგილი ჰქონდა 4.429 ბოროტმოქმედებას, რომელთაგან გამორკვეულია 3206, ე. ი, 72 პროც. წინა წელს გამორკვეულ ბოროტმოქმედებათა რიცხვი კი უდრიდა 65 პროც.

ბოროტმოქმედებათა საერთო რიცხვიდან ქურდობა შეადგენს 2683, აქედან აღმოჩენილია 1730 ქურდობის სიმულიაციის შემთხვევა იყო 12, აქედან გამორკვეულ იქნა 2; მკვლელობა—81, გამორკვეულია 72; დაჭრა და დასახიჩრება ანგარებითი მიზნით—74, გამორკვეულია 60; შეიარაღებული თავდასხმა—57, გამორკვეულია 44; თანამდებობრივი დანაშაული—204, გამორკვეულია 185; გაფლანგვა და მითვისება—180, გამორკვეულია 147; აფერისტობა—223, გამორკვეულია 205, ფულის დატყუილება—10, გამორკვეულია 10 და სხვ.

ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის ასეთი დიდი პროცენტი უნდა აიხსნას გამოცდილ კვალიფიციურ მუშაკების მუყაითობით.

დაპატიმრებულთა რიცხვი

ამ ხნის განმავლობაში სისხლის სამართლის მილიციის მიერ შეპყრობილია 2106 კაცი, აქედან მამაკაცი 1884, დედაკაცი 172 და მცირეწლოვანი 50.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

მუშათა კრედიტის საქმის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა „გრუზგოსტორგის", მუშკოოპის და „გრუზშვეიპრომ"-ის გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ 1924—25 წლის განმავლობაში კრედიტით უსარგებლიათ 136 ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეებს; აქედან 4 ორგანიზაციისათვის კრედიტი მიუცია „გრუზგოსტორგს" და 72-სათვის მუშკოოპს. „გრუზშვეიპრომი" კრედიტს აძლევდა მხოლოდ ცალკე მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებსაც პერსონალურათ გზავნიდენ დაწესებულებები და ორგანიზაციები.

კრედიტის მიცემას ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარე, რაც გამოიხატებოდა ქრონიკულ და მუდმივ დავალიანებაში, რომელიც, გამოკვლევის მასალების მიხედვით, უდრის მნიშვნელოვან თანხას—54.358 მან. 86 კაპ.

დავალიანების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კრედის მიმღებ ორგანიზაციის ადმინისტრაცია და ადგილკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ვალის გამორიცხვას თანამშრომლების ჯამაგირიდან. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც მიიღეს კრედიტი, ყოველის მხრივ სცდილობენ შეაგვიანონ მისი გადახდა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ უიმედო დავალიანებათ უნდა ჩაითვალოს—მუშკოოპში 819 მ. 14 კ. და ნაკლებ საიმედოთ 17.187 მ. 06 კ.' „გრუზშვეიპრომში"—4.909 მ. 87 კ., რომელიც დარჩა სამსახურიდან გასულ თანამშრომლებზე; ცეკავშირში 5.106 მ. 50 კ., რომელიც აგრეთვე დარჩა სამსახურიდან გასულ თანამშრომლებზე.

დავალიანების დანარჩენ ნაწილს ყველა ეს ორგანიზაციები საიმედოთ სთვლიან, მაგრამ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის აზრით, ეს იმედი საეჭვო ხასიათისაა.

არსებული წესების მიხედვით, ძველი დავალიანების გასტუმრებამდე ახალი კრედიტის გაცემა არ შეიძლება, მაგრამ, რასაკვირველია, იყო შემთხვევები, როდესაც ეს წესები არ სრულდებოდა.

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ დაადგინა წინადადება მისცეს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს, რომ უახლოეს დროში მოსპონ დავალიანება და მომავალში აღარ დაუშვან იგი.

სახალხო კომისართა საბჭოში

კოოპერაციის საქმე

კოოპერაციის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილების გადასინჯვა დაევალა კომისიას იუსტ. სახ. კომისარის,—ი. ვარძიელის თავმჯდომარეობით და ამხ. ამხ. ჩხენკელისა, ახმეტელისა, თავდიშვილისა და ძამანაშვილის შემადგენლობით.

წესდების დამტკიცება

ამხ. შ. მათიკაშვილის და ი. ვარძიელის მოხსენების თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა გამოსაქვეყნებლად საპატიმრო ადგილების სადისციპლინო წესდება და საპატიმრო ადგილების სამსახურის შესახებ დებულების პროექტი, იმ სახით, რა სახითაც შეიმუშავა იუსტიციის სახ. კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებამ.

სახალხო კომისარიატების კოლეგიების წევრად უპარტიო გლეხებით

განათლების, მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთა კოლეგიების წევრებათ დამტკიცებულ იქნენ საქ. ცენტრ. აღმასკ. კომიტეტის წევრები, უპარტიო გლეხები: 1. ილია ზაუტაშვილი (თელავიდან)—განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრად, 2. გიორგი მელაძე (გორიდან)—მიწ. სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრად, 3. შაქრო ლომაშვილი (სიღნაღიდან)—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

ამხ. ქ. კაკაბაძის დანიშვნა

ამხ. კაკაბაძე განთავისუფლებულ იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველის თანამდებობისაგან, მისი წარმოკავშირის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო.

ამხ. ახმეტელის დანიშვნა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველად დაინიშნა ამხ. ახმეტელი.

ბამბის ქარხნის აგება თბილისში

საქართველოს მებამბეობის კომიტეტის დირექტორის ამხ. გიგინეიშვილის მოხსენება ქ. თბილისში ბამბის ქარხნის აგების აუცილებლობის შესახებ მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

დაევალა ამხ. გიგინეიშვილს აღძრას შუამდგომლობა ს. ს. რ. კავშირის მთავარ კომიტეტისა და ა/კ. მებამბეობის კომიტეტების წინაშე აღნიშნული ქარხნის აგების პროექტის საჩქაროდ განხილვისა-ქარხნის მოწყობისა და საჭირო თანხის გაღების შესახებ. წინადადება მიეცა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს მებამბეობის კომიტეტთან შეთანხმებით, გამოჰყოს ხსენებული ქარხნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი.

პარტიულ სკოლების შენახვა

ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენების თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა პარტიულ სკოლების შესანახი თანხა 210.462 მან. რაოდენობით.

ქრონიკა

თბილისის საბჭოში

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი** დღემდე თბილისის მაზრაში აკრეფილია სულ 90 ათას მანეთამდე.

— **ხარჯთაღრიცხვა.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა თბილისის საბჭოს ხარჯთაღრიცხვა.

დამზღვევ სალაროში

— **დახმარება უმუშევრებს.** იმ უმუშევრებს, რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 5501-დან 6500-მდე 23 დეკ. მიეცემათ დეკემბრის თვის დახმარება.

— **დახმარება დაზღვეულებს.** ნოემბერში დაზღვეულებს სხვადასხვა დახმარების სახით მისცა 47,173 მანეთი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **ტყის დარაჯებს** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა გაუდიდა ჯამაგირები.

— **ბოტანიკურ ბაღის მოსარწყავად** მიწათმოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა გეგმის შედგენას. ბაღის სარწყავი ამუშავდება ზაჰესის ენერგიით.

ავიაქიმი

— საქ. ავიაქიმის საზ-ბაში ამჟამად ითვლება 43 ათასი წევრი.

— მუშათა ცენტრალურ კლუბში მოეწყო ავიაციის კუთხე.

სხვადასხვა

— **ტრილესის სახელობის ხაზინაო** ამხ-ბან გასულ წლის ადგილობრივ თანხებიდან მიიღო 87,756 მან.

— **ბათუმის კანალიზაცია.** ბათუმის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ხელისუფლების წინაშე ბათომში კანალიზაციის გაყვანისათვის 2 მილ. მანეთის გადადების შესახებ.

— **სავეგმო კომისიამ** დაადგინა გამოყოს კომისია ცხინვალში ელსადგურის აგების შესაძლებლობის გამოსაკვლევათ.

— **საავადმყოფოები.** მთელ საქართველოში დღემდე მოწყობილია 80 სასოფლო საავადმყოფო 300 საწოლით.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

— **ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში** დღეს, საღამოს 7 საათზე, საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაიკითხვენ მოხსენებებს: 1. არნ. ჩიქობავა „რით არის წარმოდგენილი სახელობით ბრუნვის დამატება ძველი-ქართულის ზმნაში"? და 2. პროფ. გ. ახვლედიანი: „ზოგიერთ ამბანურ ბგერათა ფიზიოლოგია". შესვლა თავისუფალია.

შემთხვევები

ცეცხლი. 19 დეკ. პუშკინის ქ. № 9 გეურქ მღებრიშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

20 დეკ. დამით კახეთის ქ. № 1 მე-3 რაიკომის შენობას გაუჩნდა ცეცხლი.

ქურდი ამხანაგი. 20 დეკ. მეტეხის შესახ. № 17 ბენიამინ კაზაროვი გაქურდა მისმა ამხანაგმა ივანე კაზაროვმა.

ბავშვის გვამი. 19 დეკ. ტატიანის ქუჩაზე იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვის გვამი.

დაჭრა. 20 დეკ. ჩერქეზოვის ქუჩაზე საღამოს ჩხუბის დროს ლატიკ თაზიევმა ჩხუბის დროს დასჭრა დანით სამ ალავის იბრაიასანოვი.

ქურდი ცოლი. 20 დეკ. ტრამვაის ქ. № 1 ნიკოლოზ ღრუბიძე გაქურდა მისმა ცოლმა მატრონამ. წაიღო 600 მან. ნივთები.

გვამის პოვნა. 20 დეკ. კოჯორის მახლობლად შარა-გზაზე იპოვეს ქალის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

უბედური შემთხვევა. 10 დეკ. გორონის ტყეში (გომბორის თემი) ტყის მჭრელი მინა მაისურაძე სოფ. წედისის (ონშია) მცხოვრები, მისივე მოჭრილ ხეს მოყვა ქვეშ და იქვე გარდაიცვალა.

ქურდობა. 20 დეკ. მარტყოფის ქ. № 8 გაქურდეს სტეფანე სუსანოვის ბინა.

21 დეკ. სიმონოვის მოედანი № 28 გაქურდეს სიმონ დავიდოვის სავაჭრო.

ამავე დღეს მილიუტინის ქ. № 8 გაქურდეს ტარასი პაიჭაძის ბინა.

19 დეკ. მუშტაიდის შეს. № 17 მიხეილ ბრონშტეინის ბინიდან მოიპარეს № 286 მ. ნივთები.

ჯიბგირობა. მალაკნის ქუჩაზე მოქ. ვალერიან იორამიშვილს იმთაცალეს საფულე.

მოპარეს სოლოვიოვს ჯიბიდან 143 მ.

საბჭოთა სასამართლო

განაჩენი ექიმ არდიშვილის და სხვ. საქმეზე

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ექიმ არდიშვილის, ბერმანის, გულისაშვილის და ლეგზიშვილის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები და მიუსაჯა: 1. ექიმ არდიშვილს (ქრთამის აღებისათვის) თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, 2. ბერმანს (ქრთამის გაღებისათვის) თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 3. გულისაშვილს (მექრთამეობაში შუამავლობისა და მონაწილეობისათვის, და აგრეთვე სისტემატიურად ყალბი საბღრიცხვო ბარათების კეთებისათვის)—თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, 4. ლეგზიშვილს — ერთი წლით.

ამნისტიის ძალით სასჯელის მოხდის ვადა გაუნახევრდათ გულისაშვილს და ბერმანს.

ორივე მსჯავრდადებულს ჩაეთვალა წინასწარი დაპატიმრება.

ხელოვნება

— **„წინასწარმეტყველი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში „წინასწარმეტყველი".

— **სანდრო ინაშვილი** ხვალ იმღერებს „რიგოლეტოში".

— **„ჰამლეტი".** დღეს რუსთაველის თეატრში მეორე შემადგენლობით წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი", ჰამლეტი—გ. დავითაშვილი, ოფელია—ბ. გამრეკელი, პოლონიუს—თაყაიშვილი.

— **გრიგოლ რობაქიძის ნაწერების გამოცემა.** სახელგამს განზრახვა აქვს გამოსცეს გრიგოლ რობაქიძის ნაწერების პირველი ტომი. წიგნში მოთავსებული იქნება „მალშტრემი", „ლონდა", „ლამარა" და სხ.

— **„აბესალომ და ეთერი".** შაბათს, 26 დეკემბერს, სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი" სანდრო ინაშვილის მონაწილეობით.

— **სომხეთის სახალხო არტისტი** ოვ. აბელიანი თბილისიდან საგასტროლოთ გაემგზავრა ბაქოში.

— **დია ჩიანელმა** დასწერა ახალი რომანი „გრონ ჯარანა".

— **„ქაჯი ნაზარ".** ოთხშაბათს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქაჯი ნაზარ".

— **ახალი თეატრი ფოთში.** განზრახულია ფოთის სამხედრო ტაძარი გადაკეთებული იქნას თეატრად, რომელიც დაიტევს 600—700 კაცს.

— **ფოთის სახელმწიფო თეატრი.** შაბათს, 26 დეკემბერს, ოლ. ლოლობერიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „სიმონიჩკი", დრამა 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

— **ახალგაზრდა კომპოზიტორის** მიხ. ლოლინოვის კონცერტი გაიმართება კონსერვატორიაში ხვალ, 23 დეკ., კომპოზიტორი მიემგზავრება გერმანიაში უმაღლესი ცოდნის მისაღებათ.

— **„ყაჩაღები"**, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კვირას, 20 დეკ., არ შესდგა დეკორაციების დამზადების დაგვიანების გამო.

რკინის გზებზე

თელავ-ახმეტის შტო

ა/კ. რკ. გზების გამგეობამ განიხილა საკითხი ახმეტის (თელავის მაზრაშია) ტყეების დამუშავების და ამასთან დაკავშირებულ თელავ-ახმეტის შტოს გაყვანის შესახებ.

რკინის გზებს განზრახული აქვთ ამ ტყეების ექსპლოატაცია საჭირო შპალების დასამზადებლად.

გამგეობამ გადასწყვიტა, რომ საკითხი აღნიშნული ტყეების დამუშავების შესახებ შეუთანხმოს საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

რაც შეეხება თვით შტოს გაყვანას, რომელსაც ექნება დაახლოებით 20 ვერსის სიგრძე, გამგეობამ მისი გაყვანა ჩასთვალა მიზანშეწონილად და ამასთანავე აღნიშნა, რომ მისი გაყვანა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხარჯების ნაწილს მიიღებენ თავის თავზე ამაში დაინტერესებული ორგანიზაციები.

წინასწარი გამოანგარიშებით ამ ტყეების დამუშავება ა/კ. რკ.-გზებს მისცემს ყოველწლიურად 470.000 წიფლის შპალს და 12.000 კუბ. საჟ. შეშას.

საბინაო აღმშენებლობა რკინის გზებზე

ამ.-კავკ. გზების გამგეობამ, დაამტკიცა საბინაო აღმშენებლობისთვის გეგმა 24.240 მანეთის რაოდენობის ფარგლებში.

საბინაო აღმშენებლობა რკ. გზებზე ყოველგვარი სააღმშენებლო მასალით უზრუნველყოფილია გარდა ხე-ტყისა, რომლის დამზადება დაკვეთილი აქვს საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტს (50.000 მანეთის).

მატარებლების დაჯახება

18 დეკემბერს დილით 8 საათზე, სადგ. ზარგუშეთში დაეჯახნენ ერთმანეთს სახარგო მატარებლები. მატარებელი № 100, რომელიც შევიდა სადგურში 30 ვერსის სისწრაფით საათში, მემანქანემ ვერ შეაჩერა და დაეჯახა მეორე მხრიდან მომავალ მატარებელს. დაჯახებას შედეგად მოჰყვა: 3 დატვირთული ვაგონის და 2 ცარიელი ცისტერნის დაზიანება. ორთქლმავლები მცირედ დაზიანდნენ. გზა დაზიანდა 15 საჟენის მანძილზე. უბედურ შემთხვევას ადამიანთა შორის ადგილი არ ჰქონია.

შპალების დამზადება

ამ.-კავკ. რკ. გზების გამგეობამ დასდო ხელშეკრულება საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტთან—180 ათასი ცალი წიფლის შპალის დამზადების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

საუცხოვო ამბავი

(პატარა ფელეტონისებური)

საუზმის დროს მთავარ სახელოსნოს მუშა-ხელოსნები შეგროვილან და ესაუბრებიან ერთმანეთს.

სხვათა შორის, ახლადდაარსებულ „ტნბ"-ზე შეეკითხა ერთხმად რამოდენიმე დაინტერესებული პირი მანდ მყოფ უფრო შეგნებულ მუშას:

— ერთი, ეს გვითხარი, თუ ძმა ხარ; რას გვიკეთებს მთავარ სახელოსნოში ახლად დაარსებული რაღაც „ტნბ".

— როგორ თუ, რას გვიკეთებს, ისინი სწავლობენ ტარიფიკაციის საკითხებს.

— განა თვითონ კი არ შეაქვთ რაიმე ახალი შიგა მუშების სასარგებლოდ?

— არა, ძმაო, არა, ის „რასცენკა", კარგა ხანია ადმინისტრაცია და მუშების შეთანხმებით შედგენილია.

— მაშ, რაღად დასჭირდათ „ტნბ"-ს დაარსება?

— შე, კაცო, განა არ იცის ვინ ღებულობს მონაწილეობას ამ „ტნბ"-ში? ყური დამიგდე. „ტნბ"-ს თავჯდომარედ გამოდის ჩვენი „დალოცვილი" ვარლამოვი. თანამშრომლებათ მას ყავს ორი გამოცდილი ტეხნიკი და ერთიც მემანქანე ქალი.

— განა ვარლამოვი მთავარ სახელოსნოების უფროსის მესამე თანაშემწეთ არ ითვლებოდა?

— დიახ, ითვლებოდა, მაგრამ, მგონია, მესამე თანაშემწის ადგილი გააუქმეს და რომ ჩვენი ვარლამოვი უსაქმოდ არ დარჩენილიყო, ამ სწორედ ეს ახალი „ტნბ"-ს საქმე აღმოუჩინეს.

— კარგი, მაგრამ ეს ტეხნიკები რაღად დასჭირდათ?

— ჰეი, ჩემო ძმაო, ამაზე მეტია ლაპარაკი და ისევე სჯობს შენც გაჩუმდე და მეც.

— ვა! როგორ თუ გავჩუმდე, მეც ეგრე არ ვარ დაინტერესებული ტრანსპორტის აღმშენებლობაში და ეკონომიით ფულების ხარჯვა-ფლანგვაში, როგორც ყოველი პატიოსანი რკინისგზის წევრი?

— ძალიან, „უბედური", ვინმე ხარ შე კაცო! რატომ ვერ გაიგე, რომ ვარლამოვი ეწევა მუშებში ტარიფის დაწევას, თვალყურს ადევნებს, რომ მუშებმა მეტი „გროშები" არ აიღონ?

— მაშ, ამაში გამოიხატება მისი „ეკონომიური" მუშაობა?

— დიახ.

— ერთი მითხარი, რა მოხელეა აქ არსებული შემფასკომი?

— გეთანხმები, რომ შემფასკომი არსებობს, მაგრამ, რამდენათ ვიცი, მისი წევრები ძალიან შეკავშირებულან და არც ადმინისტრაციას უშლიან ნერვებს?

— საუცხოვო ამბავია, ჩემო მეგობარო! ვინ იცის, რა ხდება ამ „დალოცვილ" მთავარ სახელოსნოში!?

მუშკორი ლიაპისი.

ზოგისთვის ბამბა ჩხრიალებს, ზოგისთვის კი კაკალიც არაა

გაზეთ „კომუნისტში" № 290—17 დეკემბ. არის გამოცხადებული, შრომის კომისარიატის დადგენილებით 25—26 დეკემბერი დასვენებელ დღეებათ, ასე ამხაირად პარასკევი, შაბათი და კვირა ე. ი. სამი დღე ზედიზედ იქნება შეჩერებული მუშაობა.

რათქმა უნდა თვიური ხელფასის მიმღებ შტატის მუშა-მოსამსახურეებს ახარებს ეს დადგენილება, მაგრამ ამავე დროს ძალიან სწუხან ის მუშა-ხელოსნები, რომლებიც ითვლებიან დღიურათ და მუშაობენ ნაჭრობრივ, რადგანაც მათ არ აძლევენ არც ძირითად ჯამაგირს და არც საშვალო პროცენტებს ამ უქმე დღეებისას.

ამ გარემოებამ მთავარ სახელოსნოსი მუშა-ხელოსნებში გამოიწვია უკმაყოფილება, რადგანაც მათი დასვენება საგრძნობლად მოქმედობს მათ ბიუჯეტზე, ვინაიდან საშვალოთ რომ ავიღოთ, თითო კაცს აკლდება თვეში არანაკლებ 6 მანეთისა.

ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ნაჭრობით მომუშავე მუშებს დასვენების დღეებში უნდა მიეცეთ საშვალო დღიური ხელფასი.

ეს სამართლიანიც იქნება და კანონიერიც.

მუშკორი ლ—პირი.

ასეთი აფერისტი საჭიროა აილაგმოს

(წერილი ჩაქვიდან)

ჩაქვის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში მსახურობდა ვინმე ვალოდია დუნდუა, რომელიც ამჟამად მსახურობს სუფსის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში. ამ ვაჟბატონს თავისი აფერისტული მოქცევით არ გადაურჩა მოუტყუებელი ჩაქვის მოსამსახურეები, მედუქნეები და კერძო პირები; ზოგს ფული გამოტყუა სესხათ, ზოგს ნისიათ გამოართვა სხვადასხვა ნივთები და მეპურეებისთვისაც არ დაუკლია ხელი.

როდესაც იგი გადაიყვანეს ჩაქვიდან, ის ისე გაიპარა, რომ მისი ვალები არ გაუგია მის მევალეებს. (ასეთი „მოღვაწეობა" მას ბევრი მოუძღვის, მაგრამ აქ ყველა არ შემიძლია მოვიგონო). ასეთი მატყუარა და ყოვლათ ზნედაცემული ელემენტი, რა თქმა უნდა, რომ სხვა ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლების პრესტიჟის დამცემია, და არ შეუძლია არც ერთ პიროვნებას [illegible] დროს დაბალ მოსამსახურეების დამპირება გაწყოს ამა თუ იმ საქმეში.

ამისათვის საჭიროა ასეთი თავხედი და ზნეობრივათ დაცემული ელემენტი აილაგმოს ერთხელ და სამუდამოთ.

რეფ. № 5.

ადგილკომის მდივანიც ასეთი უნდა

(ზუგდიდის განათლების მუშაკთა პროფკავშირის საყურადღებოთ).

ახალ-ხიბულის 7 წლედის მასწავლებელი დათიკო მგალობლიშვილი მსახურობდა მასწავლებლად ენკენისთვემდე, რის შემდეგ ის გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად თბილისში. მას ერგებოდა უკანასკნელი თვის ჯამაგირი 35 მანეთის რაოდენობით. ამავე დროს მგალობლიშვილს ქონდა სესხი აღებული საკრედიტო ამხანაგობიდან. მგალობლიშვილმა დაუტოვა მინდობილობა ახალ-ხიბულის რაიონის განათლების მუშაკთა ადგილკომის მდივანს ხარიტონ ფიფიას, რომ მას აეღო მგალობლიშვილის კუთვნილი ჯამაგირი და გადაეცა საკრედიტო ამხანაგობისთვის ვალის გასასტუმრებლათ.

მაგრამ რას ეხედავთ! აღ. მდივან ხარიტონ ფიფიას აუღია მგალობლიშვილის ჯამაგირი და ნაცვლად მგალობლიშვილის ვალის გასტუმრებისა, ფიფიამ თავის თავს მოახმარა სხვისი ჯამაგირი. დღეს მესამე თვეა და მგალობლიშვილის ვალი გაუსტუმრებელია.

რა არის ეს თუ არა ბოროტმოქმედება?

სწორი.

გამოგზავნილ წერილებიდან

— **როდის გვეღირსება?** ქართულ ცენტრალურ მუშფაკს (სადაც 1225 მსმენელია) აქამდის სასადილო ვერ ეღირსა, თუმცა ამისათვის არის გამოყოფილი კომისია. რას აკეთებს კომისია ან სტუდკომი? როდის გვაღირსებენ ამ სასადილოს?

მ. ხ— რიძე—ელი.

— **საჭიროა გაუმჯობესება.** საშუამავლო ბიუროს საერთო მაგიდასთან № 9, ხალხი ყოველთვის ბევრია ეს განყოფილება კი პატარა ოთახშია მოთავსებული, რის გამოც უწესოებას აქვს ადგილი. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშკორი გაზელი.

— **დროზე მიაქციეთ ყურადღება.** თბ. სახ. უნივერსიტ. წინ არის ხევი (ვარაზხევი), რომლის წყალი თანდათანობით ანგრევს მის მიწას და შენობას უახლოვდება. საშიშროების ასაცდენად საჭიროა უნივერსიტეტის მხრივ ადგილი ამოივსოს მიწით და წყალი მარჯვნით გადაიგდოს.

მუშკორი ელი.

— **ახეთი ბობოლები ალაგმეთ.** სადგ. ბადიაურში მგზავრებს ღამე დარბაზში აღარ უშვებენ (რადგან იქ ბუფეტია) და უხდებათ გარედ მატარებლის დახვედრა. სადგ. უფროსი არ იწუხებს თავს და არ ულებს კარებს.

საჭიროა ამის გამოსწორება.

პატარა იმოლდი.

— **მოგვაშორეთ ღორები.** კოტ. ჩერქეზიშვილის ქ. სახ. № 128-ში მცხოვრები მილიციის უწყისის თანამშრომელი ელ. რიბიცკი, გარდა ქათმებისა, ეზოში ინახავს აგრეთვე ღორებს, რომლებიც ნგრევასა და სიბინძურეს ჰქმნიან.

სანიტკომო, ცოცხია საჭირო.

ელდარი.

რკ. გზის მეორე უბნის ადგილკომში

— **ადგილკომი წესიერად მუშაობს.** რკ. გზის მეორე უბნის დამცველთა რაზმის ადგილკომის რევიზიის დროს, ყველა გასავალ-შემოსავლის წიგნი, ქაღალდების დახარისხებული წიგნაკი და სხ. საქმეებიც აღმოჩნდა წესიერად წარმოებული.

— **ყველა ცირკულიარები შესრულებულია.** რკ. გზის დამცველთა რაზმის მეორე უბნის ადგილკომის რევიზიის დროს, აღმოჩნდა, რომ ყველა მოსული მიმოწერები და ცირკულიარები შესრულებულია რიგიანად.

— **საწევრო გადასახადი.** რკ. გზის მეორე უბნის დამცველთა რაზმის ადგილკომში ანარიცხით კავშირის წევრებიდან, ა/წლის 21 სექტემბრიდან 10 ნოემბრამდის ჩათვლით, შემოსულია საწევრო ფული 87 მანეთის და 64 კაპეიკის რაოდენობით.

— **კულტკომისიის სხდომა:** რკ. გზის მეორე უბნის დამცველთა რაზმის მეორე უბნის ადგილკომთან არსებულ კულტ-განმანათლებელ კომისიას ა/წლის 1-ლი სექტემბრიდან ჰქონია ერთხელ სხდომა, გარჩეულია 8 საკითხი, ორგანიზაციული სამი და კულტურული ხუთი. გარჩეული საკითხები ცხოვრებაში გატარებულია.

პროფკავშირებში

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის მე-5 ყრილობა

პირველი სხდომა

20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა სრ. საქართველოს ადგილობრივ ტრ. მომუშავეთა კავშირის მე-5 ყრილობა.

ყრილობის გახსნის წინ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა კავშირის პ/მ. მდივანმა ამხანაგ ფრუიძემ.

შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი 15 ამხანაგისაგან და სამანდატო კომისია სამი კაცისაგან შემდგარი.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: სტალინი, ტომსკი, ელიავა, ორჯონიკიძე, სადოვსკი რიკოვი, ყურულიშვილი, ფ. მახარაძე, ტროცკი, ლოზოვსკი, ცხაკაია და ორახელაშვილი.

დღის წესრიგი

ყრილობის დღის წესრიგში მიღებულ იქნა შემდეგი საკითხები:

მოხსენებები ცენტ. კომიტეტის, საქართველოს ცენტ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის, „ზაკპოგრუზის", „ზაკავტოპრომტორგის" გამგეობის, ა/კ. სააქციონერო საზ. ტრანსპორტის კანტორის, ცენტ. გამგეობის განყოფილებების მომავალი მუშაობის პერსპექტივები და არჩევნები ახალი ცენტ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის.

მისალმებანი

რეგლამენტის მიღების შემდეგ კავშირის ცენტ. კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ცენტ. კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ბელობოროდოვი. ყრილობაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა „ზაკავტოპრომტორგის", მე-24 ახალგაზრდათა პიონერების მისალმებამ. ყრილობაზე გამოცხადდა ჯგუფი მწყობრად დარაზმულ პიონერებისა. მათმა წარმომადგენელმა პაწია გოგონამ ლამაზი სიტყვით უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა და გამოსთქვა სურვილი, რომ ისინი, გაიზრდებიან ლენინურად, მოვლენ მათ შესაცვლელად და ახალი ქვეყნის შესაქმნელად.

ახალგაზრდათა პიონერებს ცენტ. გამგეობამ გადასცა მათთვის წინასწარ დამზადებული დროშა.

ზოგ ადგილებიდან მისალმების შემდეგ ყრილობა გადავიდა დღიურ წესრიგის განხილვაზე.

ცენტრ. კომიტეტის მუშაობა

ცენტ. კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბელობოროდომ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი საკავშირო რესპუბლიკის მასშტაბით აერთიანებს 170.000 კავშირის წევრს. ამათგან უდიდესი ნაწილი უჭირავთ მტვირთავებს. ისინი შეადგენენ ყველა წევრთა 55,5 პროც. ავტომობილებზე მომუშავეები—8 პროც. მოსამსახურეები—10 პროცენტს და სხვა.

1-ლ ოქტომბრისათვის უმუშევართა რაოდენობა მთელი წევრების 12 პროც. შეადგენდა. ხოლო 1-ლ იანვრისათვის კი იყო 17 პროც. ამჟამად უმუშევრობამ კავშირში იკლო.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა ცენტ. კომიტეტის სატარიფო, საეკონომიო და ქალთა წრის მუშაობა.

შეკითხვებზე პასუხის შემდეგ პირველი სხდომა დაიხურა.

პროფმუშაობის ქრონიკა

ინჟ.-ტეხ. ცენტ. ბიუროში

— **ჟურნალი „ტეხ. და ცხოვრება".** პროფსაბჭოსთან არსებულმა ინჟ.-ტეხნიკოსთა ცენტრ. ბიურომ გამოუშვა ჟურნალ „ტეხნიკასა და ცხოვრები"-ს მეხუთე ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია ინჟ. ს. ყირქესელაშვილის, ინჟ. ზ. ჭიჭინაძის, ინჟ. ა. გულისაშვილის, ინჟ. ვ. კაკაბაძის, ინჟ. გ. ქავთარაძის და ინჟ. ა. კაციტაძის წერილები, ქრონიკები, ბიბლიოგრაფიები და სხვ.

— **ახალი სურათები ტეხნიკის მიღწევების შესახებ.** ინჟ.-ტეხნიკოსთა ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ამერიკიდან და გერმანიიდან ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების სურათები, რომლებიც მოთავსდება ჟურნალ „ტეხნიკასა და ცხოვრების" მორიგ მეექვსე ნომერში.

მედსანშრომის კავშირში

— **აფთიაქების სრ. საქ. მეოთხე ყრილობა.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. არსებულ აფთიაქების ბიუროს გადაწყვეტილებით სრ. საქართველოს აფთიაქების მეოთხე ყრილობა მოწვეული იქნება ახლო ხანში 20 კაცი ირჩევს ერთ დელეგატს.

— **აფთიაქარების ჟურნალი.** აფთიაქარების ცენტრ. ბიუროს დადგენილებით გამოვა ბიუროს ორგანო „ფარმაცევტების ჟურნალი"-ს სახელწოდებით. არჩეულია ხუთი კაცისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია.

სოფელი

მოუგვარებელი საკითხი

(წერილი კახეთიდან)

კახეთი ჩვენი ქვეყნის ერთი უმდიდრესი კუთხეთაგანია. ის უხვია, როგორც პურეულ ს, ისე ღვინის და ხილეულობის მოსავლით, აქვე არის ბევრი საუკეთესო ხარისხის ტყეები. ერთი სიტყვით კახეთზე სწორედ ნათქვამია: „ქვიცა აქვს და კაკალიცო“.

ამიტომაა, რომ ამ კუთხეს ყველა ეტანება. გლეხი—მიწის შესაძენად; უმუშევარი სამუშაოს საძებნელად, სპეკულიანტები და ჩარჩ ვაჭრები ხელის მოსათბობათ. კახეთი მდიდარია. მაგრამ მას ორგანიზაცია და და მოწყობა აკლია.

მაგალითისათვის მინდა შევჩერდე ერთ ფაქტზე. სამი წლის წინათ ალაზნის გაღმა უბანში დასახლებული იქნა ნუხიდან (აზერბეიჯანი) გადმოსული ქართველი გლეხები, უდინები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ინგილოებს უწოდებენ. ახლად გადმოსახლებულებმა თავის სოფელს ზინობიანი დაარქვეს. სოფელი 48 კომლისაგან შესდგება.

მათ მთავრობამ მისცა 800 დესეტინა მიწა, სახნავ-სათესი, სამოსახლო და ტყე. უდინებმა ისეთი ენერგია და საქმის უნარი გამოიჩინეს, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში ზინობიანი სანიმუშო სოფლად გადაიქცა. მათ მოაწყვეს ხერხის მოზრდილი ქარხანა, წისქვილი, კრამიტის და აგურის ქარხანა, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი და დღეს აშენებენ სკოლას.

ეს, რასაკვირველია, ყველაფერი კარგი და მოსაწონია, რომ აქ ადგილი არ ჰქონდეს ერთგვარ უხერხულობას. ამას წინად ზინობიანის რწმუნებული, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაეკაფა ამ სოფლიდან ერთი ვერსის მანძილზე მდებარე ტყე, მივიდა ტყეში მუშაობის დასაწყებათ.

მას აქ დაუხვდა 15 ნაჯახებით შეიარაღებული ოსი გლეხები და განუცხადეს, რომ არას დიდებით არ დაუშვებენ ტყის გაჩეხას, რადგან ტყე მათ ეკუთვნის. აღელვებულმა გლეხებმა უამბეს ტყის გასაჩეხათ მისულ პირს, რომ ეს ტყე მათ ჩამოართვეს და არა თუ ჩამოართვეს, არამედ სრულიად აჰყარეს ერთ სოფლიდან ძველათ ჩამოსახლებული 15 კომლი ოსები და 5 კომლი იმერ ლი გლეხობა. ამასთანავე გლეხებმა უჩვენეს მას აყრილ სოფლის ნამტვრევები და ბუხრები. ამის შემდეგ ის იძულებული გახდა ხელი აეღო თავის განზრახვაზე და სამართლიანადაც მოიქცა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ უთუოდ ადგილი აქვს სამწუხარო გაუგებრობას. ერთხელ უკვე ყოფილა აღძრული საკითხი ოს გლეხების მიერ სადაო ტყის შესახებ, მაგრამ საქმე დავიწყებას მისცემია.

საჭიროა ამ საკითხის ხელმეორეთ გადასინჯვა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ასეთი ანტოგონიზმი გლეხებს შორის, როგორსაც ადგილი აქვს ზინობიანსა და მის ახლო მდებარე მოსახლეობაში, დაუშვებელია.

ხერსონი.

ქალი და მომავალი არჩევნები

მაზრები და თემაღმასკომები უკვე შეუდგენ საბჭოთა არჩევნების სამზადისს. კეთდება მოხსენებები თემაღმასკომების მუშაობის შესახებ, მზადდება ამრჩეველთა სიები. ერთი თვე კიდევ და არჩევნებიც დაიწყება.

ჩვენ აქედანვე უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას, რადგან წარსული წლების გამოცდილებით ვიცით, რომ ამ მხრივ შეიძლება ადგილი დარჩეს არასასიამოვნო მოვლენას წრევანდელ არჩევნებშიაც.

საქმე შეეხება ქალთა საბჭოების მუშაობაში ჩაბმას. უნდა ითქვას მოურიდებლათ, რომ ჩვენ სოფელს ამ შემთხვევაში დღესაც ვერ დაუღწევია თავი ძველ, დრო-მოჭმულ ადათ-ჩვეულებებისაგან. ქალი დღესაც კიდევ მეორე ხარისხოვან მოქალაქეთ წარმოუდგენიათ. და ეს მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაანგრია არა მარტო ეკონომიური ჩაგვრის ხუნდები, არამედ ყოველი სახის ჩაგვრა-ექსპლოატაცია და მათ შორის ქალს სრული მოქალაქეობრივი უფლება მიანიჭა.

როდესაც ჩვენ სოფლის აქტივის მუშაობაზე და მოწინავე გლეხობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ძველი ჩვეულების თანახმად მხოლოდ მამაკაცები გვყავს და იშვიათად თუ წარმოვიდგენთ, რომ სოფლის სააღმშენებლო მუშაობაში საჭიროა აგრეთვე ქალების ჩაბმაც.

ყოველი შეგნებული და მოწინავე გლეხის ვალია ებრძოლოს ასეთ მავნე საზოგადო შეხედულებას. მომავალ არჩევნების სამზადისის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების საარჩევნო კამპანიაში ჩაბმას არ უნდა დარჩეს ხმის მიმცემთა სიის გარეშე არც ერთი მშრომელი გლეხის ქალი.

აქედანვე უნდა მივიღოთ ზომები კეთილსინდისიერ და შრომის მოყვარე ღარიბ ქალების საბჭოს წევრებათ წამოყენებისათვის. სოფელში ბევრია ისეთი საქმეები, რომლის მოგვარებაშიც აუცილებელია ქალის აქტიური მონაწილეობა.

ჩვენ ვიცით ზოგიერთ მაგალითებიდან, რომ ქალებმა ზოგჯერ ვერ გაამართლეს დაკისრებული მოვალეობის ღირსეულათ შესრულება. მაგრამ ეს მოხდა მათი გამოუცდელობით. მამაკაცი ამხანაგები ვერ ქმნიდენ სათანადო პირობებს, რომ ხელი შეეწყოთ მათ მუშაობისათვის. ამ ვე დროს ისეთი შემთხვევებიც ვიცით, როცა საპასუხისმგებლო საზოგადოებრივ ან ადმინისტრატიულ საქმეზე წამოყენებული ქალები ხშირათ ბევრათ სჯობნიდენ მამაკაცებს, საქმის იშვიათი სიყვარულით და კეთილსინდისიერებით.

ქალი მხოლოდ ჩვენს პირობებში იწყებს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას. საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ის ადვილათ ჩაებას საერთო აღმშენებლობის ფერხულში და რევოლიუციით მოპოვებულ ფორმალურ გათანასწორებასთან ერთად, მან მოიპოვოს ფაქტიური თანასწორობაც.

მომავალ არჩევნების დროს, ეს ამოცანა არ უნდა გვეპარებოდეს მხედველობიდან.

სალომე ზაქარიაშვილი.

წერილებიდან

ს. თორსა (ზუგ. მ.)

ღარიბები დაზარალდენ. მაზრის განათლების განყოფილებამ დაგვიკეტა ადგილობრივი ოთხწლედი სკოლა. შეძლებულ გლეხებმა შვილები სხვაგან მიაბარეს. ღარიბი გლეხის შვილები კი სკოლის გარეთ დარჩენ. თორსაში სკოლა ისევ უნდა გაიხსნას.

მარიშვილი.

—

ს. უხუთი (ქუთ. მ.)

დაგვინიშნეთ ექიმი. ჩვენ გვაქვს აფთიაქი და სოფლის პირობაზე კარგათ მოწყობილი საექიმო პუნქტი. ოღონდ უბედურება ისაა, რომ ყველაფერი ეს ურგებია გლეხებისათვის, რადგან არა გვყავს ექიმი. ერთ დროს ამ სოფელში მუშაობდა ექიმი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ მოხსნილი იქნა. გლეხები უკმაყოფილოა.

უხუთელი მეთვალყური.

—

ს. ცაიში (ზუგდ. მ.)

კოოპერატივს ბინა არა აქვს. ჩვენი კოოპერატივი მოთავსებულია კერძო პირის შენობაში. სავაჭროში ისეთი სივიწროვეა, რომ საქონელი აღარ ეტევა. მოზრდილ თემმა შესძლო კოოპერატივისათვის მშვენიერ სახლის შეძენა. ნუ თუ ასე დიდ თემს, როგორიც ცაიშია, უნდა უჭირდეს კოოპერატივის შესაფერის შენობაში მოწყობა?

ლიმი.

—

ს. ვაქირი (შორ. მ.)

ბაღი ნადგურდება. ადგილობრივი თემაღმასკომს აქვს მშვენიერი ხეხილებით და ვენახებით მოშენებული ადგილი სამწუხაროთ ხილის მოსავალს ბევრი ეპატრონება, ხოლო ბაღს არავინ უვლის. წელს მოვიდა იქ 80 ფუთამდე ვაშლი, რომელიც გაჰყიდა ღმასკომის ყოფილ თავმჯდომარის მეგობარ ვანო კვირიკაშვილმა, რომელმაც ბაზრიანი შუბა იყიდა. ბაღი კი მიუღობავია და საქონელი ანადგურებს ხეხილებს და ვენახებს.

ისარი.

—

ზემო-ჭალადიდი (სენ. მ.)

არც გაგვაკეთებინეს, არც მით გაგვაკეთეს. ჩვენი თემის გლეხობა დიდი ხანია მოწადინებულია ტელეფონის გამოყვანაზე. მაზრამ გვითხრა, ბოძები შეიძინეთ, დანარჩენს ჩვენ გავაკეთებთო. დავიწყეთ ფულის შეკრება. შემდეგ შეგვატყობინეს, რომ ფულს ნულარ შეკრეფთ, ჩვენი ხარჯით გავიყვანთო. მას შემდეგ ეს საქმე დავიწყებას მიეცა და თემი დღესაც უტელეფონოთაა. იმედია ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველო.

გლეხკორი ვას. საჯაია.

სოფლის ქრონიკა

— **საქონლის ჭირი.** მუხრანში (დუშ. მაზრა) გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **წყალსადენი.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა შეკეთოს ადგილობრივი წყალსადენი და შეუდგეს გამოკვლევას ახალი წყალსადენის გამოსაყვანათ.

— **გორში** დაარსდა საქონლის ჭირთან მებრძოლი სამაზრო კომისია.

— **ღარიბებს მცხოვრებლებს** გორის სამაზრო გლეხკომმა მიმდინარე წლის დახმარების სახით დაურიგა 2014 მ. ნ.

— **რაჭის მაზრაში** უკვე შეუდგენ საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარ მოსამზადებელ კამპანიის ჩატარებას.

დავეხმაროთ „წერკუმს“-ს

შემაქვს „წერკუმსი“-ს სასარგებლოთ 5 მან. და ვიწვევ შემდეგ მასწავლებლებს: ან. ღვინიაშვილი, ბ. წიფურიას, დ. როინაშვილს, შ. შაწირულს, მიხ. ჩხიკვაძეს, თამ. ბაქრაძეს, ვერ. ბესელიას, კოწ. ლორთქიფანიძეს, ნინა ხანზეგაშვილს, მარ. არდაზიანს, მარ. ბარისაშვილს, მარ. ზაალიშვილს, ელის. დარბაისელს, ოლ. მექვაბიშვილს, ალ. ფრუიძეს, ან. კაპანაძეს, ლიზ. სპირიდონოვას, ს. მიხელსონს, ალ. მაისურაძეს, დავ. გელაძეს, ივ. გოგონაძეს.

ნ. პ. ქიძოძე.

—

ზუგდიდის მაზრის, კახათის თემის წერკუმსის სასარგებლოდ შემაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ამავე თემის 7 წლედის და ოთხწლედთა მასწავლებლობას და შემდეგ ამხანაგებს: თათაზი ვექუა, დარასელია კაპიტონი, დარასელია იონა, ვექუა ლიუბა, ეხვაია ლიუბა, ჯიქია კონდრა, ლოგუა გრიგოლი, კაკულია ისაკი, თორია გიორგი, კუდბავა გერასიმე, დარასელია ბანო, გუგუჩია საშა, დარასელია კოკა, ნარმანია ილია, ნადარეიშვილი ევგენი, სიჭინავა ბაგრატი.

იონა ჩახაია.

შემაქვს წერკუმსის სასარგებლოდ 10 მან. და ვიწვევ: რკინის გზის სტამბის ადგილკომს, პოლიგრაფტრესტის ადგილკომს, რკინისგზის სტამბის გამგეს ამხ. ტიგრან ზარაფოვს, პოლიგრაფტრესტის გამგეს მაკარ გოგუაძეს, 1-ლ სტამბას, არტემ სიხარულიძეს (მე-3 სტამბა), შვარცბარდს (წარმოკავშირის სტამბა) ბეკურაშვილს (ცეკავშირის სტამბა), და კუზნეცოვს (მე-2 სტამბა).

მბეჭდავთა კავშირის კულტგანყოფილების გამგე ფანცულაია.

—

ჯანსახკომის ადგილკომს შეაქვს წერკუმსის ფონდის გასაძლიერებლად 5 მანეთი და იწვევს შემდეგს ადგილკომებს: საქქიო - სატრანსპორტო საზოგადოების, „მიასოტორგის“, ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის, ა/კ. ფინსახკომის, სახანძრო ჯგუფს, „ზაკაუს“, 1-ლ თამბაქოს ქარხნის, საქ. სადეზინ კომისიის, სატყეო ტრესტის, „ჩემოს“.

ჯანსახკომის ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ყანდარელი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

განქორწინების შესახებ.

კითხვა.

მე ვარ ერთ-ერთ დაწესებულების მოსამსახურე. ჯამაგირი მაქვს თვიურად 35 მანეთი. 1923 წლიდან მყავს კანონიერი ცოლი, რომელიც ყოვლად არა სასიამოვნო მდგომარეობას ქმნის ოჯახში. ფიზიკურ შრომას არც მე ვარ მოკლებული და არც ჩემი ცოლი, მაგრამ მისმა ცუდმა მოქმედებამ ოჯახიც მომძულა.

დღემდის ვითმენდი, მაგრამ დღეს კი მოთმინებიდან გამოსულმა გადავწყვიტე კანონიერად გავშორდე მას.

ამიტომ გთხოვთ განმარტებას, როგორ მოვიქცე და რამდენი მეკუთვნის რომ, მივსცე მას იმის გარდა, რაც იმას აქვს მოტანილი.

იაგორა ოდიშერაშვილი.

პასუხი

თუ განქორწინება გსურთ მარტო თქვენ და ცოლი კი ამაზე არ თანხმდება, თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით, თქვენივე ბინადრობის მიხედვით, სათანადო სახალხო სასამართლოს. ცოლს განქორწინებისას უნდა დაუბრუნოთ ყველაფერი ის, რაც მას მზითვის სახით მოუტანია. მასთან თუ იგი გაჭირვებულია, უმწეო და უპატრონო და შრომის უნარმოკლებული, მაშინ თქვენ უნდა მისცეთ მას სარჩო-საბადებელი. (იხ. დეკრეტი № 28 მუხ. 94—97.)

—

მიწის ნორმის შესახებ.

კითხვა.

რაც მე ვმსახურობ ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე მატარებელთა შემდგენელად, უკვე 33 წელიწადია; ვღებულობ თვიურ გასამრჯელოს 40 მანეთს; მყავს ცოლი და ოთხი ვაჟიშვილი, უფროსი სწავლობს სახელმწიფო უნივერსიტეტში და დანარჩენები საშუალო სასწავლებლებში...

სოფელ ტობანიერში, (ქუთაისის მაზრა), მე მქონდა ტყე-ვენახი და სახნავი-სათესი ადგილი სულ 14 ქცევა, რომლიდანაც სოფლის კომისიამ ჩამომართვა 8 ქცევა. დამიტოვეს 6 ქცევა მათ შორის სამოსახლო ოთხი ქცევა და სახნავ-სათესი ორი ქცევა, და ვენახი ტყე სრულიად ჩამომართვეს; გარდა ამისა ჩამომართვეს აგრეთვე ხის სახლი და მიათვისა სხვას;

დატოვებული ექვს ქცევაში ოთხი ქცევა მიწა სრულიად გამოუსადეგარია სახნავ-სათესად და ჭირნახულის მოსაყვანად, ფაქტიურად მე ნორმაში დამიტოვეს მხოლოდ ორი ქცევა მარტო სახნავი-სათესი ადგილი და ტყე-ვენახი კი არა;

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემს მცირე ჯამაგირს და წვრილი ცოლშვილის პატრონობას მე ჩავარდი ფრიად გამოუვალ მდგომარეობაში.

გთხოვთ განმიმარტოთ: 1) თუ რამდენად სწორათ და კანონიერათ მოიქცა სოფლის კომისია, 2) რამდენი მეკუთვნის მე და ჩემს ოჯახობას (სულ 6 სულია) მიწის ნორმაში —სახელდობრ—სამოსახლო, სახნავ-სათესი ადგილი, ვენახი და ტყე, 3) შემიძლია თუ არა კანონიერი ნორმის მოთხოვნა—ჩემის უკანვე დაბრუნებით; 4) იყო თუ არა კანონიერი ქუხნა სახლის ჩამორთმევა და შემიძლია თუ არა დავიბრუნო ესენი და რა გზით...

რკინისგზელი დიმიტრი გლდივერისძე შარაშენიძე.

პასუხი.

თანახმად მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 67 ისა ფიზიკურ შრომის მუშებს, რომელნიც ეწევიან წარმოებით შრომას სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში, დაეტოვებათ მხოლოდ მიწის ნახევარი ნორმა (ამ შემთხვევაში თქვენც). თანახმად საქ. ცენტ. აღმასკომიტეტის დადგენილება № 48-ისა 1925 წ. 10 ოქტომბრიდან თქვენ შესაძლებელია, დაიბრუნოთ ტყეც (თუ იგი მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეა).

ყოველ შემთხვევაში ყველა ამ საკითხების საბოლოოდ გამოსარკვევად გირჩევთ—მიმართოთ ქუთაისის მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებას.

—

ბინის რემონტის და ქირის შესახებ.

კითხვა.

ვცხოვრობ გროზნის ქუჩ. სახ. № 5-ში (ნაძალადევი). მიჭირავს ორი ოთახი სივრცით 64 კვად. არშინი. ვმსახურობ ზაჰესში; ჯამაგირს ვიღებ თვიურად 54 მანეთს. ვარ კავშირის წევრი (წიგნ. № 4630) ჩემ ხარჯზე იმყოფებიან ორი სული, ერთ ოთახს ეს ჭირდებოდა შეკეთება, ვინაიდან ჩამოდიოდა წვიმა, ჭერი იყო ჩამონგრეული და კედლები ჩამო[illegible] ჩემ ხარჯზე კედლებს შპალიერი და ჭერი გავლესე გაჯით. ამჟამად კიდევ ჩამოდის წვიმა ოთახში და ბინაზე მიუხედავად იმისა, რომ სახლის პატრონს მივმართე განცხადებით არა ერთხელ, რათა გაეკეთებინა სახლის სახურავი, მან მაინც სახურავის შეკეთებაზე უარი მითხრა.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ქირა თვეში, შემიძლიან თუ არა გამოუბარო ქირაში ჩემ მიერ დახარჯული ფული ოთახის შეკეთებაზე და ვალდებულია თუ არა სახლის პატრონი შეაკეთოს სახურავი და თუ არ შეაკეთებს, როგორ მოვიქცე.

კავშირის წევრი № 4630.

პასუხი.

სახლის პატრონმა უნდა გააკეთოს კაპიტალური რემონტი, (როგორიცაა მაგ. სახურავის, ჭერ იატაკის და კედლების შეკეთება). კედლების გალესვა და შპალიერის კედლებზე გაკვრა სახლის პატრონს არ ეკისრება. თუ სახლის პატრონი კაპიტალურ რემონტს არ გაუკეთებს, თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ასეთი და მაზე დახარჯული თანხა ბინის ქირიდან დაუკავოთ.

ბინის ქირით თვიურად იხდით ოთხნახევარ კაპეიკს თვითეულ კვადრატიულ არშინზე.

—

შესაძლებელი იქნება თუ არა?

კითხვა

მე ვმსახურობ ტრამვაიში, ვღებულობ თვეში 40 მანეთს, მიჭირავს ოთახი 78 კვ. არშ. ვცხოვრობთ 5 სული, სახლის პატრონი კანონიერ ქირას არ იღებს. სახლის სახურავი ქარმა აგლიჯა და სახლის პატრონს ოჩანოვს, იგი უნდა შეეკეთებია, მაგრამ მან სახურავიც გადამალა და როცა მოვსთხოვე, მან მიპასუხა: ეს თქვენ არ გესაქმებათო.

გთხოვთ განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება, რომ ბინის ქირა მოვახმარო სახლის რემონტს, რადგან მას რემონტს, სახლის პატრონი არ უკეთებს და ბინა მილპება.

რა ეკუთვნის სახლის პატრონს ბინის ქირად და შეიძლება, თუ არა, დანგრეულ სახურავის გაკეთება ბინის ქირის საშუალებით.

ხარიტონ მარგალიტაძე.

პასუხი

სახურავის შეკეთება წარმოადგენს კაპიტალურ რემონტს და იგი უნდა გააკეთოს სახლის პატრონმა თანახმად ქ. ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება № 48-სა 1925 წ. ივლისიდან. თუ სახლის პატრონი რემონტის გაკეთებაზე უარს გეტყვით, თქვენ გაქვთ უფლება თვით თქვენ შეაკეთოთ სახურავი და შეკეთებაზე დახარჯული ფული კი ბინის ქირიდან დაუქვითოთ.

ბინის ქირად თითოეულ კვადრატიულ არშინზე თვიურად იხდით სამ კაპიკს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განმარტება

იუსტიციის სახალხო კომისარიატისა.

სახბ. სოც. რესპ. კავშირის მთავრობის მიერ გამოცემულ კანონთა და განკარგულებათა, აგრეთვე ამავე კავშირის საუწყებო განკარგულებათა ძალაში შესვლის დროის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილობრივ სხვადასხვანაირად ესმით საკითხი იმის შესახებ, თუ საქართველოს ტერიტორიაზე რა დროიდან შედის ძალაში საბჭ. სოც. რესპ. კავშირის კანონი. ამიტომ იუსტიციის სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია განმარტოს, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ-ტის მიერ 1925 წ. თებერვლის 6 გამოცემული დადგენილების მიხედვით (გამოქვეყნებულია ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ. № 8—1925 წ. და „იზვესტია“-ში—1925 წ. № 34), რომლის ძალითაც, როგორც საკავშირო მთავრობის კანონი და განკარგულება, ისე განკარგულება იმავე კავშირის ცალკე უწყებისა, ჩვენშიც, საქართველოში მექანიკურად შედის ძალაში ც. ა. კ-ტის 1925 წ. თებერვლის 6-ის დადგენილებით განსაზღვრული დროიდან, სახელდობრ:

1. ს.ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის, სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყველა დადგენილება, გამოქვეყნებული ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულსა, ს. ს. რ. კ. ც. ა. კ-ტის „იზვესტიასა“ და გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ში, ძალაში შედის: მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქსა და მის მაზრაში—დღიდან ერთ-ერთი ზემოთაღნიშნული გამოცემის სათანადო ნომრის მიღებისა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში; საგუბერნიო ქალაქსა და მის მაზრაში—დღიდან აღნიშნული ნომრის მიღებისა გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში—დღიდან ამ ნომრის მიღებისა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში.

2. ს. ს. რ. კავშირის ცალკე უწყების განკარგულება (დადგენილება, ცირკულიარი, ინსტრუქცია და სხვ.), გამოქვეყნებული პირველ მუხლში აღნიშნულ გამოცემებში, ძალაში შედის ამავე პირველი მუხლის მიხედვით; ის განკარგულება კი, რომელიც მხოლოდ საუწყებო პერიოდულ გამოცემაშია გამოქვეყნებული, აგრეთვე ისიც, რომელიც საუწყებო გამოცემაში უფრო ადრეა გამოქვეყნებული, ვიდრე პირველ მუხლში აღნიშნულ გამოცემებში, ძალაში შედის: დედა-ქალაქსა, საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებსა და მათ მაზრებში —დღიდან სათანადო ნომრის მიღებისა აღნიშნული უწყების იმ ხელმძღვანელ დაწესებულებათა მიერ, რომელნიც ამ ქალაქში არიან; ხოლო უკეთუ უწყებას ადგილობრივ სპეციალური ოლქები აქვს, საუწყებო განკარგულება ამ ოლქებსა და მათ დანაყოფებში ძალაში შედის დღიდან სათანადო ნომრის მიღებისა აღნიშნული უწყების ადგილობრივ ორგანოთა მიერ.

3. უკეთუ კანონისა თუ განკარგულების ძალაში შესვლის ვადა თვით ამ კანონსა თუ განკარგულებაში აღნიშნული, იგინი ძალაში შედიან ყველგან ამ ვადაზე.

4. უკეთუ კანონსა თუ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ იგი ძალაში შედის დეპეშით ან რადიოდეპეშით გადაცემისათანავე, ეს კანონი და განკარგულება ძალაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქსა, საგუბერნიო ქალაქსა, სამაზრო ქალაქსა და მათ მაზრებში—დეპეშის ან რადიოდეპეშის მიღების დროიდან ცენტრალურ, საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში (1 მუხ.).

5. დადგენილება, რომელიც არ უნდა იყოს გამოქვეყნებული, სავალდებულოა იმ დაწესებულებაში მისი მიღების დროიდან, რომელსაც იგი ეცნობება.

6. ყველა აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია სასწრაფოდ აღნიშნოს ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ ოფიციალურ გამოცემათა ნომრების მიღების დრო. ეგრეთვე ვალდებულია აღნიშნოს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საუწყებო გამოცემათა ნომრების მიღების დრო იმ დაწესებულებამ, რომელიც ამ ნომრებს იღებს.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ვარძიელი.**

მე-3 განყ. გამგე **როინაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **მეორე რაიკომი** იუწყება: ოთხშაბათს, 23 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

მდივნის მაგ.—წითლიძე.

— წინადადება ეძლევათ ამხ. ივანე გეჯაძეს (ავჭალ ს წყალსადენის მუშა), კლიმენტი ქორიძეს, ჯიშკარიანს (საბავშვო სახლის გამგე მცხეთაში) და იოსებ დონგუზაშვილს გამოცხადდენ ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ., 24, მესამე სართული ოთახი № 9) 22 და 23 ამა დეკემბერს, ნაშუადღევის ორ საათამდე.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო აცხადებს უჯრედის წევრთა საყურადღებოთ, რომ კომ. უჯ. ყველა წევრებს (გარდა ქალებისა) ევალებათ გამოცხადდენ ა/წ. 22 დეკემბერს (სამშაბათს) დღის 3-დან საღამოს 9 საათამდე უნივერსიტეტის შენობაში „ჩონი“-ს ბარათების შესავსებათ. თან უნდა იქონიონ იარაღის (თოფი, რევოლვერი) ნომრები.

ვინც აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდება, მათი სია გადაეგზავნება რაიკომს.

ამასთანავე ბიურო სთხოვს ა/წ. 18 დეკემბერს კომუჯრედთა კრებაზე არჩეულ კომისიას ამხ. გობეჯიშვილს, გ. ნუცუბიძეს, მაისურაძეს, თხილავას, გოგოშიძეს და დ. გვაზავას ა/წ. 23 დეკემბერს (ოთხშაბათს) დღის 12 საათზე გამოცხადდენ უნივერსიტეტში.

გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო.

აპოლლო
[illegible]

პოლლა ნეგრი სურათში
ივეტტა
მსოფლიოში ცნობილი რეჟისიორის ერნსტ ლიუბიჩის დადგმა. ერნსტ ლიუბიჩი ცნობილია საზოგადოებისათვის სურათით „როზიტა“.
საუკეთესო სურათი მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
მომავალი ლანდები
კონტრამარკები არ გამოდგება.
ჩქარა: „დიადი მარადიული“
0—4 ნ. 445

ხელისმომწერლებმა
უკეთესი ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პროსპექტი № 24
ტელეფონი № 10—49

განცხადებები

19 დეკემბერს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა
ანა სისონის ასული
პეტრიაშვილი-მესხი
რასაც აუწყებს ყველ ს: ქალიშვილი ელენე ვასილის ასული პეტრიაშვილი, ძმები: ივანე და დავით მესხი და დები: ეფემია მესხი-ვეპხერ და მარიამ გამრეკელი. გამოსვენება ქუთაისში 22 დეკემბერს, 3 საათზე.
909 1—1

ღრმად დამწუხრებული შვილები: ანტონ, აკაკი, გრიგოლი, რძალი ნინო, შვილიშვილი თამარა ამაღლობელნი, შვილისშვილნი: შუშანიკა კოპალაძისა, ძამენა და მისი ქმარი დათიკო შვილით ოთარი ლოლობერიძენი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 19 ამა დეკემბერს მათი მაყვარელი
ნამეტი ოტიას ასული
ამაღლობელისა
გამოსვენება 24 დეკემბერს, ხუთშაბათს, ს. დაფნარში.
907 1—1

სახელმწიფო დრამა
დღეს, 22 დეკემბერს
ჰამლეტი
ჰამლეტ—გ. დავითაშვილი, დანიის დედოფალი—ც. ამირაჯიბი, ოფელია—ბ. გამრეკელი, პოლონიუს—ალ. თიყაიშვილი.
ნ. 466 1—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 22 დეკემბერს, პრემიერა
წინასწარმეტყველი
ბარონკინა, დანელიანი, კაპარენკო-დამანსკის მონაწილეობით.
ოთხშაბათს, 23 დეკემბერს, ოპერა „რიგოლეტო“-ს მაგივ.
„ა ი დ ა“
მონაწილეობენ: სედენკო, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი.
შაბათს, 26 დეკემბერს, სანდრო ინაშვილის მონაწ.
„რ ი გ ო ლ ე ტ ო“
23 დეკემბრისათვის აღებული ბილეთები გამოდგება 26 დეკემბერს. 1—1 ნ. 465

საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმის
(უოფ. ბარიათინსკის ქ. № 8)
გამოფენა გაიხსნება
25 დეკემბერს 1925 წ.
გამოფენა შესდგება შემდეგი განყოფილებებიდან
1. მარქსიზმის წინა ხანა
2. ოთხმოცდაათიანი წლები
3. ცხრაას ხუთი წელი (1900—1917)
4. მენშევიკური ხანა (1916—1921)
5. საბჭოთა ხანა
ექსკურსიების ჩაწერა დაიწყება 22 დეკემბერს
შესავალი ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის (პროფკავ. წევრ.) 20 კაპ.
მოსწავლეთათვის . . . . 10 „
წითელარმიელთათვის . . . . 10 „
დანარჩენ პირთათვის . . . . 30 „
წითელ არმიელების ექსკურსიები . . . . . უფასოთ.
უ. 2—1

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ლატარიის მომწყობი კომისია
აცხადებს, რომ თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის დადგენილებისა
ლატარ ა გათამაშებულ იქნება
ა. წ. დეკემბრის 31-ს. აგენტები ვალდებულნი არიან გაასწორონ ანგარიში (წარმოადგინონ გაყიდულ ბილეთების ფული და დააბრუნონ დარჩენილი ბილეთები) არა უგვიანეს ა. წ. დეკემბრის 24-სა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაადახდებათ წაღებულ ბილეთების ღირებულება.
მისამართი: სოც. უზრუნველყოფის ს. ხ. კომისარიატი, ლატარიის კომისია. სპირის ქ. № 30, მე-2 სართული.
3—2 652 კ ო მ ი ს ი ა.

თესლეულობის საწყობი
კურორტთა მთავარ სამმართველოს სატყეო განყოფილებისა
ბ ო რ ჯ ო მ შ ი
დამზადებულია თესლები წიწვიანი ჯიშებისა: ფიჭვის, ნაძვის და სოჭის 1925 წ. მოსავლისა.
შეკვეთა მიიღება სატყეო განყოფილებაში ბორჯომში.
ნ. 436 3—2

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—49

ქუთაისის I უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი
აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ტროცკის ქუჩაზე, სახლი № 32 დანიშნულია 29 დეკემბერს 1925 წ., დილის 10 საათზე, [illegible] ჰაპიაშვილის ქონების: საათის, შკაფების, მაგიდების, ლამპის, კრაოტის და სხვ. გასაყიდათ. ნივთები შეფასებულია 147 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ან იმ თანხიდან, რაც დასახელებული იქნება მყიდველებისაგან.
სასამ. აღმასრულებელი ბოჭორიშვილი.

სენაკის სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ტეხნიკუმებისათვის
საჭიროა ფიზიკის მასწავლებელი
მსურველმა უნდა მიმართოს განათლების კომისარიატს (ოთახი № 21).
ქვ. 917—1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 975 ვასილი ზურაბის ძე კოლიაშვილის სახელზე, ჩ. გ.
961 1

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1753, ანტონ მაჭარაშვილის სახელზე, ჩ. გ.
ნ. 468 1—1

დაიკარგა ვლადიმერ ნაკაიძეს მიერ ხელმოწერილი თამასუქი ორას-ორმოცდაათი მანეთის (250 მ.), ჩ. გ.

დაიკარგა ოზურგეთის მაზრის, ხიდისთავის რაიონის მიერ გამოცემული სამხედრო მაგიდის სააღრიცხვო ბარათი № 14 დათიკო სოლომონის ძე შუშელიძის სახელზე, ჩ. გ.
915 1—1

დაიკარგა რკინისგზ. კავშირის წიგნაკი № 434439 ნიკოლოზ ქრელაშვილის სახელზე, ჩ. გ.
910 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო სამსახურის აღრიცხვის ნუსხა № 465, ქ. თბილისის მ. გ. მილიციის კავშირის წევრობის წიგნაკი, ქ. თბილისის მ. გ. მილიციაში ნამსახურობის მოწმობა, კეთილსაიმედო პიროვნების მოწმობა, [illegible] ლეხაინდროვო-ონოლის თემის მიერ, პორფილე ბესარიონის ძე ჩემიას სახელზე, ჩ. გ.
914 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარის მოწმობა № 3013, მოცემული მეორე კომისარიატის მიერ ალექსანდრე ალანიას სახელზე, ჩ. გ.
912 1—1

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 4176 სერგო (იგივე სერემაგდონი) ივლიანეს ძე ჩახუნაშვილის სახელზე ჩ. გ.
913 1—1

დაიკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 7244 მაკრინე ბაბაიანის სახელზე, ჩ. გ.
908 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს საშ. წულუკიძის ქუჩა № 4